ეროვნული
ბიბლიოთეკა



ISSN 0130 1624

# დროშა

სექტემბერი
№ 9 1983 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი გაკვეთილი.

ფოტო ვიქტორ ჯეირანელისა.

# გეორგიევსკის ტრაქტატი 200

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარადი ძმობა

**ედუარდ შევარდნაძე,**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

...სწორედ ის არის გეორგიევსკის ტრაქტატის სრულიად განსაკუთრებული როლი, რომ მის ხელმოწერას, საბოლოო ანგარიშით. ობიექტურად მოჰყვა ორი ხალხის არა მარტო პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი დაახლოება, არამედ პროგრესული, დემოკრატიული, რევოლუციური მოძრაობების ერთიანობაც, ერთობლივი ბრძოლა ძირეული სოციალური გარდაქმნისათვის, რომლის შედეგად მუშათა კლასმა ლენინის გენიის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის ხალხები მიიყვანა თვითმპყრობელობაზე, მჩაგვრელ კლასებზე მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე.

ჩვენ სიამაყით ვამბობთ, რომ რუსებთან, ყველა ხალხის წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს წარგზავნილები თავდადებით იბრძოდნენ რუსეთის სამი რევოლუციის ბარიკადებზე, სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების ბრძოლის ველზე, აშენებდნენ ახალ, ნათელ საზოგადოებას, ქმნიდნენ და განამტკიცებდნენ პროგრესისა და მშვიდობის ბურჯს — **საბჭოთა კავშირს.**

და, ვუბრუნდებით რა გეორგიევსკის ტრაქტატის განსაკუთრებულ — ფართო ისტორიული თვალსაზრისით — როლს, აღვნიშნავთ, რომ დღეს საქართველოს სს რესპუბლიკა — სუვერენული სოციალისტური სახელმწიფო, რომელსაც აქვს საკუთარი კონსტიტუცია, საკუთარი ხელისუფლების ორგანოები, საკუთარი სახელმწიფოებრიობის ატრიბუტები — საბჭოთა ხალხების დიადი თანამეგობრობის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია. საბჭოთა საქართველოს წარმატებებმა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ჩვენი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევებმა საყოველთაო აღიარება პოვა.

რესპუბლიკა ღირსეულად ეგებება სახელოვან იუბილეს. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე გაორკეცდა მისი ეკონომიკური პოტენციალი. სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკას ზედიზედ ათჯერ მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

**ილია ჭავჭავაძე**

...თითოეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა. თითოეულს ჩვენგანს მის გამონაკვეგზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონაკვეგის მიხედვით გამოურჩევია.

**აკაკი წერეთელი**

ჩვენ დიდად ვაფასებთ ძმობას, ერთობას და მეგობრობას რუსეთის ხალხთან, ვისთანაც გვსურს ხელიხელს მიცემული სიარული განსახორციელებლად არამარტო ეროვნული, არამედ ზოგადკაცობრიული იდეალებისა. რომელთაც ჰქვია: ძმობა, ერთობა, თანასწორობა.

**იაკობ გოგებაშვილი**

..ქართველი, მაგალითად, რომელსაც შეიძლება არც კი ესმოდეს არც ერთი რუსული სიტყვა და, რომელსაც უყვარს თავისი ეროვნება და თავისი დედაენა, რომლებიც მან ათასწლოვან ბრძოლებში გადაარჩინა და დაიცვა მილიონობით მტრებისაგან, დიდი ხანია, რუსეთს თვლის თავის სამშობლოდ და რუსი ერის თავისებურებათა და თვისებათა პატივისცემასა და სიყვარულში ნამდვილ მოსკოველს არ ჩამორჩება.

დიდ რუს ხალხთან მჭიდრო დაახლოება აზიარებს მას სხვა, უკეთეს, უფრო ფართო და უფრო ნათელ ცხოვრებას და გადაუშლის დიად მომავალს.

## მოსკოვში, საქართველოს ქუჩაზე

მე, ბინადარი დღევანდელ დღეთა,
მოსკოვის ქართულ ქუჩიდან ვხედავ
ძმობის ბილიკთა პირველგამკვლელებს,
დღეთა საძმოთა ფუძის ჩამყრელებს, —

არჩილს და ვახტანგს, საბას და დავითს,
თუ ჩემს დატანჯულ სეხნია მეფეს...
დააბიჯებენ აწეულ თავით,
ულრუბლო ცაში ვარსკვლავებს კრეფენ.

მათი ოცნება მთაწმინდის მაღლობს
და კრემლის მაღლობს ეხმიანება.
მოსკოვის ქართულ ქუჩაზე სახლობს
აცხადებული სვეწწკის ზმანება.

მზეი ძმობისა არც ოდეს ჩავა, —
ამაღლდა ცა და გადიდნენ დღენი!
მოსკოვის ქართულ ქუჩაზე ვდგავარ
და დიდი ძმობის სიმღერას ვმღერი.

## ორი საუკუნე

შეუხორცდა წყლული კრწანისს,
გაუთენდა საქართველოს,
ჩვენი მიწა საფიცარი
მზეგრძელობს და ცანათელობს.

სიცოცხლის და სიყვარულის
დიდ სიმღერას აგუგუნებს
უკვდავებით დადაფნული
ძმობის ორი საუკუნე.

## ჟღერს შენი სიმღერა

რიაბინა ქართულად ცირცველია,
ჩვენში ეს სიტყვა ძირძველია,
ხე კი — იშვიათი.
თქვენში რიაბინა ჯეა და ხეხილი,
ფერადი მტევნებით რტოჩამოზნექილი
და, რაც მთავარია, სიმღერაა
მზისფერი,
ცისფერი,
ზღვისფერი.
„რიაბინა“ სიცოცხლის სიმთ ჟღერაა
რუსეთის ასულებივით მშვენიერი,
რუსეთის ტრამალებივით ვრცელი,
რუსეთის მდინარეებივით ღონიერი,
რუსულ შუადღესავით მწველი.
— მუდამ სიყვარულის გენთოს სხივი!
— გულში დიდ სინათლეს მიეც ბინა!
ჟღერს შენი სიმღერა ღვთაებრივი,
შენი მშვენიერი „რიაბინა“!
ფირუზი დააფრქვია ცამ ხეივნებს,
ცას მიწამ ღიმილი შეაფინა.
მასმენინე, უსასრულოდ მასმენინე
შენი მშვენიერი „რიაბინა“!

**თეიმურაზ ჯანგულაშვილი**



„დროშის“ კონკურსში გამარჯვებული

მე მერჯევის ზემო უბანში გავიზარდე, შენ კი ქვემო უბანში ცხოვრობდი, დეიდა ტანია. შვიდწლიანი სკოლაც ქვემო უბანში გვქონდა, შენი კარმიდამოდან ორიოდე ნაბიჯზე. ჰოდა, ახლა ჩემს მამაპაპეულ სახლში რომ მივდივარ და ზემო უბნისკენ შარაგზას მივყვები, ის პატარა სკოლა და შენი სახლი ყოველთვის თვალწინ მიდგას.

გუშინდელივით მახსოვს: პირველი სექტემბრის დილა იყო. ჩითის ჩანთითა და ცინცხალი „დედაენით“ ბებიამ სკოლაში მიმიყვანა. დავჯექი მერხზე და მორცხვად მივიხედ-მოვიხედე. უჩვეულო გარემო მეუცხოვა. ორმოცდახუთი წუთი როგორც იქნა გავიდა. ზარი დაირეკა თუ არა, ეზოში გავვარდი. ბებია იქვე მეგულებოდა. რომ ველარ ვნახე, ტირილი მოვრთე. შენ სახლის ღია კარებიდან ფეხაჩქარებით გამოხვედი, გაღიმებული მომიახლოვდი, დედაშვილურად მომეფერე. გაკვირვებული შემოგყურებდი. პირთეთრი, ტანადი ქალები ჩვენს უბანშიც ცხოვრობდნენ, მაგრამ შენ სულ სხვაგვარი იყავი. ლაპარაკიც თავისებური გქონდა: ქართულ წინადადებებს უჩვეულოდ გამოთქვამდი. ზოგიერთი სიტყვის გაგება მიჭირდა, მაგრამ ხმა გქონდა საოცრად ტკბილი და ალერსიანი. ხელი ჩამკიდე და სკოლისკენ წამიყვანე. საკლა-საქმე არ იყო. შინ და გარეთ მოსვენება არ გქონდა, ქმარს მხარში ედექი, ულელს ვაჟკაცურად უწევდი.

მახსოვს, სკოლისკენ მიმავალი ბავშვები ერთხელ საირხულაში შეგხვდით. შეშით დატვირთული ურემი ღელეში ჩაგვარდნოდათ. ხარებს წინ შენ ედექი, სახრეს უქნევდი, თანაც შეძახილით აფხიზლებდი, ალექსანდრე კი ხელნას ხნ-ვებოდა. ასე რომ ვერაფერს გახდით, ადგილები შევცვალოთო, ურჩიე ქმარს. მართლაც, ალექსანდრე ხარებს წინ გაუძღვა, შენ კი ხელნას მიაწექი. ბავშვებიც მოგეშველეთ და ურემი ღელიდან ამოგორდა.

ხელმოკლედ ცხოვრობდით, მაგრამ თქვენი წუწუნი და ბედის სამდურავი არავის გაუგონია. მტრედის ბუდეს მოჰგავდა თქვენი სახლი, სადაც მუდამ სიმშვიდე და სიყვარული სუფევდა. შვილებს პატარაობიდანვე შრომას აჩვევდით, გამრჯე კაცის დაფასებასა და პატივისცემას უნერგავდით. სწავლის წყურვილი და ცოდნისადმი მისწრაფება ხომ აკვნიდანვე დაჰყვათ. ერთხელ სკოლის დირექტორმა ზარმაცი მოსწავლეების მშობლებს უსაყვედურა: ტანიას ბავშვები თუ ბეჯითობენ და სამაგალითონი არიან, თქვენს შვილებს რა ღმერთი გაუწყრათო. ერთმა მშობელმა სხვა ველარაფერი მოახერხა, ესლა უპასუხა: ტანიას შვილები სკოლასთან ახლოს ცხოვრობენო.

თქვენ მართლაც ახლოს ცხოვრობდით სკოლასთან. მე იმ მშობლის ნათქვამს არ ვგულისხმობ. გულით იყავით ახლოს. რამდენი ცელქი და ზარმაცი მოსწავლე შეგიხურებია, დედაშვილურად დაგიმოძღვრავს. რჩევა-დარიგებას არც პედაგოგებს აკლებდი, განსაკუთრებით რუსული ენის მასწავლებლებს ეხმარებოდი.

# სიყვარულის შუქი ღელვარებით

ნოდარ შამანაძე

სო ოთახში რომ შევედით, წინა მერხთან შეჩერდი და თვალებცქრიალა, ლამაზ გოგონას უთხარი: შვილო ზოია, ეს ბიჭი თქვენი თანაკლასელია, გაკვეთილები რომ დაგიმთავრდეთ, ჩვენთან მოიყვანე, „პიროგებს“ დაგახვედრებთო.

შენმა გულის სითბომ ერთბაშად მომინადირა. უკვე მიხაროდა სკოლაში მისვლა და იქ ყოფნა. გაკვეთილების შემდეგ შინ რომ ვბრუნდებოდი, ბებიას შენი მასპინძლობისა და გულთბილობის ამბავს ვუყვებოდი. რუსი ქალია, მაგისთანა კეთილ და სათნო ადამიანს იშვიათად ნახავო, მეუბნებოდა ბებია.

მეუღლეც საოცრად გულთბილი და გამრჯე გყავდა. ალექსანდრე წერეთელს ჭკუის საკითხავ კაცად იცნობდნენ. რუსეთი ფეხით მაქვს შემოვლილი, სიჭაბუკე იქ გავატარეო, იტყოდა ხოლმე. 1917 წელს შეუღლებულხართ, საქართველოში მაშინღა დაბრუნდით, დიდი ოქტომბრის მზემ ჩვენს ქვეყანაშიც რომ შემოაშუქა.

მალე დაწვრილშვილდით. ჯერ ვალიას დაბადებით ცას ეწიეთ. მერე სიხარულს სიხარული მოჰყვა: პეტია, პავლე, ზოია, კარლო, იანი... ექვსი ბალღის მოვლა-პატრონობა იოლი

სწრაფად დაიფურცლა წლები. შვილები წამოგეზარდნენ. ვალიამ ტექნიკუმი დაამთავრა და მერჯევის სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად გაამწესეს. მას მალე პეტიაც ამოუდგა მხარში, მათემატიკას გვასწავლიდა.

რომ იფიქრე, მეშველა და ეს არისო, სწორედ მაშინ დაიქუხა ომმა. ახლაც თვალწინ მიდგას, ფრონტზე მიმავალ პირმშოს როგორი სასოებით აცილებდი. ვინ იცის, იქნებ ბედი გეწიოს, ვორონეჟში მოხვდეო, ეუბნებოდი და უბის წიგნაკში ძმებისა და ახლობლების მისამართებს აწერინებდი. ვარაუდი არ გაგიმართლდა, პეტია ქერჩის მიმართულებით გაგზავნეს, ვორონეჟი კი მტრის ჯარმა დაიკავა.

ალექსანდრე ხანდაზმული იყო, ჯარში არ გაიწვიეს. ფრონტს ზურგშიც გამოვადგებიო. თქვა და ტყიბულის შახტებში დაიწყო მუშაობა. მთელი ოჯახის სიმძიმე შენ დაგაწვა მხრებზე. ხნავდი, თესავდი, თოხნიდი კიდეც. მკაში ხომ ტოლი არ გყავდა: შენ რომ სათიბსა და სამკალში ალესილ ცელს მოუსვამდი, კაცი იტყოდა: ნეტავ თვალი მომცა და მაყურებინაო. საზოგადოებრივ საქმეებშიც პირველობდი...

ერთი ამბავი მინდა გავიხსენო. ორმოცდაერთი წლის

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 9 (561) სექტემბერი, 1983

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

ხუტა ბერულავა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1983 წ.

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ნათელა გიორგობიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დურმიშიძე, ოთარ თურქია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.

გვიანი შემოდგომა იყო. ხმა დაირხა: კოლმეურნეობის კანტორასთან დიდი მიტინგი უნდა შედგეს, რაიკომის მდივანი ხომ დაესწრება, თბილისიდანაც ჩამოვა კაციო. დანიშნულ დროს მთელმა სოფელმა მოიყარა თავი. ბავშვებიც იქ ვიყავით. უკეთ რომ მოგვესმინა, რამდენიმე ბიჭი კაკლის ხეზე ავცოცდით და გაბარჯღულ ტოტებში გავინაბეთ. რა არ თქვეს, რა არ ილაპარაკეს... კბილებამდე შეიარაღებული მტერი მოსკოვს უახლოვდება, დიდ საფრთხეში ვართ, ან დამპყრობელს უნდა ვძლიოთ და მოსკოვის მისადგომებიდან კუდით ქვა ვასროლინოთო ან ყველანი დავიხოცოთო. რითაც შეგვიძლია, კაცმაც და ქალმაც, მოხუცმაც და ახალგაზრდამაც ფრონტისათვის ვიზრუნოთ, მომხდურთა განადგურებაში ჩვენ-ჩვენი წილი შევიტანოთო.

ერთ-ერთმა პირველმა შენ ითხოვე სიტყვა, დეიდა ტანია. დონორად ჩამწერეთ, პირველი ჯგუფის სისხლი მაქვსო, განაცხადე მთრთოლვარე ხმით. მერმე დაწვრილებით ჩამოთვალე საბჭოთა მეომრებისთვის საახალწლო საჩუქრად რის გაგზავნას აპირებდი. გისმენდი და გული ერთ რამეზე მეთანაღრებოდა: ცალი ხელით კაკლის ტოტს ვიყავი ჩაფრენილი და არ შემეძლო, სხვებთან ერთად მეც ტაში დამეკრა.

შინ და გარეთ საქმე არ გელეოდა, დროს ჩვენთვის მაინც გამონახავდი ხოლმე. გვამჩნევდი რუსული ენის შესწავლა რომ გვიჭირდა, ზოიას თანაკლასელებს კვირაში სამჯერ შეგვკრებდი და გვამეცადინებდი. ცეროდენებმა პირველად შენგან მოვისმინეთ ალექსანდრე პუშკინისა და ლევ ტოლსტოის ამაღელვებელი ბიოგრაფიები. შენ დაგვაწაფე მათ შემოქმედებას. ლექსებს ზეპირად გვეუბნებოდი. პუშკინის „ზამთრის საღამოს“ ჯერ რუსულად გვეტყოდი, მერე ქართულად.

ხშირად გვესაუბრებოდი „ვეფხისტყაოსანზე“, რომლის რუსული თარგმანი ჯერ კიდევ თექვსმეტი წლის გოგონას წაგიკითხავს. პოემაში მოთხრობილ ამბებს ისე მოუხიბლიხარ, საქართველოს ნახვა ოცნებად გადაგქცევია. მომავალი მეუღლე სწორედ იმ ხანებში გაგიცვნია. ის ტარიელად ჩავთვალე, მე კი ჩემი თავი ნესტანად წარმოვიდგინეო, გვეტყოდი ხოლმე გაღიმებული.

ომის მრისხანება განსაკუთრებით მაშინ ვიგრძენით, ჩვენი სოფლის ფოსტალიონის ჩანთა „შავი ქაღალდებით“ რომ დამძიმდა. ჯერ გრიშა და პარმენ მიქაძეებს დაეცათ მეხი, მერმე ილარიონ შამანაძეს... ილარიონს ორი შვილი ჰყავდა ფრონტზე. ორივეს დაღუპვის დეპეშები თითქმის ერთდროულად მოვიდა. იმ ზამთარს რა დამავიწყებს: დიდთოვლიანობა იყო, ყინვა და სუსხი გარეთ ცხვირს არ გვაყოფინებდა. შენ კი ბუნების ჭირვეულობას არ შეუშინდი, გაუკვალავ თოვლში ზემო უბნის აღმართები ამოიარე და ომში დაღუპულთა მშობლები მოინახულე, მათი ჭირ-ვარამი გაიზიარე.

ვაი, რომ არც შენ დაგინდო ომმა, დეიდა ტანია. ფოსტალიონი შენი მეცეცხლური მეზობელი იყო. „შავი ქაღალდი“ კარგა ხანს გიმალა, შენთან შეხვედრას გაურბოდა. თუ სადმე შემთხვევით განახავდა, თვალს ვერ გისწორებდა. მის საქციელს დაუეჭვებიხარ, ერთ დღეს თვითონვე გითქვამს: ცუდი წინათგრძნობა მაქვს, კოშმარული სიზმრებიც მაწუხებს და ბარემ მითხარი, რა უბედურებაა ჩემს თავსო... მთელი სკოლა თანაგიგრძნობდათ. ზოიასთან ერთად მისი თანაკლასელებიც ვქვითინებდით.

გვერიდებოდა, სამეცადინოდ ველარ განუხებდით. ისევ შენ მიგვიწვიე. სწორედ იმ დღეს გაზეთებმა ვორონეჟის გათავისუფლება გვამცნო. ამ ამბავს ისე გაეხარებინე, სახეზე კვლავ შენეული ღიმილი გითამაშებდა. კარგა ხანია, ძმებისა და ნათესავების ბარათი აღარ მიმიღია და იქნებ მეშველოს, მახარობელი გამოჩნდესო. მერმე ისევ მოგეღრუბლა შუბლი, საუბარი პეტიაზე გადაიტანე, მისი ბოლო წერილები ცრემლის ყლაპვით წაგვიკითხე.

ეჰ, რა იცოდი, დეიდა ტანია, წინ თურმე კიდევ დიდი მწუხარება და განსაცდელი გელოდა... შვიდწლედი რომ დავამთავრეთ, არგვეთის საშუალო სკოლაში განვაგრძეთ სწავლა. დილაბნელზე უნდა ავმდგარიყავით და ათიოდე კილომეტრი ხშირად წვიმასა და ქარში, თოვლსა და ჭყაპში გაგვევლო. ყოფილა შემთხვევები, რეზინის წუღები ტალახში ჩაგვრჩენია და შინ ფეხშიშველნი, სიცივით აკანკალებულნი მივსულვართ. ზოიას ნაზმა და ნატიფმა სხეულმა გაჭირვებას ვერ გაუძლო. დეკემბრის ერთ სუსხიან დღეს ავად გახდა და მთელი ზამთარი ლოგინში მწოლიარემ გაატარა. რომ დათბა და ჰაერში გაზაფხულის სუნი დატრიალდა, ავადმყოფობა კიდევ უფრო გაურთულდა. გაოგნებულებმა აღარ იცოდით, რა გექნათ: გოგო თვალდათვალ გიჭკნებოდათ და ვერაფრით შველოდით. შენ ხანდახან მაინც ახერხებდი თავის დაჭერას და შეგუბებული ცრემლების შეკავებას. ალექსანდრე ბიძია კი მთლად მოტყდა, მოეშვა. ზოიას ცუდ ამბავს მე ვერ გადავიტანო, ამოიოხრებდა ხოლმე და ლანდად ქცეული ეზოში ადგილს ველარ პოულობდა. აკი ვერც გადაიტანა... თუმცა ბედმა ეს „სიკეთე“ მაინც არგუნა: შვილზე ორი დღით ადრე გარდაიცვალა. ზოიას არ გაუმხილეთ, მაგრამ გულმა უგრძნო თუ რა იყო, დასუსტებული და ღონემიხდილი გეხვეწებოდათ, მამა მომიყვანეთო. ამ სიტყვებით დალია სული.

ზოიას მეგობრებს შენთან შეხვედრა გვიმძიმდა. მძლავრი, ვაჟკაცური აგებულების ქალი ნაღველმა დაგადნო და დაგასნეულა. ძლივსღა დაფარფატებდი, თავის აწევა გიჭირდა. თუმცა ერთხელ კიდევ განახეთ გაღიმებული და გამხიარულებული. ეს მოგვიანებით მოხდა. შენმა პავლემ, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ინჟინერმა და მისმა ერთ-ერთმა თავკაცმა გასახელა, „შენი ძუძუს ნათელი საქვეყნოდ გამოაბრწყინა“: მეგობრებთან ერთად ისეთი მანქანა შექმნა, ლენინური პრემიის ლაურეატობა დაიმსახურა. ეს ამბავი შენს ძმებსა და ძმათა შვილებს „პრავდაში“ წაეკითხათ და ვორონეჟიდან მოსალოცად გესტუმრნენ. გაჩაღდა ლხინი. განსაკუთრებით ძმისწული კონსტანტინე პეჩენკოვი გამოირჩეოდა, რუსულ და უკრაინულ სიმღერებს გულში ჩამწვდომად მღეროდა. „სულიკოც“ რომ წამოიწყო, თავი ველარ შეიკავე და შენც აჰყევი. მთელი კარ-მიდამო თითქოს უჩვეულო სინათლით აჩახჩახდა, სახლის ჭერი ამაღლდა, კედლებმა განზე გაიწიეს. მხიარულება სკოლასაც გადაედო. დერეფანში შეჯგუფულმა ბავშვებმა ხმა აგაყოლეს. იქაურობას უკვდავი სიმღერის ჰანგები მოეფინა.

ახლა ის სკოლა აღარ არის, აღარც შენი პატარა სახლი დგას. კარგა ხანია, ჩვენს სოფელს საშუალო სკოლის ჭერმაღალი და ნათელი შენობა ამშვენებს. შენმა შვილებმა კი იმ პატარა სახლის ნაცვლად ისეთი ოდა-სახლები წამოჭიმეს, უკეთესს ვერც ინატრებდი.

იმრავლა და იხარა შენმა შთამომავლობამ. უკვე თერთმეტი შვილიშვილისა და თხუთმეტი შვილთაშვილის ბებია ხარ.

ერთი რამეც მინდა მოგახარო: პავლეს ინიციატივითა და დახმარებით, სოფელმა იმ გორაკთან, შენი პატარა სახლი რომ იდგა, შინმოუსვლელებისადმი მიძღვნილი დიდებული მემორიალი აღმართა. ღიმილის ბიჭებს შორის შენი პეტიაცაა, მშობლიურ მიდამოს ფართოდ გახელილი თვალებით გადაჰყურებს.

მემორიალთან ხალხი ხშირად იყრის თავს. მერჯევის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ამას წინათ იქ ლიტერატურული დილა გამართეს, სიმღერა-ცეკვასა და დეკლამაციაში ერთმანეთს შეეჯიბრნენ. ორ ლამაზ, ტანაშოლტილ გოგონას შენი სახის იერი და თვალთა შუქი შევამჩნიე, მივუახლოვდი და გამოვესაუბრე:

რა გქვია, გოგონა?

— ტანია.

— შენ? — ვკითხე მეორეს.

— ზოია.

გახარებული გამოვბრუნდი. შენი სიცოცხლე კვლავაც ლამაზად გრძელდება, მუდამ სიყვარულით მოსაგონარო, ძვირფასო დეიდა ტანია!

# წერილი

[illegible] ბიბლიოთეკა

მოთხრობა

ვასილ ბელოვი



გამოჩენილი რუსი მწერალი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვასილ ბელოვი.

სოფელში ჭაჭანება არ არის, ყველა სათიბშია წასული. ქათმები რომ არ იქექებოდნენ გზის მტვერში, სიცოცხლის ნიშანწყალიც ჩამქრალაო, გეგონებოდა. ცხელა, შუადღის პაპანაქებაა. მივდივარ ჩემთვის გზაზე და საზაფხულო სახლის, ანუ, როგორც აქაურები უწოდებენ, წინარის ფანჯრიდან, ძახილი შემომესმა. მივიხედე.

— ვისი ხარ, ბებია გენაცვალოს?

ვუთხარი. ქალმა ყურადღებით მომისმინა და გახარებულმა ენის წკლაპუნით თქვა:

— რა კარგი ყმაწვილი ყოფილხარ!

— ჰმ...

— წერა-კითხვა იცი?

— ისე რა...

— წერილს ვერ დამიწერ?

ასეთმა თხოვნამ, ცოტა არ იყოს, დამაბნია. დავფიქრდი და ვკითხე:

— წერილს?

— ჰო, წერილს.

— ვის უნდა გაუგზავნოთ?

— ვის და მულს არხანდელსკში.

„აბა, თუ მულს უნდა გაეგზავნოს"... — ვთქვი გულში და დაუყოვნებლივ ავედი კიბეზე.

ღმერთო ჩემო, რა სასწაულებს არ წააწყდები კაცი მივლინებაში!

შინ სისუფთავე და სიგრილეა. იატაკზე ლამაზ-ლამაზი ხალიჩებია დაგებული. ხანდაზმული, მაგრამ ჯერ კიდევ მხნე ქალი, წამდაუწუმ მადლობას მიხდის და მიამბობს, თუ სად ყოფილა დღეს სათიბავად, რანაირი ღვეზელები გამოაცხო. წელის ტკივილი დამჩემდა, ბებია, ძროხა კი დიდი თავნება და უწესო მყავს, იმისთანა აზიზ-მაზიზია, ყველაფრის ჭამას არ კადრულობს, იმიტომ რომ დღეს ყველანი და მათ შორის ძროხებიც, უმაღლესი განათლებით არიანო.

— სამოვარი დაგიდგა, ბებია, თუ სუპს შეხვრეპ?

— აბა, რა გითხრათ...

წამსვე მოვედი გონს და ჩაისა და სუპზე ცივი უარი ვთქვი, მაგრამ გვიან იყო და სუფრას მივუჯექი. სუპის შეხვრეპას ძლივს დავაღწიე თავი. სამაგიეროდ „გუბნიკები", ანუ შარშანდელი მჭადასოკოს ღვეზელები გემრიელი მეჩვენა. ღვეზელის ღეჭვას რომ ვამთავრებდი, ავტოკალამი მოვსინჯე. ქალმა კონვერტი, სასკოლო რვეული და ქიმიური ფანქარი გამომიტანა. ჩავახველე:

— მაშ, ასე... საიდან დავიწყოთ?

— ჰო... დიახ... საიდან და სულ თავიდან დაიწყე, ბებია გენაცვალოს.

— ?

— დაწერე, აბანო გადავიტანე, ძროხა კი კარგად იწველება-თქო.

დაბნეულობისაგან კეფა მოვიფხანე:

— ის... რა ჰქვია... თქვენი სახელი და მამის სახელი?

— გრიგორიევნა, ბებია გენაცვალოს, გრიგორიევნას მეძახიან გაჩენის დღიდან.

— ალბათ ჯერ სალამი უნდა შეუთვალოთ, გრიგორიევნა, თუ სხვანაირად აჯობებს?

— სალამი, რასაკვირველია, სალამი უნდა შევუთვალო, ბებია გენაცვალოს. შენ განა ჯერ წერილი არ დაგიწერია? აგერ სულ მინკა მიწერს. ისე კარგად გამოუდის, გულში უზისო, გეგონება.

— რომელი მინკა?

— მეზობლის ბიჭია ერთი, ნიურკას შვილი. მეექვსე კლასში გადავიდა. სწორედ ის მიწერდა წერილებს. ახლა მეორე კვირაა, ბანაკში ცხოვრობს. ამბობენ, საყვირის ხმაზე იღვიძებენ და საყვირის ხმაზე წვებიან დასაძინებლადო. ნიურკა კი ქმარს გასცილდა. მეხუთე წელია, ცალ-ცალკე ცხოვრობენ, ქმარი ხე-ტყის სამრეწველო მეურნეობაში დადიოდა სამუშაოდ. იქ ვიღაც გოგოს გადაკიდებია. უთქვამს, შუაზე რომ გამჭრათ, ამ გოგოს მაინც ვერ ჩამოვშორდებიო. აი რას სჩადიან ის კუდიანები, ის! აბა, ჩვენს დროში ასე იყო? ახლანდელ ქალს ოღონდ კაცი დაანახე და ყველაფერი დაავიწყდება. შენ თვითონ თუ გყავს, ბებია, ოჯახი?

— მყავს.

— შვილებიც გასევია, ალბათ.

ოჰ, ღმერთო ჩემო, ამ ქალს ყველაფრის გაგება სურს! თუმცა არც თავის ამბავს მიმალავს გრიგორიევნა, პირიქით, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ყველა თავის ფრაზაში რაც შეიძლება მეტ ინფორმაციას დებს. ვერ ვიტყვი, რომ ეს ცუდად გამოუდიოდეს.

— აბა, კარგი, — პასუხისმგებლობა ვიგრძენი და შევაწყვეტინე, — მაშასადამე, დავიწყებ ასე: „დღე მშვიდობისა ან საღამო მშვიდობისა..."

— გამარჯობა, ძვირფასო მულო ლუდმილა სტეფანოვნა, — მხარი დამიჭირა გრიგორიევნამ და ტაქტის აყოლებით გაიქნ-გამოიქნია თავი, — მომიკითხე თქვენი ოჯახი, კერძოდ, შვილი კოლია მთელი თავისი ჯალაბობით, ქალიშვილი ვალია ლუსიასა და ვიტიასთან ერთად, მისი ქმარი პაველ სერგეევიჩი, ხოლო ძმას, ესტატეს, უპირველესი სალამი გადაეცი!

— შეჩერდით! — არც თუ ისე გულდაჯერებულად დავსვი წერტილები და მძიმეები და ვაითუ ყველაფერი ამერია. — კოლია თქვენი შვილია, თუ მულის?

— მე, ბებია გენაცვალოს, შვილები არა მყავს. სულ ერთი კვირა ვიცხოვრე ქმართან...

— მაშ, კოლია მულის ვაჟიშვილია?

— ასეა სწორედ.

ახლა კი ჩავწვდი ნათესაურ ხლართებს-მეთქი, — გავიფიქრე და ვკითხე:

— მული თქვენი ძმის ესტატე გრიგორიევიჩის ცოლია?

— ჭეშმარიტად, ბებია გენაცვალოს! თავდაპირველად ლუდმილა სხვა სოფელში იყო გათხოვილი. ნიკოლაი პირველ ქმართან ეყოლა. ცუდი რა მეთქმის, ისიც კარგი კაცი იყო. ომი რომ დაიწყო, მთავარ ქარცეცხლში წაიყვანეს. ჩვენი ესტაშკა კი იმხანად სულ ახალგაზრდა იყო. გარმონი იყიდა და ლუდმილას საშველს არ აძლევდა არშიყობით. ისე შემძულდა ყველაფერი,ამ ქალს თვალებს ამოვთხრი-მეთქი, ვფიქრობდი. ერთხელ სათიბში შემხვდა, გამაჩერა და მითხრა: ქალიშვილო, ის შენი ძმა რომ აგდია, ესტატე, ერთი ისე გაასილაქე, გარყვნილებას თავი დაანებოს და ჩემი ფანჯრის ქვეშ არ დაყიალობდეს, მე ქმარს დღე-დღეზე ველოდები, ის კი გარმონს მიკრავს. მთელ სოფელში სახელი გამიტეხაო, მეც ავდექი და მაგრად მივბეგვე ესტატე.

— ვინ?

— ვინ და ესტატე.

— ის ხომ დიდი ბიჭი იყო, გრიგორიევნა, მოწიფული? — ეჭვი მეპარება.

— რაც მართალია, მართალია, დიდი ბიჭი იყო. მამასთან იზრდებოდა. ძალიან ეშინოდა მისი. მერე დედ-მამა რომ გარდაეცვალა, სახლი ჩემს ხელში გადმოვიდა. გა-



ნახატი თენგიზ სამსონაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავყევი იმ უსინდისოს, იმას!...

— დაანება თავი?

— დროებით ჩავარდა ჭკუაში. ლუდმილას ქმარი ომიდან დაბრუნდა. გულზე იმდენი მედალი ჰქონდა მიბნეული, ბუზი ადგილს ვერ მოიძებნიდა დასაჯდომად. ჰოდა, ასეა ბებია გენაცვალოს, ხალხს შენ მოუშლი ენის ტარტალს? ამდგარან და ლუდმილას ქმრისთვის ამბავი მიუტანიათ, ჩვენი ესტაშკა შენს ცოლს ეარშიყებაო. ლუდმილამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ცოდვაში ფეხი არ ჩამიდგამს და ცილს ნუ დამწამებო, მაგრამ ქმარი ისე შეეპყრო ეჭვიანობას, ცოლთან ღამის გასათევადაც აღარ შედიოდა. მერე იმ კაცმა ერთი-ორჯერ მაგრად აულილავა ტანი ლუდმილას. ქალს ცეცხლი მოეკიდა გულზე, ყველაფერი სიმართლე გითხარი, შენ კი ცემა-ტყეპით მიმასპინძლდებიო, უთხრა ქმარს. მერე ადგა ხალხის ჯინაზე და დღესასწაულის დღეს ქუჩაში გავიდა ესტაშკასთან ერთად. ესტაშკამ გარმონი დაუკრა, ლუდმილამ კი იცეკვა და იცეკვა. მერე ხელი ჩაავლო ესტაშკას და წავიდნენ... ოჰ, ბებია გენაცვალოს, რა არ გამოვიარე იმ უსინდისოს გადამკიდემ! ყველაფერი გულში ჩავიკალი, ხმა არ ამომიღია. ლუდმილას ქმარმა სხვა გოგო მოიყვანა ცოლად. ესტაშკა კი ერთ დღეს არ მოსულა შინ, მეორე დღეს... ხმა დაირხა, ქორწილს აპირებენო. სულ ცრემლებით ვიხრჩობდი თავს. მერე გავიფიქრე, თუ ჩემი მისვლა ესიამოვნებათ, მივალმეთქი და ქორწილში ამოვყავი თავი. გუშინდელ დღესავით მახსოვს, ესტაშკას სასმელი მოეკიდა, ლუდმილამ კი სიმღერა წამოიწყო: „ომში წასულს ვუერთგულე და ცრემლებიც ვღვარე ბევრი, ომიდან რომ დამიბრუნდა, აღარ დამრჩა მადლიერი“. წესიერი ცხოვრება დაიწყეს, მაგრამ განა ეს ცხოვრება იყო? ხალხი მაინც ლანძღავდა ორივეს. დაკრეს ფეხი და არხანდელსკში გადასახლდნენ.

— ვალია განა ესტატეს ხელში არ ეყოლა ლუდმილას?

გრიგორიევნას გულწრფელად გაეცინა:

— ვალიასაც თავისი ქალიშვილი ჰყავს, ახლა კი ბიჭიც შეეძინა. ვიტია დაარქვეს. ვალიამ ინსტიტუტი დაამთავრა. მის ქმარს პაშას ეძახიან, იქაურია, დედამისს ორი შვილი ჰყავდა, ერთმა მემანქანეობა ისწავლა, მეორე კი პარტიული ხაზით წავიდა სამუშაოდ, სამაისოდ ოთახი მიუციათ. ყველა მეპატიჟება, ჩამოდი და ჩამოდიო, მაგრამ სადა მცალია, ბებია გენაცვალოს, წასასვლელად. ზაფხულობით სათიბში ვაგდივარ, ზამთარში კი სხვების საპატრონოდ ვერ დავტოვებ ძროხას.

— ასეა სწორედ.

— დაწერე, ჯანმრთელობამ მიღალატა, ფეხზე ჩამოვხმი-თქო. სულ სათიბში დავდივარ, ცუდი ამინდი დაიჭირა, ასხამს და ასხამს წვიმა-წუნწუხი. აბანო გადავიტანე, ძროხა კი კარგად იწველება-თქო.

— „ძროხა კარგად იწველება“. მერე?

— ამანათი მივიღე-თქო. ესტატე, შენ რომ მეკითხები, მეც გიპასუხებ: გაზაფხულზე თევზი მოვიმარაგეთ. სენია ივანუშკოვმა ათი ფუთი ნაფოტა დაიჭირა. ზაპოლნაია რომ იყო, ტაისია, ჩაბარდა პატრონს-თქო. ტოლკა ოზერნიკოვმა ვიღაც ჩამოსული ვეტერინარი ქალი შეირთო. პოტაპოვის რძალს ტყუპები შეეძინა, ერთს ანგელინა დაარქვეს, მეორეს — ვოვა. სამოვარიხამ სახლი ოსიპს მიჰყიდა, თვითონ კი სიძესთან, ვასილ ტიოპლისთან გადავიდა საცხოვრებლად, მაგრამ ქალიშვილს ვერ შეეგუა და ერთმანეთს ლანძღავენ. ახლა მოხუცებულთა სახლში აპირებს წასვლას მუქთ ხარჯზე-თქო. კიდევ რა დამავიწყდა?

შევისვენე.

— თითქოს ყველაფერი ჩამოვთვალე. ჰო, დაწერე კიდევ, ბებია გენაცვალოს, მესტუმრონ, სანამ ძროხა იწველება. დაწერე?

— დავწერე.

— ახლა დედამიწის ზურგზე უთქვენოდ დავრჩი-თქო მარტო პოლინარია.

ქალმა ამოიოხრა, ცრემლები გადმოჰყარა. მე კი ჩემი ქმნილება წავუკითხე:

— ვარგა?

— ოჰ, კარგია, ბებია, კარგი, უკეთესი არც შეიძლება. ახლა ბარემ მისამართიც წააწერე...

ჩემი შრომის საფასურად ხელკალათით კვერცხები გამოიტანა და ათი ცალი შემომთავაზა. სულ მოვიშალე. უარი რომ ვუთხარი, დიდხანს ოხრავდა:

— აბანო ხომ არ გაგიხურო?

— არა, მადლობელი ვარ.

— მადლობა მე უნდა გითხრა, ბებია მიხსენი ქალი. შენ აკიმ ივანოვიჩის სიძე არა ხარ?

— არა, აკიმის სიძე არა ვარ.

ზურგჩანთა ავიღე, გამოვემშვიდობე და კიბეზე ჩავედი. ქალმა ჩამომაცილა და კიდევ დიდხანს იდგა კიბესთან. ხელები ლურჯ წინსაფარზე დაეწყო. სიამოვნებას მგვრიდა ის ამბავი, რომ ჩემს წერილს მალე შორეულ „არხანდელსკში“ მიიღებდნენ.

თარგმნა გივი კაკაბაძემ.

# ხალხთა ძმობა








საბჭოთა კავშირის გმირი, კოსმონავტი გიორგი ბერეგოვოი.

მწერალი ალექსანდრე კორნეიჩუკი.

კონსტანტინე გამსახურდია.

მწერალი ვალენტინ კატაევი.

პოეტი ბელა ახმადულინა.

გიორგი ლეონიძე.

ფოტო ალექსანდრე გროტსკისა.





ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ლევან ბაგრატიონი

ლოვარდ ტუხაშვილი,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

1756 წლის 1 თებერვალს თბილისელ მოქალაქეებს აუწყეს სასიხარულო ამბავი — ერეკლე მეორის ახალგაზრდა მეუღლეს, დარეჯან დადიანს, შეეძინა ვაჟიშვილი, რომელსაც ლევანი დაარქვეს.

ერეკლე მეორეს 24 შვილი ჰყავდა, აქედან 16 ცოცხალი, მის უფროს ვაჟიშვილს გიორგი მეთორმეტეს — 22, ამ მრავალრიცხოვან ბატონიშვილთა შორის მკვეთრად გამოირჩეოდა ლევან ბაგრატიონი. საოცრად უყვარდა ეს შვილი დარეჯანს. მაინც იძულებული გახდა, აღსაზრდელად სხვისთვის გადაეცა... მოუსვენარი ცხოვრება ჰქონდა ერეკლე მეორეს. თეიმურაზ მეორის რუსეთში გამგზავრებამდე უმთავრესად თელავში იჯდა. ბუნებრივია, თავისთან ჰყავდა ახალგაზრდა დედოფალიც. ამიტომაც ლევანი თეიმურაზ მეორის მეუღლემ ანა-ხანუმ ითამისშვილმა დაიტოვა, უბედობა დაჰყვა ულამაზეს, სათნო ანა-ხანუმს: მისი აღზრდილები უცნაური განგების ნებით ნაადრევად კვდებოდნენ.

პატარა ლევანი სვეუბედური ანა-ხანუმის საბოლოო იმედად იქცა.

ნებიერი ბავშვობა ჰქონდა უფლისწულს. ლაღად იზრდებოდა მზრუნველი გადიებისა და სასულიერო პირების ხელში, მის სახქლზე ირიცხებოდა ანა-ხანუმის ქონებაც და არაგვის საერისთავოც. 1763 წელს ერეკლე მეორემ რუსეთიდან დააბრუნა ანტონ I, რომელიც კვლავ კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს. მან დიდი ამაგი დასდო ერეკლეს შვილების განსწავლას. ყველაზე ნიჭიერი მოწაფე ლევან ბატონიშვილი აღმოჩნდა. მან ბეჯითად გაიარა ყველა ის მეცნიერება, რომელიც სავალდებულოდ ითვლებოდა ქ. თბილისისა და ქ. თელავის „ფილოსოფიურ" სემინარიებში.

ლევან ბატონიშვილი განსაკუთრებით დაინტერესდა სამხედრო ხელოვნებით. ეს იმდროინდელი ახალგაზრდობის საერთო გატაცება იყო, განპირობებული სიტუაციით. უწყვეტი საომარი ბატალიები საყოფაცხოვრებო მოვლენა გახდა. თითქმის წაიშალა საზღვარი სამოქალაქო და სამხედრო პროფესიათა შორის. თვით ვაჭარ-ხელოსნებიც კი ეუფლებოდნენ იარაღს. ქართველი არისტოკრატები შვილებს ბავშვობიდანვე წვრთნიდნენ, ამზადებდნენ ბრძოლისათვის. ასეთ გარემოში ხდებოდა ლევან ბაგრატიონის დავაჟკაცება. მისი ნამდვილი სამხედრო მასწავლებელი იყო ერეკლე II, ბრწყინვალე პრაქტიკოსი, საბრძოლო ტაქტიკის შეუდარებელი მცოდნე... ერეკლე გრძნობდა არმიის რეორგანიზაციის საჭიროებას, იგი ხშირად იწვევდა უცხოელებს. რუსეთში სასწავლებლად აგზავნიდა ქართველ ახალგაზრდებს. მოუწოდებდა საკუთარ ვაჟიშვილებსაც, გაცნობოდნენ ევროპულ-რუსულ სამხედრო ხელოვნებას. სწორედ ასე იზრდებოდა ყრმობიდანვე ლევანიც. ცნობილია, რომ ქართველი არისტოკრატები უკვე 14-15 წლის ასაკიდან ებმებოდნენ პრაქტიკულად ბრძოლაში. 15 წლის ასაკში მოიგო ერეკლემ პირველი ბრძოლა.

14 წლისა იყო ლევან ბატონიშვილი, როდესაც 1770 წელს მამამისმა ჩართო ახალციხის საფაშოს წინააღმდეგ სამხედრო ექსპედიციაში. იგი მონაწილეობდა აწყურის ციხის იერიშში. გენერალ ტოტლებენის მოულოდნელი უკუქცევის შემდეგ თავი გამოიჩინა ასპინძის ბრძოლებშიც. ამ ბატალიების დროს მას ოფიციალურად ჯერ კიდევ არ ჰქონდა მინიჭებული სამხედრო წოდება, იგი თავისებურ სტაჟირებას გადიოდა დავით სარდალთან, რუსული არმიის ყოფილ ოფიცერთან. სამხედრო საქმე არ იყო ლევან ერეკლეს ძე ბაგრატიონის მოღვაწეობის ერთადერთი ასპარეზი. ვიდრე რუსეთის კორპუსი საქართველოდან გავიდოდა, ეკატერინე მეორის რწმუნებულის, კაპიტან ლვოვის რჩევით, ქართლ-კახეთის სამეფოდან პოლიტიკური პროტექტორატის სათხოვნელად გაიგზავნა საგანგებო ელჩობა ანტონ პირველისა და ლევან ბატონიშვილის ხელმძღვანელობით. მასში მონაწილეობდნენ მდივანბეგი ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი, მდივანი სულხან ბეგთაბეგიშვილი, დეკანოზი სოლომონ ალექსის ძე მესხი და სხვები. ელჩობა გაემგზავრა 1771 წლის დეკემბერში. ლევან ბატონიშვილის ელჩობაში ჩართვა არ ყოფილა შემთხვევითი. ერეკლეს სურდა, ეჩვენებინა რუსეთის მთავრობისათვის, რომ იგი ამ წარმომადგენლობას მაღალ მისიას უსახავდა.

ერეკლეს სურდა, ლევანი შესულიყო რუსეთის სამხედრო სკოლაში. ელჩობა დიდხანს გაგრძელდა. მხოლოდ 1773 წლის 27 აპრილს წარუდგნენ ელჩები იმპერატრიცას და შესთავაზეს მფარველობაში შესვლის პირობები, რომელიც რუსეთის მთავრობამ იმ პერიოდში არ მიიღო. ამ ელჩობას მაინც არ შეიძლება წარუმატებელი ეწოდოს. ანტონ პირველმა და ლევან ბატონიშვილმა გააბათილეს ეჭვი ერეკლე მეორის ლოიალობის შესახებ (რაც ტოტლებენის უგვანო საქციელმა დაბადა), გაანეიტრალეს აგრეთვე ქართლელი თავადების ერთი მცირე ნაწილის შეთქმულებისადმი რუსეთის უმაღლესი მოხელეების მხარდაჭერა. სამნახევარი წლის განმავლობაში რუსეთში მოგზაურობამ უაღრესად გააფართოვა ჭაბუკი ბატონიშვილის თვალსაწიერი, იგი კარგად გაეცნო ჩრდილოური სახელმწიფოს სტრუქტურას, სამხედრო საქმეს. ღრმად განსწავლული ანტონ პირველის გვერდით ყოფნამ დიდი გავლენა მოახდინა მისი მსოფლმხედველობის ფორმირებაზე. ფაქტიურად ამ წლებში ჩამოყალიბდა იგი დასრულებულ პიროვნებად. სანამ ლევან ბატონიშვილი რუსეთში იმყოფებოდა, საქართველოში სცადეს სამხედრო რეფორმის გატარება. რადგან სახელმწიფოს ხაზინას არ შეეძლო რეგულარული არმიის შენახვა, 1773 წ. 4 იანვარს დარბაზმა ერეკლეს ინიციატივით მიიღო „მორიგე ჯარის განჩინება". იმავე წელს მარტიდან „მორიგეებმა" დაიწყეს მოქმედება. ერთი წლის განმავლობაში ამ ახალი ტიპის ლაშქარს უშუალოდ ერეკლე II სარდლობდა... 1774 წლის შემოდგომიდან „მორიგეთა" ნამდვილი მეთაური, სულის ჩამდგმელი გახდა ლევან ბატონიშვილი. მან ოფიციალურად მიიღო სარდლის სახელო. სამეფოში ლევან ბატონიშვილის პოზიცია კიდევ უფრო განამტკიცა ქაიხოსრო ანდრონიკაშვილის ასულ ნინოზე დაქორწინებამ, მდივანბეგი ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი ფაქტიურად განაგებდა საგარეო საქმეებს, კერძოდ ირანთან ურთიერთობას და დიდი ავტორიტეტიც ჰქონდა. ლევან ბატონიშვილის ხელმძღვანელობით „მორიგე ჯარი" მეტად ეფექტური ძალა აღმოჩნდა დაღესტნელთა მუდმივი თარეშის აღსაკვეთად. მცირე ნაწილებად დაყოფილმა „მორიგეთა მფრინავმა რაზმებმა" არა ერთი დარტყმა მიაყენა მოთარეშეებს. ამ მრავალრიცხოვან შეტაკებებში მხედართმთავრის დიდი ნიჭიერება, ენერგია და ორგანიზაციის უნარი გამოამჟღავნა ლევან ბატონიშვილმა. მისი მაგალითით „მორიგეებში" ბევრი თავადი და აზნაური ჩაეწერა. 1774 1781 წლებში შესამჩნევად იკლო „ლეკიანობამ".

ლევან ბატონიშვილმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა XVIII საუკუნის 70-იანი წლების თავადური ოპოზიციის განადგურებაში. მისი მონაწილეობით მოხდა 1776 წელს ცარიზმის აგენტის ბაკუნინის შეთქმულების, 1777 წლების ქსნის ერისთავების ღალატის ლიკვიდაცია. იგი ცალკე კორპუსს მეთაურობდა ერეკლეს 1778 წელს განჯაზე, 1779 და 1780 წლებში ერევანზე ლაშქრობის დროს.

XVIII საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში ქართლ-კახეთში გაჩნდა თავისებურად მოაზროვნე ახალგაზრდა თავადაზნაურობა, იბადებოდა ქვეყნის გარდაქმნის ახალი იდეები. თბილისში სწრაფად აღწევდა ევროპული კულტურის მძლავრი ნაკადი. ერეკლე ცდილობდა განევითარებინა მეტალურგია, მრეწველობა, ვაჭრობა, განათლება. მისი ბრძანებით ხდებოდა ქართველი ახალგაზრდების [illegible]ბა სამრეწველო და [illegible] საქმეების შესასწავლად. მეფემ რუსული არმიის მიბაძვით დააწესა ევროპული სამხედრო წოდებანი. ერთ-ერთი პირველი გენერალი გახდა ლევან ბატონიშვილი.

ლევან ბატონიშვილი, უაღრესად თავგამოდებული „მორიგე ჯარის" უკეთ მოწყობით, ჯარში ე. წ. „რუსული არტიკულების" დანერგვით, ბრძოლაში ზღაპრულად მამაცი, მშვიდობისას ეწეოდა სრულიად თავისუფალ, დარდიმანდულ ცხოვრებას.

თავისი ეპოქის „ოქროს ახალგაზრდობის" ნამდვილი კერპი, საოცრად დემოკრატიული იყო სამხედრო წრეებში. ასეთმა თვისებებმა შეუქმნა არაჩვეულებრივი პოპულარობა მოსახლეობის თითქმის ყველა ფენაში, გადაიქცა ფოლკლორულ გმირად. ამ მხრივ იგი მხოლოდ თავის სახელოვან მამას თუ ჩამორჩება. მასზე იქმნებოდა ლექსები და სიმღერები არა მხოლოდ ქართულ ენაზე. მას დიდი სახელი ჰქონდა დაღესტანში, აზერბაიჯანში, განსაკუთრებით უყვარდათ მთიელებს — თუშ-ფშავ-ხევსურებს, დიდ პატივს სცემდნენ ქვემო ქართლის მაჰმადიანები.

1781 წლის 27 თებერვალს ლევან ბატონიშვილი დაიღუპა სრულიად მოულოდნელად, 25 წლის ასაკში, თავად ივანე აბაშიძის სახლში, სოფელ ვეჯინში. გამოძიებამ ვერ დაადგინა მკვლელი. არსებობს რამდენიმე დაუსაბუთებელი ვერსია. სხვადასხვა დროს ბრალი დასდეს ასათ შარმაზანის ძე ვაჩნაძეს, რევაზ პაპუას ძე ანდრონიკაშვილს (გიორგი მეთორმეტის ცოლისძმას). არ არის გამორიცხული, იგი შეეწირა სასახლის ინტრიგებს. შესაძლოა, გიორგი ბატონიშვილთან დაკავშირებულ თავად-აზნაურობას შეეშინდა მისი არაჩვეულებრივი პოპულარობისა. უარყოფითი როლი შეასრულა იმ გარემოებამაც, რომ გავრცელდა ეჭვი თითქოს ერეკლე II ლევან ბატონიშვილს ამზადებდა გაერთიანებული საქართველოს მეფედ. სახელოვანი უფლისწულის სიკვდილი აუნაზღაურებელი აღმოჩნდა. მალე დაიშალა „მორიგე ჯარი". ლევან ბატონიშვილის ტრაგიკული აღსასრულის შემდეგ ერეკლე მეორეს არ აღმოაჩნდა დიად საქმეთა ღირსეული გამგრძელებელი.

# ნიკოლოზ ტიხონოვი და სანდრო შანშიაშვილი



ნიკოლოზ ტიხონოვი.

ნიკოლოზ ტიხონოვი საქართველოს პირველად 1924 წელს ესტუმრა. ამ დროიდან მოყოლებული სიცოცხლის ბოლომდე მას მჭიდრო მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა გიორგი ლეონიძესთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან, ტიციან ტაბიძესთან, იოსებ გრიშაშვილთან, სიმონ ჩიქოვანთან, სანდრო შანშიაშვილთან, ირაკლი აბაშიძესთან...

ნიკოლოზ ტიხონოვს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ლიტერატურის წინაშე. იგი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ რუსი მკითხველებისათვის ახლობელი გაეხადა ქართული მწერლობა.

ნიკოლოზ ტიხონოვმა ბევრი რამ გააკეთა სანდრო შანშიაშვილის შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეში. ცნობილია მათი პირადი და შემოქმედებითი ურთიერთობა (ნ. ტიხონოვმა თარგმნა ს. შანშიაშვილის მრავალი ლექსი). ფართო შესწავლის საგანს წარმოადგენს აგრეთვე ის დიდი შრომა, რაც ნ. ტიხონოვმა წლების განმავლობაში გასწია, როგორც სანდრო შანშიაშვილის რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ექვსი კრებულის რედაქტორმა და მისი შემოქმედების მკვლევარმა. თითოეული კრებული ცხადყოფს, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ნ. ტიხონოვი ს. შანშიაშვილის პოეზიის რუსულად გამოცემის საქმეს. ეს ნათლად ჩანს იმ წერილებიდანაც, რომლებიც დიდმა მწერალმა გაუგზავნა პოეტ-მთარგმნელს იგორ პოსტუპალსკის (თ. ოსტროვსკაია-ორდუხანიანი, ნიკოლოზ ტიხონოვის წერილები. „ოგონიოკი“, 1982, № 10). ს. შანშიაშვილის კრებულზე მუშაობისას ტიხონოვმა ჯერ კიდევ 1946-1947 წლებში მიიწვია პოეტების დიდი ჯგუფი — ვლადიმერ ლუგოვსკოი, ალექსანდრე მეჟიროვი, ელიზბარ ანანიაშვილი, ვერა ზვიაგინცევა, ვასილ ცველევი და სხვები, რომელთა შორის იყო იგორ სტეფანეს ძე პოსტუპალსკიც. „იგორ სტეფანეს ძევ, — წერდა ტიხონოვი მას, — მე სრულებით გამომრჩა შანშიაშვილის რომელი ლექსის ტრანსკრიფცია და რითმის წყობა უნდა დამეწერა თქვენთვის. დამირეკეთ და მე მაშინვე მოგართმევთ. გამარჯვებით. ნ. ტიხონოვი 26. VIII. 47“. მეორე დღესვე ტიხონოვმა გაუგზავნა საჭირო ინფორმაცია პოსტუპალსკის: „გიგზავნით შანშიაშვილის ლექსების ჩემს მიერ შემოწმებულ ტრანსკრიფციას... სტროფებს აქვთ ერთნაირი რიტმიკა, რომელიც მეორდება. აქ ასეთივე რითმაა, როგორც პირველ სტროფში, გისურვებთ წარმატებას. ნ. ტიხონოვი“.

ჩვენ ხელთა გვაქვს მასალები, რომლებშიც გამოთქმულია ტიხონოვის კრიტიკული მოსაზრებანი სანდრო შანშიაშვილის შემოქმედების შესახებ. ისინი შესულია კრიტიკულ-ბიოგრაფიულ ნარკვევში, უფრო სწორედ ესსეში, რომელიც თან ერთვოდა შანშიაშვილის კრებულის პირველ (1948 წლის) მოსკოვურ გამოცემას. იგი მცირეოდენი ცვლილებებით და დამატებებით შევიდა ქართველი პოეტის რუსულ ენაზე შემდგომ გამოცემულ წიგნებში (1949, 1957, 1968, 1977 წლებში). სწორედ ამ კრებულების წინასიტყვაობაში არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული დიდი რუსი პოეტისა და კრიტიკოსის მოსაზრება თავის ქართველ თანამოკალმეზე.

გოეთე ამბობდა, თუ გინდა გაიგო პოეტი, მის ქვეყანაში გაემგზავრეო. ნიკოლოზ ტიხონოვიც შესავალში კახეთის ისეთ ცოცხალ, შთამბეჭდავ სურათს იძლევა, რომ ნათლად ჩანს, ავტორს ფეხდაფეხ აქვს შემოვლილი მთელი საქართველო:

„თქვენს წინაშეა კახეთი — შრომისმოყვარე გლეხობის, ღია გულისა და თავისუფლების მოყვარე მეღვინეებისა და მწყემსების, მელექსეებისა და მონადირეების მიწა“.

უნებურად გვაგონდება ლექსი, რომელიც ტიხონოვმა შანშიაშვილს მიუძღვნა: «Представить не могу Кахетии я без стихов Шаншиашвили...».

შემდეგ მოდის ვრცელი ინფორმაცია სანდრო შანშიაშვილის ახალგაზრდულ წლებზე. წერილში მოცემულია შანშიაშვილის შემოქმედებითი გზის ზუსტი დახასიათება: „რა თქმა უნდა, — წერს ნ. ტიხონოვი, — წლების მანძილზე პოეტმა ბევრი თემა და განწყობილება შეცვალა, ბევრი რამ ადრინდელ ლექსებში უკვე ლიტერატურის ისტორიას განეკუთვნება, ბევრი შეცდომაცაა, იმდროინდელ შემოქმედებაში გვხვდება მაღალფარდოვანი რიტორიკული ლექსები, სიმბოლისტური პოემები, სენტიმენტალური სოფლის იდილიები, რომლებშიც იგი უმღერის ქვეყნის შორეულ წარსულს, მაგრამ ამასთანავე ერთად მის პოეტურ მემკვიდრეობაში ბრწყინავენ ჭეშმარიტი ნაწარმოებები, რომლებიც სავსეა ცხოვრებისეული მგზნებარებით“.

საინტერესოა ნიკოლოზ ტიხონოვის კრიტიკული მოსაზრებანი სანდრო შანშიაშვილის დრამატურგიაზე:

„სანდრო შანშიაშვილი ნამდვილი პოეტი-დრამატურგია. თავის ისტორიულ პიესებში იგი გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე თანამედროვე თემაზე დაწერილ პიესებში. მის ისტორიულ ნაწარმოებებს არ მივყავართ რაღაც გაქვავებული სახეების არქეოლოგიურ სამყაროში. ისინი დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ თავის სიცოცხლისუნარიანობით, სიმართლით და რომანტიკულად ამაღლებული, ძლიერი გმირული ხასიათებით“.

დაწვრილებით იხილავს ნ. ტიხონოვი უკვე კლასიკურ პიესებად ქცეულ ნაწარმოებებს: „არსენა“, „კრწანისის გმირები“, „გიორგი სააკაძე“, „იმერეთის ღამეები“.

1968 წლის 18 სექტემბერს სანდრო შანშიაშვილის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით ნ. ტიხონოვმა „ლიტერატურნაია გაზეტაში“ გამოაქვეყნა სტატია „საქართველოს მომღერალი“, რომელშიც წერდა: „მისი ლექსები გვხიბლავს თავისი გულწრფელობით და ჟღერადობით. ამ ლექსებში არის — მთები და მდელოები, რომლებიც სავსეა არაჩვეულებრივი ყვავილებით, მშრომელი ხალხის წეს-ჩვეულებით, ტყეებით, ახალგაზრდული სიყვარულით... იგი ყველგან აღწევს დიდ პოეტურ ჟღერადობას, მელოდიურობას და ღრმა გრძნობის გულწრფელ გადმოცემას... მისი შემოქმედება სუნთქავს მშობლიური მზის ელვარებით და კახეთის მიწის სურნელებით“.

სანდრო შანშიაშვილის პოეზიის დაუღალავმა პროპაგანდისტმა 1977 წლის მორიგ თბილისურ გამოცემაში, ისევე როგორც წინათ, კვლავ მაღალი შეფასება მისცა ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთ გამოჩენილ წარმომადგენელს. სანდრო შანშიაშვილისადმი თავისი პატივისცემის გასაძლიერებლად ნ. ტიხონოვი იხსენიებს მისდამი მიძღვნილ გიორგი ლეონიძის ლექსს:

„შენ ალაზნის ბერმუხავ,
ბერო და მაინც მაგარო.
ლექსის მეზვრეო, მერთვლეო,
ნაღვაწო, ნაამაგარო!“

და აღფრთოვანებით წერს:

„სანდრო შანშიაშვილი ნამდვილი ჯადოქარია — ლექსის მარნის მეზვრე, მერთვლე! დაე განვლოს წლებმა, — მისი ღვინო ძველებურად გათრობს, იმიტომ, რომ დრო მხოლოდ გვამოწმებინებს მის სიმაგრეს, ძალასა და სინაზეს, ამასვე აღიარებენ მომავალი თაობის წარმომადგენლებიც...“

სანდრო შანშიაშვილის შემოქმედების ეს მართებული დახასიათება შეავსო ლექსმა, რომელიც ეძღვნება, როგორც თავად ნ. ტიხონოვი წერს, „ძველ მეგობარს კახეთიდან, ჩვენს ბერმუხას, საყვარელ სანდრო შანშიაშვილს“:

«Старейший! Что значит старейший
Пусть годы ушли в небеса,
Не стала от этого меньше
Кахетии новой краса...».

ზურაბ დარსაველიძე.

„დროშის" კონკურსის გამარჯვებული

# ჩემი ძმის მეჰყვი

ტარიელ ხავთასი

კონსტანტინე ხანთაძის გარდაცვალებამ ჩვენი სოფელი შეძრა. მშრომელი კაცი იყო კონსტანტინე, მტერ-მოყვრის გამკითხავი, სიკეთით სავსე. ამიტომაც იყო, მის დაკრძალვას უამრავი ხალხი რომ მოაწყდა. მიცვალებულისათვის პატივის მისაგებად ახლო-მახლო სოფლებიდანაც ჩამოვიდნენ და ქალაქებიდანაც.

ხალხით სავსე ეზოს მეზღვაურის ფორმაში გამოწყობილი პოლკოვნიკი მოადგა, რომელსაც ქერა ქალი და გოგონა მოჰყვებოდნენ.

პოლკოვნიკი ჩქარი ნაბიჯით აუყვა კიბეს, ძაძებით მოსილ ოთახში შევიდა და ცხედართან ჩაიჩოქა.

— მამა! — ამოიგმინა ახლად მოსულმა და მიცვალებულს დაემხო.

— ბორისია!

— კონსტანტინეს დაკარგული შვილი!

— დაკარგული კი არა, ნაპოვნი! — სიოსავით ჩაიქროლა ხალხით გაჭედილ ოთახში ჩურჩულით ნათქვამმა სიტყვებმა.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კონსტანტინე ხანთაძე ოცდაათიანი წლების დასასრულს, კვების მრეწველობის ლენინგრადის ერთ-ერთ ახალშექმნილ საწარმოში გაანაწილეს.

კონსტანტინემ მალე მთელი კოლექტივის პატივისცემა დაიმსახურა.

ერთადერთი თანამშრომელი, რომელთანაც ვერ იქნა და საერთო ენა ვერ გამონახა, ლაბორატორიის გამგე — ცისფერთვალება, მოხდენილი ქალიშვილი ეკატერინე ფროლოვა იყო.

ეკატერინეს კონსტანტინესთან უცნაურად ეჭირა თავი. ხან ულიმოდა, ხან კიდევ კოპებს შეკრავდა და რაღაც წვრილმანებზე ეკირკიტებოდა.

ადგა კონსტანტინე, გაზაფხულის ერთ მშვენიერ საღამოს ლაბორატორიის გამგეს სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ქუჩაში დახვდა და შინ მიაცილა.

აი, ამ დღიდან დაიწყო მათი დაახლოვება.

კონსტანტინე ხანთაძე და ეკატერინე ფროლოვა შეუღლდნენ და ახალ ოჯახს ჩაუყარეს საფუძველი.

ერთი წლის შემდეგ მთელმა საამქრომ მიულოცა კონსტანტინეს ვაჟიშვილის შეძენა.

მომდევნო წლის შვებულება ცოლქმარმა პატარა ბორიასთან ერთად გურიაში გაატარეს.

მანქანები მაშინ სად იყო. ახლობლებმა სტუმრად ჩამოსულები ეტლით მოატარეს ყველგან. რუს რძალს ბახმაროც ანახეს, ნასაკირალიც, ურეკის პლაჟიც დაათვალიერებინეს; შემოქმედშიც ეწვივნენ მოკეთეებს, სურებშიც და საჭამიასერშიც...

— რა მშვენიერია! — აღტაცებას ვერ ფარავდა ეკატერინე და გაბრწყინებული თვალებით შესცქეროდა გურიის წარმტაც სანახებს.

დამშვიდობებისას უფროსმა მაზლმა გარსევანმა ეკატერინე მარანთან მიიხმო და მიწაში ჩაყრილი ქვევრები ანახა.

— აი ეს ქვევრი თქვენს სახელზეა, — დახრილმა გარსევანმა რძალს და ძმას ახედა, — გაისად რომ ჩამოხვალთ, მხოლოდ მაშინ გავხსნით. გელოდებით!

* * *

მომავალი შეხვედრა აღარ შედგა.

დაიწყო დიდი სამამულო ომი.

კონსტანტინე ხანთაძემ, ცოლ-შვილით საქართველოში გამომგზავრების ნაცვლად, ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა და ფრონტს მიაშურა.

ფაშისტები გააფთრებით მოიწევდნენ წინ. ინგრეოდა სოფლები და ქალაქები. ლენინგრადი ბლოკადაში მოექცა. დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სვასტიკიანი გერმანელები დათარეშობდნენ.

შაშხანაჩაბღუჯული კონსტანტინე თანამებრძოლებთან ერთად შეუპოვრად იბრძოდა და ბერლინისაკენ მიმავალ გზას გასცქეროდა.

ასე იარა ბერლინამდე. სანუკვარი გამარჯვება სამშობლოს ჯილდოებით მკერდდამშვენებულმა კონსტანტინემ დაცხრილულ რაიხსტაგთან იზეიმა და შინისაკენ გამოემგზავრა.

რა თქმა უნდა, გულმა პირველად ლენინგრადისაკენ გაუწია.

ბლოკადის დაწყების შემდეგ ცოლთან მიმოწერა შეწყდა. გურიიდან მიღებულ ახლობელთა წერილებშიც არაფერს იწერებოდნენ ეკატერინესა და ბორიაზე. გული რაღაც ავს უგრძნობდა.

თავზარდაცემულმა კონსტანტინემ ლენინგრადში შეიტყო, რომ მისი მეუღლე ეკატერინე ფროლოვა ფაშისტების ერთ-ერთი საჰაერო თავდასხმის დროს დაიღუპა.

— ბორისი?

ბიჭის შესახებ ვერაფერი უთხრეს.

* * *

რაც თავი მახსოვს, ჩვენს ოჯახში მუდამ საპატიო ადგილზე ეკიდა დროთა სვლით ჩაყვითლებული სურათი, რომელზეც მომღიმარი ბიჭუნა იყო აღბეჭდილი.

— ბორისია, თქვენი ძმა! — გვეტყოდა ხოლმე ხან ბებია, ხან ბაბუა და სიმწრით შეიმშრალებდნენ ცრემლებს.

მე და ჩემი უფროსი ძმა გაოცებით გადავხედავდით ერთმანეთს და ვერ გაგვეგო, ეს ლამაზ-ლამაზი, თმახუჭუჭა ბიჭი, რომელიც სურათიდან გვიმზერდა, როგორ იყო ჩვენი ძმა.

იმასაც შევსწრებივართ: მამა გულხელდაკრეფილი იდგა კედელთან, თვალს არ აშორებდა სურათს და უხმოდ ტიროდა.

აბა მაშინ რა გვესმოდა. როცა წამოვიზარდეთ, ყველაფერი გავიგეთ. ისიც ნათელი გახდა, შვებულების დროს მამა რატომ მიემგზავრებოდა ხოლმე ლენინგრადში.

მამის ცდა ამაო გამოდგა — უგზოუკვლოდ დაკარგულ ბორისს ველარ მიაკვლიეთ.

* * *

ერთ საღამოს ჩვეულებისამებრ მაგიდას შემოვუსხედით სავახშმოდ.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა და ყველამ მკაფიოდ გავიგონეთ რადიო-დიქტორის სიტყვები:

— თქვენ მოისმინეთ კომპოზიტორ ვლადიმერ სოლოვიოვის „მეზღვაურის სიმღერა". ტექსტის ავტორია ბორის ხანთაძე...

ყველამ მამას გადავხედეთ.

— ჩემს ბიჭსაც ბორისი ერქვა, — თქვა ფეხზე წამომდგარმა მამამ და ჩაფიქრებულმა დასძინა, — ამ ტექსტის ავტორიც ბორისია... ბორის ხანთაძე.

...რამდენიმე დღის შემდეგ მამა და ჩვენი მესამე ძმა — ბორისი ერთად ჩამოვიდნენ საქართველოში.

* * *

ბორისი საშუალო ტანის ვაჟკაცია, მხიარული და კარგი მოსაუბრე.

მომდევნო ძმებს — ავთანდილს და მე იერსახით ძალიან გვგავს.

დავსხდებით ხოლმე ძმები და ვინ იცის, მერამდენედ გვიამბობს ბორისი:

— რასაც ახლა მოგითხრობთ, იცოდეთ, ჩემმა გამზრდელმა კლავდია აკიმოვამ გადმომცა. მე მაშინ პატარა ვიყავი და არაფერი მახსოვს...

შეჩერდება ბორისი, ამოიოხრებს და სევდიანად განაგრძობს:

— იმ დაწყევლილ საღამოს, როცა დედა ნანგრევებში მოექცა, მე თურმე რაღაც სასწაულით გადავრჩი. დაბომბვა გრძელდებოდა. მე კი ვიჯექი და ნანგრევებიდან დედის გამოსვლას ველოდებოდი.

გვერდით უცნობმა ქალმა ჩამიქროლა, რომელიც ბავშვს მიარბენინებდა თავშესაფარში. როცა დამინახა, შეჩერდა და მომაძახა:

— აქ რას უზიხარ? წამო! გამოიქეცი!

როცა გაიგო, რომ ნანგრევებიდან დედის გამოსვლას ველოდებოდი, აღარ დაუყოვნებია, დამტაცა ხელი და თავშესაფარში შემიყვანა. აი იქ გაიგო კლავდია ივანეს ასულმა, რომ ბორისი მქვია, რომ გვარად ხანთაძე ვარ და დედაჩემს კატიას ეძახიან.

— მამას რა ჰქვია? — მკითხა თურმე კლავდია ივანეს ასულმა.

— მამა!

ეს იყო და ეს. მე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ მამაჩემს „მამა" ჰქვია და მეტი არაფერი.

მოგვითხრობს და გონებაში ცოცხლდე-

ბა მის მიერ განვლილი მთელი ცხოვრების გზა.

ამ გზას ნათელ ზოლად გასდევს სითბო კლავდია ივანეს ასულ აკიმოვას კეთილშობილი, სათნო, შემწყნარებელი, დედური გულისა.

უპატრონოდ დარჩენილი ბავშვი რუსმა ქალმა შეივრდომა, გასაჭირში სითბო და სიყვარული უწილადა.

ლენინგრადის ბლოკადის გარღვევისთანავე კლავდია აკიმოვა ტულაში დასახლდა, სადაც მისი ფრონტელი მეუღლე სტეფანე აკიმოვი გაგზავნეს.

ვასია და ბორისი ერთად იზრდებოდნენ, ერთად დადიოდნენ სკოლაში, ძმებივით იზიარებდნენ ოჯახის ჭირსა და ვარამს.

შვიდწლედის დამთავრებისთანავე ბორისი საზღვაო სასწავლებელში შევიდა. მერე რამდენიმე წელი მეზღვაურად მუშაობდა. უფროსი ლეიტენანტი ბორის ხანთაძე მალე მოსკოვში გადაიყვანეს სამუშაოდ. ბინაც იქვე მიიღო და იქვე დაოჯახდა.

— ლექსები?

ჩემი ძმა იღიმება.

ჰო, მოცალეობის ჟამს ლექსებსაც ვწერ. ჩემს რამდენიმე ლექსზე სიმღერებიც შეიქმნა. სწორედ სიმღერამ მომატებინა თქვენი თავი...

* * *

მამის დაკრძალვის შემდეგ ბორისი მეუღლითა და ქალიშვილით ერთი კვირა დარჩა ჩვენთან.

წავიდა მამა; მაგრამ სამი ძმა დაგვტოვა, სამი მოსიყვარულე ძმა. სხვანაირად არც შეიძლება: სამივე სწორედ ისეთ ძმობას ვუწევთ ერთმანეთს, მამას რომ გაახარებდა.

ბორისი ცოლ-შვილით ხშირად ჩამოდის საქართველოში. მოვა მახარაძის რაიონის სოფელ დვაბზუში, მამაპაპისეულ ადგილებს მოინახულებს, მიიოხებს გულს და ისევ გაემგზავრება მოსკოვს.

მე და ავთანდილი ძმის ხშირი სტუმრები ვართ.

მოსკოვში, გორკის ქუჩის კუთხეში, ბოლშაია გრუზინსკაიას გზაჯვარედინზე, ძმის კერა გულღიად გვეგებება.

რძალიც შესანიშნავი გვყავს და ძმისშვილიც. ნინო მიხეილის ასული პროფესიით მხატვარი-რესტავრატორია. ქართული კერძების გაკეთება ისწავლა და გულუხვად გვმასპინძლობს. ბორისის და ნინოს ერთადერთი ქალიშვილი ოლია ინჟინერია, მისი შვილები კატია და კოსტია მოსწავლეები არიან.

სალამოხანს ძმები სუფრას შემოვუსხდებით ხოლმე.

ასწევს ჭიქას ბორისი და ამბობს:

— მოდით, ახლა შევსვათ ჩემი აღმზრდელის, კეთილი რუსი ქალის მოსაგონარი. კლავდია ივანეს ასულმა კარგად იცოდა ხალხთა მეგობრობის ფასი. მე და ჩემს მეოთხე ძმას — ვასიას ყოველთვის ამ მეგობრობას გვიქადაგებდა... კლავდია აკიმოვა რუსი ადამიანის ჭეშმარიტი განსახიერებაა.

ალავერდი თქვენთან, ძმებო!

## ანა ახმატოვა

## წარწერა წიგნზე

„რასაცა გასცემ, შენია"
შოთა რუსთაველი.

ეს რომელ ნანგრევს მოსწყდა ჩემი ხმა,
ან რომელ მეწყერ-ზვავიდან ვყვირი,
ო, სულო ჩემო, როგორ მღერიხარ,
ვით საკირეში ჩამცხრალი კირი.
არვინ იკითხოს, რაა სიცოცხლე,
არავინ გვკითხოს, ვინ ხარ და სად ხარ, —
დრო დადგება და ამ ხმას იცნობენ,
კვლავ ირწმუნებენ უთუოდ ამ ხმას.

13 იანვარი, 1959.

* * *

ვინ გაიკვირვებს, სულის მეოხედ
ჩემს ურჩ ლექსებს დღეს თუ სულ სხვა
წყლული აქვს,
მკითხველთა ჩემთა აწ სამ მეოთხედს
გზა გასავლელი სულ გაუვლია.
ო, მეგობრებო! აწ რა მოგვევლის,
ცოტანი დავრჩით, გვწამდა, გვჯეროდა. —
რა ადრე წყდება ის გზა, რომელიც
ადრე თითქოსდა არ თავდებოდა.

2 მარტი, 1958.

## ლექსებს

ვარსკვლავებივით ბრწყინავდით მარად,
და გზას მიკვლევდით ისე ვით ღმერთი,
თქვენ სინანული მოგქონდათ ჩემთვის,
მაგრამ ნუგეში — არა და არა!

1962.

* * *

ილევა ოქრო, ფოლადი დნება,
დროს ყველაფერი სიკვდილთან მიჰყავს.
ყველაზე უფრო მყარია სევდა
და უკვდავია უფალი სიტყვა.

1945.

* * *

წარმტაცეს: ძალა და სიყვარული,
უცხო ქალაქში მზეც ველარ მათბობს.
და სისხლი — ჩემი გზნება ფარული
ცივია, როგორც ცივი ხარ, სატრფოვ.
მუზას ველარ ვცნობ, ანგელოსივით
მიმზერს უგულოდ, სულს ეურჩება,
დაფნის გვირგვინით შუბლშემოსილი
მკერდზე მეკვრის და ისე მუნჯდება.
მარტოდენ სინდისს სურს აყვირება.
კუთვნილს ითხოვს და
სხვა მზით არ თბება.
მე თვალებს ვხუჭავ... აზრი არა აქვს
არც ცრემლებს და არც თავისმართლებას.

1916.

* * *

არ მეღიმება. ზამთარი თეთრი
ბაგეთა ჩემთა სუსხად იმღვრევა, —

თარგმანი მორის ფოცხიშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს კვლავ აკლდება [illegible]
დროს ემატება ერთი სიმღერა.
მე ამ სიმღერის ცეცხლში შთანთქმული
ჩემს უთქმელ სათქმელს გულშივე ვფარავ.
თუმც სული მტკივა, რომ სიყვარული
დუმილს ირჩევს და
სიმღერას არა.

1916.

* * *

სულ რომ ვკარგავდეთ სიტყვის სიახლის
გრძნობას,
ვით გრძნობას აწ საარაკოს,
ეს იგივეა, ფერწერამ — თვალი,
ქალმა — ქალობა და სილამაზე,
ან მსახიობმა — ხმა რომ დაჰკარგოს.
ნუ ცდილობ შეგრჩეს რასაც მალავდი,
ის, რაც ოდითგან ნიჭად გმოგყვება,
ღვთით მოსჯილი გაქვს არა თავმოყრა,
არამედ ფლანგვა აწ და მარადის.
იარე, რომ ბრმა ჰყო თვალხილული,
რწმენით, სილაღით, ლოცვით, ღაღადით,
და როს გექცევა იქვე ჭრილობად,
იგრძენ წინისწარ ბრბოს გულგრილობა
და მოწაფეთა შენთა ღალატი.

1955.

* * *

სიცოცხლე მაინც თავისუფალი,
სიკვდილი მაინც შინ,
ვოლკოვოს ველი და საუბარი
თვის ზვინების წინ.

22 ივნისი, 1941.

## სიმღერა სიმღერისადმი

ჯერ დაგვწვავს, ვაი, რა ხდება,
ტკივილი ტანში გაგივლის,
მერე კი გულში გადნება
ვით თვალში ცრემლი — მარილი.
რა ვქნათ, აზრს ველარ შევიცვლით,
სულს სევდა ლახვრავს ისეთი,
ამ მსუბუქ სევდას, მე ვიცი,
ვერ დაივიწყებს ის ერთი.
მე მარტო ვთესავ. სამკალად
სულ სხვები მოვლენ, ცხადია.
ღმერთო, მკის ჟამი დამდგარა,
ყველა აკურთხე, მადლია!
შენ რომ მადლობა შეგკადრო:
მე ვთამამდები ამჯერად,
ო, მჯერა, მაგრამ მე ვატყობ,
ვიღაცას მაინც არ სჯერა.

1916.

* * *

რაც რამ ითქვა, ნუ აგიმღვრევს ფიქრებს,
ერთხელ თქმული ხელში ვინ აიტაცა, —
პოეზიაც ციტატაა იქნებ,
ერთი დიდად დიდებული ციტატა.

# ვახტანგ VI

**ვასილ გვეტაძე**

1

ვოლგის ქალაქო, მაინც ნატვრა ხარ,
შუქი მოგყვება წარსულ დროების...
ღვიძავს მოედანს, ღვიძავს ასტრახანს,
თავის ელვარე სამრეკლოებით.

თითქოს სანთლებმა გზა გაუნათეს,
შუქში შეცურდა მეფის მაღლობი.
ფერი შეცვლიათ თითბრის გუმბათებს,
ჯაჭვით შეჭედილთ და გადაღობილთ.

ფერი შეცვლიათ მდუმარ პალატებს,
კედლის მხატვრობა მტვერმა დაბინდა.
ერთი შუქურა მაინც ანათებს
მეთევზეების ძველი დაბიდან.

2

საკურთხეველთან მზემ შემოკვესა
კედლებს, ნესტით და ნამით მობანილს.
აქ, ამ ხატებთან, იდგა ოდესღაც,
მეფე, პოეტი და მწიგნობარი.

ქვის სენაკებში რომ დავდიოდი,
პაპის ყნოსვა და გეში მხედნიდა.
ფერი ჟანგის და ყვითელ იოდის
გამოიჟონა სველი კედლიდან.

სადღაც აქ გიდევს, მეფეო, ბინა,
აქა ხარ, ქვებზე ცახცახებს ჩრდილი.
შვილის მუხლებთან წევხარ და გძინავს
გაუღვიძარ და ძირმწარე ძილით.

3

ცა სხვის ღრუბლებში შებინდებული,
ფუტურო ხეზე მონათალია...
ვერ მოიყირჭა კვერთხი მეფური,
წუთისოფელი ისე გალია.

და სიკვდილშიაც უფლის მორიდალს,
ცისკენ ხელები აქვს აპყრობილი.
ქართლს გამოჰყურებს თვალი შორიდან
ჯვარზე გაკრული ქრისტეს პროფილით.

4

უილბლობაში ქვეყნად ვერცერთი
ვერ შეგედრება, მეფევ ბატონო!
საქართველოსთვის მზეს დაეძებდი,
როცა ცა იყო უკაბადონო.

დარჩა ძირი და სული მკვნესარი
კვლავ ამოკვირტა სანდო რტოებმა...
ჰეი, მეფეო, ნუთუ ეს არის,
ქვეყნად ყველაფრის დაბოლოება!

5

შენ დაინახე მწარე და ნელი
შენი სიკვდილის საშინელება.
თითქოს შეგეხო მთრთოლვარე ხელი
და შეგაჟრჟოლა თვალის შევლებამ.

ამოიღვარა თითქოს ტბორებად
ძველი ნაღველი ქვეყნის გლოვიდან.
ჩაიშრიალეს ჩვენმა წნორებმა
და ზედაზნიდან სიო მოვიდა.

შენ კი ხელახლა გსურს მოეფერო
ფურცლებს მშობლიურ
შუქით დაფერილთ.
ამ ქვეყანაზე გრჩება, მეფეო,
კალმით ნაწერი, სხვა არაფერი!

შავად მოყორილ კარმიდამოში,
ბოლოს სიკვდილი შენც მოგერია,
მაგრამ ვერავინ ვეღარ ამოშლის
ყვითელ ქაღალდზე რაცა სწერია.

6

კარზე მომდგარა ბნელი ისლამი
ველურ ყიჟინით, ბასრი დანებით.
ავად ზვერავენ ქართლს მოსისხარი
თურქი ხონთქრები, სპარსი ხანები.

გამონათდება დროდადრო ჯვარი,
ქარში მთრთოლვარე და მოქანავე.
აქამდე ძველმა ლოდებმა ჯავრი
დამალეს, მაგრამ დღეს ვერ მალავენ.

თვალწინ გაივლის ღრუბლის მაგვარი
და გამწკრივდება ასე უკლებლივ,
ელვად გამკრთალი იატაგანით
თავწაგდებული მამელუკები.

7

სული კი, სული, ღამემ მოლობა
და მიგდებული ნესტში ლოდივით
მძიმდება, როგორც სხვაგან ობლობა,
ნაზდება, როგორც დედის ლოდინი.

ყვითელ ლოყაზე ცრემლის მომცვრევაც,
ფიქრიც, გული რომ მისით იძვრება,
ჩუმია, როგორც ძილში ოცნება,
მწარეა, როგორც გამოღვიძება.

8

დავიარები ძველი გზა-შარით,
ვყნოსავ ღამეს და სურნელს მდელოთა,
სადაც დაღლილი და დამაშვრალი
მეფე მოძმისგან პასუხს ელოდა.

მთვარე დაცოცავს დაბლა, ველებზე,
არყის ხეებში, ვოლგის ნაპირთან...
დიდი რუსეთი ვახტანგ მეექვსეს
აქ მარადიულ ძმობას დაჰპირდა.

9

რეკდნენ ზარები და მე მესმოდა,
რომ ჟრიალებდა, ბნელში რაც არი.
გამოიხედა მეფემ ეზოდან
და გამონათდა თეთრი ტაძარი.

გამოაჩინეს თეთრმა ტინებმა
ტანი ნაპირთან ნათოტინები...
მოდის ვოლგა და მოედინება
ჩვეულებრივი დინჯი დინებით.

ანძებმა შორი სივრცე მოხაზეს,
შუქია წყალში რაგინდრაფერი,
და ქარის ყოველ ამოოხვრაზე,
ქანაობს გემი თეთრი აფრებით.

ეს ის გემია — სანდო ხომალდი
და მას იმგვარი შუქი მოჰყვება,
გაშლილ აფრებით რომ მივქროლავდით
რუსულ მიწასთან დასამოყვრებლად.

10

მეფის თეთრონი თეთრად შემოსეს
(მოკვდეს ჯავრისგან ყველა ავსული).
ჯარი ქართველთა საქართველოსკენ
მოდის ორასი წლის წინ წასული.

ამ გემს მხედრები დიდხანს ელოდნენ,
ახლა შინწასვლის ნიშანს ელიან.
ასტრახანიდან საქართველომდე
გზა სულ სიმღერით გასავლელია.

თრთის დრო ყველაფრის გამომთიშავი
იმ სიბნელიდან, იმ სიშავიდან...
აჰა, კაპიტანს მისცეს ნიშანი,
რაკი გემბანზე მეფეც ავიდა.

11

ვოლგის ქალაქო, მართლა ნატვრა ხარ,
შუქი მოგყვება წარსულ დროების.
ძინავს მოედანს, ძინავს ასტრახანს,
ჩანან მთვარეში სამრეკლოები.

ჩრდილში ალვები თვლემენ ნებისად...
ამ სილამაზეს რა შეედრება...
მოჩანს ტაძარი მიძინებისა,
ცად ავარდნილი, როგორც ვედრება.

თრთიან გასანთლულ ქვის თაღებივით
შუქში მხტუნავი თეთრი კრავები
და შემოდგომის ცით დაღებილი,
დაფერილია სახურავები.

ძილი მთვლემავი და შემპარავი
იგრძნო ვოლგამაც და ხმა გაკმინდა.
აგერ სარკმელიც... მაგრამ არავინ
არ იხედება ახლა სარკმლიდან.

12

ჩრდილივით ჩუმი მტკვრისპირზე დადის,
უნდა მონახოს თავის სახლობა.
ადგილს დაეძებს მთრთოლვარე ლანდი
მეფის უბანში, სტამბის მახლობლად.

ფეხით ხმელეთი შემოიარა,
ბოლოს ჩაწყნარდა მშვიდად, უვნებლად.
ქართლში დალოცეს კაცის კი არა,
სულის ხელახლა შინ დაბრუნება.

თუმცა, მამულო, კვლავ გაგაწვალებს,
გაბეზრებული ჩქერთა დგაფუნით,
ერთი საფლავი, ერთი საძვალე,
სადღაც, ვოლგასთან კენტად დაფლული!

გეორგიევსკის ტრაქტატი 200


ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიული დოკუმენტი მე-ფე ერეკლეს ხელმოწერით.




გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წელი. საიუბილეო პლაკატი. ავტორი საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი თენგიზ სამსონაძე.



# „წიგნი ფიცისა“



ეროვნული ბიბლიოთეკა





მრავალსერიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოები.

სცენარის ავტორი ანზორ სალუქვაძე, დამდგმელი რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე, დამდგმელი ოპერატორი ლევან ნამგალაშვილი, დამდგმელი მხატვარი კახი ხუციშვილი, კომპოზიტორი ბიძინა კვერნაძე.







კადრები ფილმიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი ზელიმხან გოგოლაშვილი.

თბილისი, 1783 წ. რუსი და ქართველი ხალხების დაძმობილების ზეიმი.



მხატვარი ლია სვანიძე.

მაიაკოვსკი, გალაქტიონი, ახმატოვა, ესენინი...



# ძეგლი ნიკოლოზ მუსხელიშვილისა

1983 წლის 3 სექტემბერს თბილისში გაიხსნა აკადემიკოს ნიკოლოზ ივანეს ძე მუსხელიშვილის ძეგლი (მოქანდაკე — **თ. ღვინიაშვილი**, არქიტექტორი — **გ. ჯაფარიძე**).

მეცნიერის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე გამოვიდნენ სახალხო დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ზ. სარალიძე**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **ე. ხარაძე**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ვ. პანკოვა**, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი **ვ. ტარიელაძე**, სტუდენტი **გ. გეგელია**, ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი **ნ. ვალიშვილი** და პოეტი **ხ. ბერულავა**, რომლის სიტყვასაც მკითხველი გაეცნობა ჟურნალის ამ გვერდზე.

ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელი ჩვენს გულსა და გონებაში ისე უჩინრად, ბუნებრივად, სამუდამოდ შემოვიდა, როგორც მშობლიური ლიტერატურისა და ხელოვნების ბუმბერაზ მოღვაწეთა სახელები.

სწორედ მათ გვერდით მიეკუთვნა საპატიო ადგილი ჩვენი საუკუნის უდიდეს მათემატიკოსს, საბჭოთა მეცნიერების აღიარებულ კორიფეს.

რომ დავმალო, ვის დაუმალავ: ჩვენთვის, მწერლებისათვის, მარადჟამ მიუწვდომელია სიბრძნე მისი, ჩინური ანბანივით უცნობია უზენაესი საიდუმლო მისი ფორმულებისა.

სამაგიეროდ, ჩვენთვის მშვენივრად არის ცნობილი ნიკოლოზ მუსხელიშვილის დიდი ადამიანობა, მამულიშვილობა, კეთილშობილება, მისი ელვარე ცხოვრება. ასევე ყველა ჩვენგანმა უწყის, რომ იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საფუძვლის ჩამყრელი და მრავალი წლის მანძილზე მისი უცვლელი წინამძღოლი, როგორც მეცნიერებათა ღმერთის — მათემატიკის აყვავებისა და გაფურჩქვნის უპირველესი თაოსანი საქართველოში, ისე მეცნიერების მრავალი დარგის მოჭირნახულე და მოამაგე.

როცა მე ნიკოლოზ მუსხელიშვილის ძვირფას ადამიანურ თვისებებზე მოგახსენებთ, სხვათა შთაბეჭდილებებს როდი ვეყრდნობი, მე თვითონ მქონდა ბედნიერება, შევხვედროდი მას, მომესმინა მისთვის, მწერლის თვალით დავკვირვებოდი მეცნიერის დამოკიდებულებას არამარტო თავისი კოლეგებისა და მეგობრებისადმი, არამარტო მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობის პირებისადმი, არამედ იმათ მიმართაც, თავიანთ თავს რიგით ადამიანებს რომ უწოდებენ ხოლმე. ო, რა მომხიბვლელი და გულითადი გახლდათ იგი ასეთ ჟამს!

ყოველივე ამან შთამაგონა ნიკოლოზ მუსხელიშვილის დაბადების 80 წლის თავზე დამეწერა მისდამი მიძღვნილი ლექსი:

სხვათა ზეიმზეც არაერთხელ
მიხილავს იგი,
ღირსეულ კაცებს რომ ადგამდა
დიდების გვირგვინს, —
ალერსიანი, ბედნიერი,
ბრძენი, გულწრფელი,
ყველა თაობის მოძღვარი და
მეკვლე უცვლელი;
მე არაერთხელ შემხვედრია
მეგობართ შორის:
თანამესუფრე და მომლხენი,
ჭაბუკთა სწორი,
მათი ტოლივით მომღერალი,
ღამის მთეველი,
მონადირული ხალისის და
ზმათა მფრქვეველი.
მე არაერთხელ მინატრია
მეთქვა ხმამაღლა,
ყველა ქართველი რასაც ფიქრობს
გულში ამაყად:
— სხვა რა გისურვო, რაიც შენ ხარ,
იმაზე მეტი...
ოთხმოცი წელი
ნახევარი გზა იყოს შენთვის!

ეს სახელდახელო სტრიქონები, რა თქმა უნდა, ოდნავადაც ვერ გამოხატავენ ნიკოლოზ მუსხელიშვილის — მეცნიერისა და პიროვნების — მთელ სიდიადეს, მაგრამ მასში გამოთქმულია აღტაცების გრძნობა, რითაც ჩვენ ვიყავით და ვართ გამსჭვალული უკვდავი მეცნიერის მიმართ.

ნურავინ იტყვის, თითქოს დიდ ადამიანებს საზოგადოების სითბო, ყურადღება, დაფასება, გამხნევება არ სჭირდებოდეთ. ერთი ძველი ბრძენკაცის თქმისა არ იყოს, დიდი ადამიანები დიდი ბავშვებიც არიან. საბედნიეროდ, სახელი და დიდება, საყოველთაო-სახალხო პატივისცემა მას არასოდეს მოკლებია. ნიკოლოზ მუსხელიშვილს, საბჭოეთის მეცნიერთა შორის პირველთაგანს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია. წლების განმავლობაში იგი გახლდათ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ნიკოლოზ მუსხელიშვილს არასოდეს ავიწყდებოდა თავისი უფროსი თუ უმცროსი კოლეგები. [illegible] ცდილობდა, რომ ჩრდილში არ დარჩენილიყო რომელიმე ღირსეული მოღვაწე ქართული მეცნიერებისა, უყურადღებობით გული არ სტკენოდა ხალხისა და ქვეყნის წინაშე დამსახურებულ პიროვნებას.

ვინ არ უწყის, რომ ნიკოლოზ მუსხელიშვილი ამავე დროს შეუდარებელი პედაგოგი გახლდათ. სამაგალითო იყო მისი ურთიერთობა მოწაფეებთან, რომლებიც, მეტი რომ არა ვთქვათ, აღმერთებდნენ თავიანთ მასწავლებელს.

როცა ნიკოლოზ მუსხელიშვილზე ვფიქრობ, უნებლიედ მაგონდება თორნიკე ერისთავი, რომელმაც თავისი ნება-სურვილით მთავარსარდლის ოქროს ხმალი თავისსავე ღირსეულ მოწაფესა და უერთგულეს მეგობარს ჩააბარა...

აქ ბრძანდებიან ჩვენი დიდებული მეცნიერები, ქართველი ხალხის საამაყო შვილები. მათ ჩვენზე უკეთ მოეხსენებათ, რომ ქვეყნის, მეცნიერების, მომავლის მსგავსი სამსახური შეეძლო მხოლოდ ბრწყინვალე რაინდს, ჭეშმარიტ პატრიოტსა და უმშვენიერესი სულის ადამიანს.

უკვე მოგახსენეთ, რომ სითბო, ყურადღება, დაფასება, გამხნევება ყველა დიდ ადამიანს სჭირდება. არანაკლები ყურადღება და ჭირისუფლობა სჭირდება ყველა იმას, ვინც ფიზიკურად აღარ არის ჩვენს შორის და მხოლოდ თავისი ძვირფასი შემოქმედებითი მემკვიდრეობით არის დაკავშირებული სამშობლოსთან, მშობელ ხალხთან, სიცოცხლესთან.

ამ დიდი ყურადღებისა და ჭირისუფლობის ერთ მკაფიო მაგალითად გვესახება ის ამბავი, რომ დღეს საქართველოს დედაქალაქში, აქ, ამ პატარა, ლამაზ ბაღში, გაიხსნა პირველი ძეგლი ნიკოლოზ მუსხელიშვილისა.

დიახ, ეს ერთი მაგალითია მრავალთაგან.

მრავალთაგან ერთი მეტად სასიხარულო მოვლენა, ქართული საბჭოთა მეცნიერების ჯეროვანი დაფასების მაჩვენებელი, ქართველი ხალხის ამაღლების მაჩვენებელი, სულ ბოლო წლებში დაფუძნებული კეთილი ტრადიციის ბუნებრივი გაგრძელება. ამ ტრადიციის ძალით, მოკლე დროის მანძილზე, დედათბილისის ქუჩებსა და მოედნებს, საქართველოს სხვა ქალაქების ქუჩებსა და მოედნებს, სულჩადგმულებივით დაუბრუნდნენ ძეგლებადქცეული უკვდავი შვილები ჩვენი ერისა.

ქართული მწერლობა — მთელი ჩვენი ხალხის სულისკვეთების გამომხატველი — გულითად მადლობას მოახსენებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელმაც ითავა სახელოვან ადამიანთა ხსოვნის უკვდავყოფის ეს საშვილიშვილო საქმე.

დიდება ხალხს, რომელმაც მშობლიურ და მსოფლიო მეცნიერებას მისცა ნიკოლოზ მუსხელიშვილი.

კურთხეულ იყოს ამ ბაღში თქვენი დღევანდელი საზეიმო შემობრძანება, ძვირფასო ბატონო ნიკო!

3 სექტემბერი, 1983.



# გიორგი ჯიბლაძე

არავინ ჰყოლია ახლობელთაგან, გზას რომ გაუკაფავდა, შეეშველებოდა სიძნელეთა გადალახვაში. დასახული მაღალი მიზნის განხორციელებაში. მხოლოდ თავისი ნათელი ნიჭიერების, გაუტეხელი ნებისყოფის, შრომისმოყვარეობის წყალობით მიიქცია გიორგი ჯიბლაძემ საზოგადოების ყურადღება, იმთავითვე ჩადგა მრავლისაღმთქმელ ახალგაზრდა მეცნიერთა და მწერალთა რიგებში.

მეგობრები და ახლობლები ვერ იხსენებენ გიორგი ჯიბლაძის ცხოვრების ისეთ პერიოდს, როცა თავის მეცნიერულ და ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში არ ყოფილიყო ჩაბმული. არც ის ახსოვს ვინმეს, მასზე დაკისრებული დიდი თუ მცირე საქმე მონდომებით არ შეესრულებინოს, ან კიდევ ოფლმოუღვრელად, იოლად მიეღწიოს წარმატებისათვის. როგორც იტყვიან ხოლმე, თავისი დღე და მოსწრება დაუღალავად შრომობს ქართული საბჭოთა მეცნიერების ეს შესანიშნავი წარმომადგენელი.

1934 წელს გამოიცა გიორგი ჯიბლაძის პირველი წიგნი „ლიტერატურის საკითხები", ხოლო ორიოდე წლის მოგვიანებით ჟურნალმა „მნათობმა" მკითხველს გააცნო მისი ვრცელი ნაშრომი „ბარათაშვილი და ლერმონტოვი".

1939 წელს გიორგი ჯიბლაძე პარტიის წევრი ხდება. იმავე წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერებისა". 1941 წლიდან გაზეთ „კომუნისტის" პასუხისმგებელი რედაქტორის პირველ მოადგილედ დაინიშნა, ხოლო 1944 წელს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელ მდივნად აირჩიეს.

სხვადასხვა დროს გიორგი ჯიბლაძე იყო პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი...

ჩვენმა საზოგადოებამ კარგად უწყის, რომ ყველა ამ მაღალ პოსტზე იგი თავის მოვალეობას ასრულებდა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, მთელი გულით. ასევე მრავალს უგრძვნია მისი საოცარი გულისხმიერება, კეთილშობილება, სამართლიანობა. უაღრესად ნაყოფიერ მეცნიერულ და ლიტერატურულ შრომას ძვირფასი იუბილარი ყოველთვის მშვენივრად უთავსებს დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ამით მოიპოვა საერთო პატივისცემა და სიყვარული.

ვისაც ქართული საბჭოთა მწერლობა უყვარს, უთუოდ ღრმა ინტერესით გაეცნობა გიორგი ჯიბლაძის გამოკვლევებს გალაკტიონ ტაბიძის, შალვა დადიანის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, ლეო ქიაჩელის, გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის, ალიო მირცხულავას და სხვათა შემოქმედების შესახებ.

1955 წელს გიორგი ჯიბლაძე აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1960 წელს აკადემიკოსად და აკადემიის პრეზიდიუმის წევრად. 1959 წელს მას ირჩევენ რსფსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად და პრეზიდიუმის წევრად. 1976 წლის აპრილიდან დღემდე იგი სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრია. 1980 წლიდან — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

მეცნიერის მრავალრიცხოვან ნაშრომთაგან 44 ცალკე წიგნად არის გამოცემული. ზოგიერთი მათგანი გამოქვეყნებულია რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, სლოვაკურ, [illegible] ენებზე.

რაოდენ სასიხარულოა, [illegible] მონოგრაფიისათვის „კომენსკის პედაგოგია" ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა ჩვენი [illegible] კომენსკის ორდენით.

მონოგრაფიას „[illegible] რდის [illegible]" [illegible] ლის სახელობის პირველი პრემია მიენიჭა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მნიშვნელოვანი მონოგრაფიული ნაშრომები: „ბარათაშვილის პოეტური გენია" (1968), „რუსთაველის ესთეტიკური სამყარო" (1966), „ილია ჭავჭავაძე" (1966), „ვაჟა ფშაველა" (1961)..

ჩვენი საზოგადოება დიდად აფასებს გიორგი ჯიბლაძის დამსახურებას პედაგოგიურ მეცნიერებათა განვითარებაში. სავულისხმოა, რომ ქართველი მეცნიერის რედაქციითა და წინასიტყვაობით 1981 წელს მოსკოვში გამოვიდა ჟან-ჟაკ რუსოს პედაგოგიკურ თხზულებათა ორტომეული.

გიორგი ჯიბლაძეს არაერთი საინტერესო ნაშრომი შექმნა დიდ რუსულ კლასიკურ ლიტერატურაზე. ქართულად ბელინსკის თხზულებები პირველად გამოიცა მისივე რედაქციითა და წინასიტყვაობით. ღრმა უკრაინელი და სომეხი ხალხების გულწრფელი სიყვარულის გრძნობით არის გამთბარი ლესია უკრაინკას, ოვანეს თუმანიანისა და ავეტიკ ისაჰაკიანის პოეზიისადმი მიძღვნილი წერილები.

გამოჩენილი მეცნიერი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ჩვენი ახალგაზრდობის დიდი მოამაგე, მრავალი უმაღლესი ჯილდოს კავალერი, გიორგი ჯიბლაძე, დაბადების 70 წლის თავთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

ხანგრძლივ სიცოცხლეს, დიდ ბედნიერებას და მრავალ შემოქმედებით სიხარულს უსურვებს თავის სახელოვან შვილს ქართველი ხალხი.

გიორგი ჯიბლაძემ — ადამიანმა, მწერალმა, მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, — ცხოვრების ვრცელი გზა გაიარა. გაიარა სასახელოდ და სამაგალითოდ.

ბავშვობის მოწმე არ ვყოფილვარ, მაგრამ მთელი მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია ჩემს თვალწინ მიმდინარეობდა. გიორგისთან ახლოს ვიყავი და სხვებთან ერთად მეც მხიბლავდა მისი ალალი გული, იშვიათი შრომისმოყვარეობა და მიღწეულით დაუკმაყოფილებლობა, სიახლის მოუსვენარი მაძიებლის ბუნება. სრულიად ახალგაზრდამ მიიქცია მწერალთა, მეცნიერთა და მკითხველი საზოგადოების ყურადღება.

თავიდანვე ესთეტიკის ურთულეს ფილოსოფიურ პრობლემებს შეეჭიდა და შექმნა ღირსშესანიშნავი გამოკვლევები, რომელთაც საერთო აღიარება მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც. ამის ნათელსაყოფად მეცნიერის მხოლოდ საკანდიდატო („ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერება") და სადოქტორო („ხელოვნება და სინამდვილე") შრომების დასახელებაც საკმარისია. მაგრამ ეს ხომ მაინც ძალიან მცირე ნაწილია იმისა, რაც გიორგი ჯიბლაძეს თავისი ნახევარსაუკუნოვანი სამეცნიერო და სალიტერატურო მოღვაწეობის მანძილზე შეუქმნია.

ფრიად ვრცელია გიორგი ჯიბლაძის მეცნიერული ინტერესები და თვალსაწიერი. იგი არ იფარგლება მხოლოდ ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემების კვლევით. გიორგი ჯიბლაძის კალამს ეკუთვნის ბრწყინვალე გამოკვლევები როგორც რუსთაველსა და გურამიშვილზე, ბარათაშვილსა და ილიაზე, აკაკისა და ვაჟაზე, ყაზბეგსა და ნინოშვილზე, გიორგი ერისთავსა და გიორგი წერეთელზე, ისე პუშკინსა და ლერმონტოვზე, ბელინსკსა და ჩერნიშევსკიზე, ლევ ტოლსტოიზე და ნეკრასოვზე, ლესია უკრაინკასა და ოვანეს თუმანიანზე... მაგრამ კლასიკური მემკვიდრეობის შრომატევადი კვლევის რთულ პროცესს ერთი წუთითაც არ სწყვეტს საბჭოთა მრავალეროვანი ლიტერატურის, კერძოდ ქართული საბჭოთა მწერლობის ცოცხალი, მჩქეფარე სინამდვილისაგან. იგი აქაც პირველთაგანი ეხმაურება ლიტერატურული თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს.

თვალსაჩინოა იუბილარის წვლილი პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებაში. ამ დარგში მან შექმნა რიგი შრომებისა, რომელნიც ახალ ფურცლებს შლიან პედაგოგიკური აზროვნების განვითარების ისტორიისას.

დიდ მეცნიერულ და ლიტერატურულ მოღვაწეობას გიორგი ჯიბლაძე მრავალი წლის მანძილზე შესანიშნავად ათავსებს საზოგადოებრივ და საპასუხისმგებლო სახელმწიფოებრივ და პარტიულ მოღვაწეობასთან. და აქაც იგი მუდამ გამოირჩეოდა და გამოირჩევა ამაღლებული უბრალოებით, უანგარობითა და გულისხმიერებით.

ნახევარსაუკუნოვანმა დაუღალავმა შრომამ ვერ შეასუსტა სახელოვანი მეცნიერის ენერგია. ჯანსაღ სხეულში კვლავინდებურად ჯანსაღი სულის ბორგვა ისმის. ძალიან დიდხანს გაგრძელებულიყოს მისი ჭაბუკური შემართება!

ერემია ქარელიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჭაჯების ნასახლარი

## სათავგადასავლო მოთხრობა

ლეილა მესხი

— ცეცხლი დაუნთიათ, — ჩაილაპარაკა სოსომ. ჰაერი მოყნოსა.

ამ გაუთენებელში „ჭაჯების ნასახლარს“ ვინ უნდა სწვეოდა, თუ არა ისინი — ივერიკოს ბიჭები.

— ეჰეი! გამოდით!

ერთიმეორეზე გამოვიდნენ, სიცივით დალურჯებულები, შიშით მზერაგაფართოებულები. ხუთივე ერთმანეთს ჰგავდა. აგერ, გერასო კაკაურიძის ბიჭი—ეშმაკი, ქრისტეს ფეხის მჭამელი, ნახეთ რა თვალებით იცქირება! ესეც ზალიკო ებანოიძის უფროსი ვაჟი — მირიანი, ნათელთვალება, ჭკვიანი ბიჭი, დაც ახლავს. ეს სადღა გამოკიდებიათ, ეს გოგოცუნა-გოცუნა. სულ წინ ბექა დგას, ყურაშვილების ბიჭი, სამ დას ეს ერთი ძმა ჰყავს, მაქცევარა და მოუსვენარი.

— რა გინდათ, ბიჭებო?! — ეკითხება რევაზი.

— ჩვენც წამოვალთ, მასწ...

— არ გეშინიათ? — ეკითხება რევაზი.

— რისი?

— ჭაჯების...

ჩაიხითხითეს ბიჭებმა. ჩაეცინა ივერიკოს. ეს ბიჭები ცაში აპირებენ გაფრენას, კოსმონავტობას ჩემობენ.

ქვევით, სოფლის გაშლილი ჭალებიდან ბაღ-ვენახებიდან ნათლად და გარკვევით მოჩანდა ცას შეკიდებული მთები, გორაკები, ვიწრო ბილიკს ადევნებული უცნაური ჯგუფიც მოჩანდა, ოღონდ საოცრად დაპატარავებულნი და ლამის წერტილებად ქცეულნი.

ნეშომპალა აქრობს ნაბიჯების ხმას. მღვიმის ჩასასვლელთან ხავსმოდებული ლოდები ყრია, ოდესღაც მომხდარი ქვათაცვენის უცილობელი მოწმე, მუხისა და რცხილის ბებერი ძირები, ჩალეწილი ტოტები. ალაგ-ალაგ ჩხიკვის ჩხავილი, კოდალას გადაკივკივება და მორჩა. სიჩუმე, როგორც სულდგმული, ისე დააბიჯებს ტყის სიმყუდროვეში.

თავადაც არ გაუგია, ისე დაწინაურდა ივერიკო. გუმანით ირკვევდა გზას. საოცარი იყო, თითქოს არაფერი შეცვლილა.

ოცი წელი ოც წუთად, საათად აჩნდა დაბერებული მუხის ტოტებს, ტყის ოღრო-ჩოღრო სივრცეს.

— რა ჰქვია ამ ადგილს? — იკითხა ერთმა ქალიშვილმა.

— „ჭაჯების ნასახლარი“

— რა უცნაური სახელია...

— როცა რაიმე საგანს, ადგილს თუ გარემოს შიშის თვალით უცქერი, სახელსაც უცნაურს არქმევ.

— შესვენება! — გაიცა ბრძანება.

ჩანთები მოიხსნეს.

შორიდან შეუმჩნეველი, ნაკლებად თვალდასატანი ჩანდა სარეკელას ხვიმირა, ძეძვნარით გადაბურული.

— ვიწრო ყელია...

ოდნავ მიელულა ივერიკოს თვალები, დაღლას ველარ გრძნობდა. წალდით გაკაფა გზა, მოასუფთავა ბილიკი, აგერ ბებერი წიფელა, კვლავ ცოცხალია. დამჭკნარ ფოთლებს, დამსვრეულ ტოტებს ჩაეხერგა გზა. ყველანი დაძაბული მისჩერებოდნენ. ირგვლივ ნესტისა და ობის სუნი იდგა.

მიწისქვეშეთის ცივ მდუმარებას უხილავი მიზიდულობა გააჩნდა. ექსპედიციის წევრები, თითქოს უცხო რიტუალს ასრულებდნენ, ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ ხვიმირას. ნელნელა შემოეწყნენ. თავდახრილი იდგა ივერიკო, ერთხელაც არ გამართულა წელში, ერთხელაც არ შეუთვალიერებია გვერდით მყოფთა სახეები. ბავშობიდან ჩაყოლილი შიში თუ კრთომა კვლავ გაჯდომოდა სხეულში.

— ქვა ჩავაგდოთ. — ბიჭებიდან ერთ-ერთმა რიყის ქვა მიაწოდა მთლად თბილი, თითქოს ჯიბით ეტარებინოს, რიკრიკით წავიდა ქვა.. მიაყურეს...

— ოცდაათი მეტრი იქნება...

— თოკი მოიტა. წამშზომი მოამზადე! — ბრძანებდა რევაზი.

— ჰეი! — ჩასძახა ბექა ბიჭმა, იგი მიწაზე გაწოლილიყო და ხვიმირაში თავი გადაეყო.

— ჰეი! — დაბრუნდა პასუხი.

„ვაი თუ...“ — ფიქრი ვერ დაა-

(დასასრული).

მაგრამ, რა დროს ესენიაო და წამოუფრენს ცოლი ხანდახან, შემოდგომა კარზე მოგვდგომიაო, ხილით დახუნძლული ხეები წელში წყდებიანო, სარჩო-საბადებელს დაბინავება სჭირდება, შენ კი აყოლიხარ აშ ბიჭებსო.

სოფელში ცასა და დედამიწას შორის გამოკიდებულ კაცად მიაჩნდათ ივერიკო.

ამას თავი დავანებოთ, რაც სპელეოლოგები ჩამოვიდნენ, დღე ერთია და ცხრაჯერ მოაკითხავენ ბიჭები, ირგვლივ უტრიალებენ:

— ჩვენც წავყვებით, ივერიკო მასწ... შორიახლო ვიყლით.

ახლა სოფლის ბოლოს ელიან, ალბათ, უხმოდ, უსიტყვოდ აედევნებიან.

ხომ ამდენს ფიქრობდა ივერიკო, მთავარ საფიქრალთან მიღწევა თუ მიახლოება მაინც ვერ გაბედა. რაღაც ბოჭავდა, თრგუნავდა.

დილაუთენია, აღმართს რომ შეჰყვა ექსპედიცია, ივერიკოს გვერდით ქალიშვილები მოაბიჯებდნენ. ზურგჩანთებს დაემძიმებინა ისინი. ეს სამი დღე თავჩაუხრელად იმუშავეს გოგონებმა, ტემპერატურის გაზომვა, ქანების გასინჯვა, რელიეფური დაზვერვა.

ექსპედიციის ყოველ წევრს ალპინისტური სამოსი ეცვა, ბრეზენტის შარვალი, ჯიბეებიანი ქურთუკი, ტურისტული ფეხსაცმელი „ვიბრა“, წელზე კაპრონის ბაწარი, ფარანი.

რამდენჯერაც მოხედა ივერიკომ და სათითაოდ აათვალიერ-ჩაათვალიერა ექსპედიციის ყოველი წევრი, იმდენჯერ გაექცა ფიქრი „ნეტავ, რომელიმე მათგანმა თუ იცის მისი ოჯახის თავგადასავალი, მამის დაღუპვა?“

რომ ეგონა ივერიკოს, კატანაცარა, ეკალ-ბარდით იქნებოდა გადაფარული გზა-სავალი, შენც არ მომიკვდე, ულვთოდ ლამაზი იყო იქაურობა. მატიტელა, სამყურა, ღოლო და მრავალძარღვა მოფენოდა მინდორს. ამდენ ხანს თუ ნაბიჯ-ნაბიჯ, შოლლილი და მოქანცული მიჰყვებოდნენ დიდი ხნის ფეხუხვედრელ ბილიკს, მწვანე ჭალაზე, რომ გავიდნენ, პირველსავე გავაკებაზე ზურგჩანთები მოიხსნეს მხრებიდან და თავისუფლად ამოისუნთქეს. ქალიშვილები აფოფინებული მზერით ათვალიერებდნენ სივრცეს.

ივერიკოს პირისპირ წითელქუდიანი, ქერა გოგო იჯდა, თავთუხისფერი თმა ისე დაბლა ჰქონდა შეკრეჭილი, არა მარტო წარბები, ლამის თვალებიც დაეფარა. იგი რაღაცნაირი ღახარბებით უცქერდა მთის მწვერვალს. ღრმად სუნთქავდა.

აიშალნენ.

წინ მავულვაშა ჯეელი, სოსო სირბილაძე მიდიოდა, აჟაზასავით მსუბუქი რწევით მიჰქონდა მოქნილი ტანი. რკინის კუნთები ჰქონდა ჭაბუკს. (ამაში უფრო მოგვიანებით დარწმუნდა ივერიკო), უშიშარი თვალები და მეძებრის ყნოსვა. თავად იკვლევდა სივრცეს.

წამით შედგა. მიმოიხედა.

მთავრა ივერიკომ. გაურკვევლად აზროვნებდა.

თოკი მოისროლეს. წამზომი დანიშნეს.

— ორმოც მეტრზე მეტია. დაამაგრეთ ბაწარი, პირველად სოსო ჩავა, მეორედ იური! — ბრძანებს ექსპედიციის ხელმძღვანელი.

— შემდეგ მე... — თავი არ აუწევია, ისე ჩაილაპარაკა ივერიკომ.

— თქვენ?.. — ყველამ ერთხმად მოხედა.

— დიახ.

არც ჰო უთხრეს, არც არა. ყველანი ხელმძღვანელს შესჩერებოდნენ. თანხმობის ნიშნად მხოლოდ თავი დააქნია რევაზმა.

ჯემპრის საყელოები აიწიეს, ქუდის ნაცვლად მუზარადები დაიხურეს ბიჭებმა. სოსომ დაცვის თოკი გაისწორა, მსუბუქად დაეკიდა და წავიდა... წელზე მეორე თოკი ება, რომლის ბოლო ექსპედიციის დანარჩენ წევრებს ეჭირათ ხელში. მაშუქი მიაპობდა ბნელეთს. გზადაგზა ყრიდა ქვებს, ლოდებს, გზას ასუფთავებდა. ჭის სიღრმიდან ცივი, ნოტიო ჰაერი უბერავდა.

— ნელა დაუშვით.

— უფრო ნელა,

სულგანაბული, გაფაციცებული უსმენდნენ ქვესკნელიდან ამოსხლეტილ ხმებს.

თანდათან ჩაიწურა სოსოს ხმა... ხიღრმე თვალს ჭრიდა, მზერას აძაბუნებდა. წუთები დაიძაბა, გაგრძელდა, გაიწელა, ცოტაც და... სადღაც სიღრმიდან, უსასრულობიდან, სტვენა მოისმა. გამაფრთხილებელი და მრავლის მიმნიშნებელი. თოკიც შეინძრა.

— ჩავიდა!

ნელ-ნელა ამოსწიეს დაცვის თოკი, სწორედ ის, რომელზედაც ქამრით ეკიდა სოსიკო. ხოლო მეორე, მაშველი თოკი ისევ ისე უძრავად ეგდო ჭაში. ახლა იური ჩაუშვეს, ჩასვლისას ხელი ასწია, მოქნილად და სხარტად ჩაეშვა.

— გზა თავისუფალია! — ივერიკოს გასაგონად თუ დასამშვიდებლად ჩაილაპარაკა ჯგუფის ხელმძღვანელმა. ქალიშვილების თითები სწრაფად და მოხერხებულად ამოძრავდნენ. დაცვის ქამარი შემოარტყეს ივერიკოს, ხრახნიანი დამჭერით — „კარაბინით" ჩაკეტეს.

— ჩაუშვი!

მაშველ თოკს ხელი ჩასჭიდა და ჩასრიალდა.

რამდენ ხანს გაგრძელდა სრიალის თუ ფრენის წუთი, არ გაუგია ივერიკოს. სხეული გამჩატებოდა და სიბნელეში გაბჟღვრიალებული ფარნებით ნელი, უშფოთველი სრიალით ეშვებოდა. წამით სიზმრისეულ სამყაროდ მოეჩვენა იქაურობა. სადღა იყო შიში, თქვენ წარმოიდგინეთ, რაღაც სასიამოვნო და მომხიბვლელი ახლდა ამ წუთებს. მაგრამ ეს იყო დროის უმცირესი მონაკვეთი... მერე...

— ნელა დაეშვი! — ბრძანებდნენ ზემოდან.

— უფრო ნელა! — ეძახდნენ ქვემოდან.

ამდენ ხანს აციმციმებული შუქი, თავბრუდამხვევი დაშვება გონსართმევდა ივერიკოს, ახლა ერთბაშად გამოერკვა... ჰაერში ეკიდა. რამდენიც უნდა გეფხარკალა ფეხები წინ და უკან, ზევით და ქვევით, კედლები თითქოს სიბნელეში გაწეულიყვნენ და ღრმულს საშიშად მოეღო პირი. წამით შიშმა გაჰკრა... „რა ხდება?! სად ვარ?!"

— კიდევ ცოტა... ნელა... ასე...

ეს სოსოს ხმა იყო.

მიწა იგრძნო ფეხქვეშ. მიწა კი არა, შლამი, ფოთლები და ქვები, ცხოველის ჩონჩხი.

სადღაც სიღრმეში წყლის ჩხრიალი ისმოდა.

ირგვლივ ბლანტი სიცივე, სიბნელე.

სოსოს მაშუქი მიაპობდა უკუნეთს. ირგვლივ ლოდები, კირქვული მასივი. ხახადაღებულ სიცარიელეში რაკრაკით მიედინებოდა მიწისქვეშა მდინარე. ფლატეები, სველი, ნალვენთი ქანები. გვირაბის მარცხნივ განშტოება იწყებოდა, ყოველ ნაბიჯს, ყოველ მტკაველს ირკვევდა სოსოს მაშუქი. ფლატეზე ფეხი უცურდათ.

უცნაურ ძალას დაემუნჯებია ივერიკო. მხოლოდ ლოდები, სახლის ტოლა ლოდები, წყლის ჩხრიალი, კედელს ადევნებული ლანდები, აცაბაცა ჩრდილები, გაფართოებულნი, გადიდებულნი... თითქოს მაშუქმა ავი სულები წამოშალა და ახლა, უცნაურად გაფხორილნი კედლებზე ჰიმოდიოდნენ.

მეორე დარბაზი უფრო დაბალი, უჰაერო ჩანდა. ქერქგადაკრული კედლები ლამის თავზე ჩამომხობოდათ. სოსო მალიმალ მოხედავდა ივერიკოს. გზას უნათებდა, ხომ არ გიჭირსო, თვალებით ეკითხებოდა. იური ბლოკნოტში რაღაცეებს იწერდა.

„არც ერთმა მათგანმა მამაჩემის უღბლო თავგადასავალი არ იცის" — გაუელვა წამით — რომ იცოდნენ ეგებ შეშინდნენ კიდეც... მაინც სად გაქრა კაცი?! ძვლები მაინც არ დარჩა?!" თავი სტკიოდა... უჰაერობაზე მეტად უსიამო ფიქრი აწუხებდა, უაზროდ მიიწევდა წინ.

— ნეტავ სიცოცხლე თუ არის ამ მღვიმეებში? — რაღაც ხომ უნდა ეკითხა, ჰოდა, გამოძებნა... თავისი ხმა ეუცხოვა... იგი ყრუ გუგუნად გადაეცა კედლიდან კედელს, დაიკარგა.

— თითო-ოროლა ღამურას თუ ნახავ, ისინიც გაურბიან სიცივეს, — ხმადაბლა პასუხობდა სოსიკო, — მწერებიც გვხვდება, უმეტესად მრავალფეხა, ხოჭო, ობობაც... ოდნავ ჩახლეჩოდა სოსოს ხმა, თითქოს გაცივდა და ყელს იტკივებსო.

— „პირველად რომ ჩავედი მღვიმეში, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს გაქვავებულ ქალაქში მოვხვდი და ჯადოსნური სამყაროს გამოღვიძება მევალებოდა". — ვერაფრით ვერ გაიხსენა ვინ თქვა ეს. მაგრამ ახლა, ამ უსასრულო სიჩუმეში, საოცარი ძალა შეეძინა მათ.

თავი უბრუოდა, მძიმედ სუნთქავდა.

„ბაწარი თუ გაწყდა, მაშინვე არ მოკვდებოდა, ალბათ დაიმტვრა. მერე იძახა, იყვირა... გასასვლელს დაუწყებდა ძებნას".

კვლავ ალიცლიცდა მაშუქი, წყლის ნაკადს მისდია, მიჰყვა... უცებ შედგა. ლამის ერთ წერტილში გაიყინა. ნერწყვის გადაყლაპვა გაუჭირდა ივერიკოს, სამივე შედგა.

— ნაფეხურები, — დაიხარა სოსოკი, ნამდვილად კაცის ნაკვალევია. ძლივძლივობით ამოილუღლუღა. ოდნავ შემშრალ, შემაგრებულ თიხას ადამიანის ნაფეხურები აჩნდა. ფეხსაცმლის ლანჩის ძირი ისე გარკვევით ალბეჭდილიყო, თითქოს ახლა, ამ წუთში გადაერბინა თიხნარი. ცალი ლანჩი ღრმად და მჭიდროდ ჩაფლულიყო, მეორე წაბორძიკებით... თრევით. „ფეხი მოსტეხია", აწრიალდა, თითქოს თუ აჩქარდებოდა, წინ წასულს დაეწეოდა (ოცი წლის შუალედი აღარ გახსენებია...) სიარული ახლა ჩოქვით შეიცვალა, ეტყობა, უჭირდა მოძრაობა, კიდევ ცოტა და სახლისოდენა ლოდს ამოუხერგავს გზა. მიწაზე უნდა გაწვე, მუჭის ტოლად უნდა იქცე, რომ ვიწრო ნაპრალში გაძვრე, არადა, სწორედ იქ წყდება ნაბიჯები...

სული ეხუთებოდა ივერიკოს, გული მისდიოდა... ოფლით დანამოდა შუბლ-კისერი. „ვაი რომ უარი თქვან, უკან დაბრუნდნენ".

კარგა ხანს ვერაფერს ხედავდა, გონება ერთ წერტილს მიყინოდა. ნაბიჯები ახლა ჩოქვით შეცვლილა... ფორთხვით... აგერ დაწოლილი მიათრევს სხეულს".

საშინელება იყო!

წინ გაჭრა სურდა ივერიკოს... კედლად ჩამოწოლილი ლოდი გზას ულობავდა. „წყალს გაედევნა ალბათ... წყალი დაარწყულებდა.. გზასაც აპოვნინებდა. წყალი!"

ფიქრის დრო არ იყო, სიბნელისა და სინათლის გადაკვეთაზე ერთხელ კიდევ გაიელვეს სოსოს ფეხებმა. წამით შეყოყმანდა ივერიკო, ამ კაფანდარა, ტანწერწეტა ბიჭის მიბაძვა გაუჭირდებოდა, არადა, კედლის იქით ჩამიჩუმი არ ისმოდა, თითქოს უხილავმა არსებამ მიიტაცა ჭაბუკი.

ახლა იური წაუწვა ლოდს, დაიძაბა, დაიჭიმა და ძლივძლივობით გაძვრა. უკუნმა შთანთქა მისი სხეულიც. მარტო დარჩა ივერიკო, რაღაც შემაშინებელი ახლდა ამ წუთებს, უჩვეულო და შემაზრზენი. შიში არ ერქვა ამ განცდას.

— ჰეე! — დაუსტვინა.

სტვენით უპასუხეს. პასუხი შორეული და ჩაგუდული ჩანდა. ეგონა, საკუთარი ხმის ექო დამიბრუნდაო. ბიჭები თავისკენ უხმობდნენ. სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, ერთხელ კიდევ მოიარა მისმა მაშუქმა თიხაში ჩარჩენილი ნაბიჯები. მხოლოდ ერთი ადამიანის ნაკვალევი შემოენახა ბუნებას, სამარადჟამოდ ალებეჭდა თიხას.

მლოცველივით მიჰყვა, მისდია.

როცა კედლიდან ნაშხეფი წყლის წვეთები დაეცა სახეზე, შეაძაგძაგა. აქ, ამ სანახებში, მამის სული სუფევდა, ღამეულ გარინდებად, წყლის ნაკურ წვეთებად შეკუნთდა და შევიწროვდა. ივერიკომ ჯერ თავი გაჰყო ნაპრალში, მერე მარჯვენა მხარი კააცოცა. შლამსა და სინესტეს ჩაეკრაჩაეწება, ასე ძლივძლივობით გაზიდა სხეული. დიდი იყო გაღწევის, გაცლის სურვილი და სწორედ ამ სურვილმა შეაძლებინა შეუძლებელი. ნავარჯიშევი სხეული ადვილად დაიმორჩილა. ლოდების სიბლაგვე, სიცივე, ნეკნებს შეერჭოდა და თან [illegible].

ღმერთო! აქ სად მოხვდა?! როგორ?! რანაირად... მოცისფრო-მომწვანო ფერები ილვრებოდნენ ირგვლივ... თვალებზე ხელი აიფარა.

— ფრთხილად! — შეეხმაურა სოსო.

— აქეთ წამოდი!

გზას უნათებდნენ, აჩვევდნენ ამ წუთებს, ამ გარემოს, ყველაფერს რაც ჯერ კიდევ არ ეხილა თვალს, რასაც შეჩვევა სჭირდებოდა... რაც უჩვეულო იყო და ზღაპრისეული ფერები დაკრავდა.

წინ არ გაუხედავს, არც ცისფერ, ანკარა ტბას შეჩვევია მზერა. იგი სიმაღლედ წასულ სილამაზეს, არაჩვეულებრივსა და დაუჯერებელ სამყოფელს მიელტვოდა — გულის მიწურვით, ჩუმი ცახცახით მიელტვოდა.

ვარდისფერ, თეთრ მოყვითალო ფერებად ციმციმებდნენ კედლები, ჭერიდან ეშვებოდნენ ფარდები, სვეტები, ქვის ყვავილები.

— წკაპ, წკაპ... — წკაპუნობდა წვეთები. წყლის წვეთები ცვიოდა ჭერიდან, კედლებიდან, წვრილ-წვრილ ნაკადად ილვრებოდა.

— „რამდენი წელი... რამდენი საუკუნე დასჭირდა ამ საოცრების შექმნას?!"

ხელახლა მონაცვლა მზერა, ხელახლა იწამა დაუჯერებელი. სტალაქტიტები და სტალაგმიტები, მღვიმური მარგალიტები, ჰიზოლიტები. ნუთუ წყლის წვეთებმა შექმნეს ეს საოცრება? პაწაწკინტელა წვეთებმა?!

ეგებ მეჩვენებაო, — გაუელვა. ამიტომ იყო მაშუქის სხივი კიდევ მეტი მღელვარებით მოედო კუთხიდან-კუთხეს. მერე ხელი დაეღალა, თუ თანმხლებთა აღფრთოვანებული სახეების ხილვა სურდა, მათკენ მიმართა სხივთა კონა. დამუნჯებული იდგნენ სოსიკო და იური. მათმა დაბნეულმა გამოხედვამ ერთბაშად გამოაფხიზლა ივერიკო. ხეირიანად არ გახდევნებია უსიამოდ მომსხლტარ ფიქრს, რომ მიხვდა, — „იპოვეს"...

სწრაფად გადაირბინა სხივმა სახიდან მკერდზე, მკერდიდან... იატაკზე გაწვა, განერთხა. ტბის ახლოს, ვარდისფერ ფიქალზე გულაღმა იწვა იგი... მამის ჩონჩხი...

იწვა სწორად, გამართული ტანით, გაშლილი მკლავებით.

ტანჯვა განელებოდა სხეულს, ვაცლოდა...

დუმდნენ ჭაბუკები, თავდახრილები, მძიმე, მარადიულ საფიქრალს შეყრილნი.

მიხვდა ივერიკო, ისინი თავიანთ მკვდარს დასტიროდნენ, თავიანთ წინაპარს, თავიანთ მეკვლეს და მეგზურს...

მამის სული სწორედ ამ ჭაბუკებს მოუხმობდა... იმათაც, ზემოთ ყურდაცქვეტილი და სმენადაძაბული ჭის ხვიმირას რომ ჩაბჯენოდნენ, ყველა ისინი მამის შთამომავლობა იყო, დიადი შთამომავლობა!

ამისთვის ღირდა სიკვდილი!

...მიცვალებულის აღმოჩენის პირველივე წუთიდან რაღაც გაუგებარ ყოფაში იყო ივერიკო. კლდის პიტალოზე განფენილი ჩონჩხის, დამრეტილი თვალის ბუგებისა და ძვლადქცეული მკლავების ნაცვლად კვლავაც მამის სხეულს ხედავდა იგი, მის გალეულ პირისახეს, აფოფინებულ მზერას ხედავდა.

მწარე, ძნელად მოსანელებელი წუთები იყო.

კვირის ბოლოს, საღამო ხანს, სოფლის კლუბში კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან ერთად მოწვეული სტუმრები უსხდნენ პრეზიდიუმის მაგიდას. საზეიმო საღამო იწყებოდა. იყო ჩოჩქოლი, გადაჩურჩულება. მერე ერთბაშად ჩაწყნარდა ხალხი, გაინაბა... თავმჯდომარემ საღამო გახსნა.

სიტყვა თბილისელ სტუმარს, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს, რევაზ ჯანაშვილს მისცეს. წამოდგა სტუმარი. წამოდგა და სწორედ ამ დროს კარი გაიღო.

კლუბის კარი რომ შეაღო და მისკენ მიპყრობილი ასობით თვალი დაინახა, ლამის გული გაუჩერდა. მეზობლების, ახლობელ-ნათესავების მზერაში საყვედურთან ერთად გაუმხელელი ფიქრი თუ დარდი ამოიკითხა. ისინი არა მარტო მას ადანაშაულებდნენ, არამედ საკუთარ თავსაც... რატომ?!

კერძოდ რა დანაშაული იყო ეს, საიდან მოდიოდა, როდის გაჩნდა, ვერა და ვერ მიმხვდარიყო ივერიკო; არადა არსებობდა ის... ყველა ისინი, ცოლი თუ შვილი, ნაცნობ-მოკეთეები, გაყუჩებულნი და სუნთქვაშეწებულნი, სინანულის თუ სიხარულის განცდას შეეპყრო. ტკბილ-მწარე იყო ეს განცდა. იგი სტუმრის ბაგიდან გახმოვანებულმა სიტყვებმა წარმოშვა, ახლად აღმოჩენილ გამოქვაბულზე, მის გასაოცარ სილამაზეზე, სტალაგმიტებისა და სტალაქტიტების ნაირფერობაზე რომ ლაპარაკობდა. არც საფლავი დავიწყებია, ახლად გათხრილი, მინდვრის ბალახებით, ია-ჟვირილებით გადაფარული, საფლავი, გამოქვაბულთან ახლოს, ბებერი წიფლის ძირას რომ გათხარეს.

სევდა ტოლი კაცები, მობერებულნი და წელში მოხრილნი, თავდახრილნი ისხდნენ, ერთმანეთს სახეს უმალავდნენ.

სწორედ ამ დროს... მოეჩვენა, თუ მართლა, კლუბის კარი გაიღო და ვიღაც შემოვიდა. შემოვიდა უხმოდ, ბოლო რიგში დაჯდა. ერთხელაც არ მოუხედავს ივერიკოს უკან, მაგრამ იგრძნო მისი შემოსვლა, იგი ფევს ლანდი იყო, შვილზე ადევნებული მამის ლანდი...

ქუხდა ტაში და ტიროდა ვიღაც...

# ჩვენი მეგობრობის ფოტომემატიანე


ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალო ტანის კაცი, მუდამ კოხტად, ფაქიზად ჩაცმული, მხარზე გადაკიდებული ფოტოაპარატით. თელავის რაიონში მას ყველა იცნობს, ყველა გულთბილადესალმება. „ჩვენი საშა" — ასე ეძახიან, რაკი დიდი ხანია, თავისიანად თვლიან. ეს ყოველივე კარგად ესმის ალექსანდრე ბროდსკის და ამიტომაც თავის ფოტორეპორტაჟებს, პლაკატებს, წერილებს თუ ნარკვევებს ხშირად აწერს: „ბროდსკიაშვილი".

ჭეშმარიტი ფოტოხელოვანი ალექსანდრე ბროდსკი თელავის მემატიანეა. იგი არის პოეტური, მოაზროვნე ჟურნალისტი, კეთილი ადამიანი. თავისი ოსტატობის სხვებისთვის გაზიარებაც ხომ შინაგან მოთხოვნილებად ქცევია, ამიტომაც უამრავი ფოტომოყვარული გამოზარდა.

დაიბადა როსტოვის ოლქის ქალაქ ნოვოჩერკასკში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. კომკავშირის რაიკომის განაწილებით მუშაობა დაიწყო მეტალურგიულ ქარხანაში. ერთი წლის შემდეგ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ახალგაზრდა ენთუზიასტს აგზავნიან მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად. სარკინიგზო უბანზე ცეცხლფარეშადაც მუშაობდა, გაზეთ „ზნამია კომუნას" შტატგარეშე კორესპონდენტიც იყო. შემდეგ დიდი სამამულო ომი, ბრძოლები, ტყვეობა... საკონცენტრაციო ბანაკებში ტანჯვა-წამება... მშობელ მიწაზე დაბრუნება და... სადღაა სახლ-კარი, ოჯახი.

— ვიცოდი, რომ საქართველო ბევრი არაქართველისათვის გამხდარა მკურნალი. მეც ავდექი და აქეთ გამოვწიე. იგი, მართლაც, ჩემი მეორე სამშობლო გახდა, — ცრემლმორეული ამბობს საშა. — თბილისში ჩამოსვლისთანავე მთაწმინდაზე ავედი, თავი დავხარე ქართველ ხულმნათთა წინაშე. შემდეგ ნატო ვაჩნაძის ოჯახში მოვხვდი, სადაც რეკომენდაცია მივიღე და მალე სოფელ ოყიოში ამოვყავი თავი. აგურის საწვავ ქარხანაში დავიწყე მუშაობა. იქ გავიცანი ჩემს ბედქვეშ მყოფი, სათნო მანდილოსანი ვერა ივანეს ასული ტკაჩოვა. ჩვენ დავმეგობრდით და შევუღლდით.

ცოლ-ქმარი იყალთოში ბინავდება. ალექსანდრე ბროდსკისთან, როგორც მრავალმხრივ ნიჭიერ ადამიანთან, თავს იყრიდა სოფლის ახალგაზრდობა. მასთან საუბრობდნენ, არჩევდნენ სამყაროს ავ-კარგს, კამათობდნენ. ამ დროს დაიბადა ფოტოაპარატისადმი ინტერესიც. ალექსანდრე ბროდსკის ამ საქმეში მხარში ამოუდგა იყალთოში განთქმული ხელოსანი გიორგი ბაჩიაშვილი („პუპლუზაანთ გიორგი"). მათ ერთად შექმნეს ფოტოაპარატის ნახაზი-ესკიზი. მერე გიორგიმ კაკლის ხისაგან ჩარჩო შეკრა, საშამ ობიექტივი ჩასვა... ასე დაიბადა „აპარატი". პირველი ექსპერიმენტი — კატა „ვასკა" ყველას მოეწონა. მალე ალექსანდრე ბროდსკი სოფლის ფოტოგრაფად იქცა. იწვევდნენ ოჯახებში, ქორწილებში, ძეობებში.

ერთხელ გაზეთ „ალაზნის განთიადს" ფოტორეპორტიორი გაუჭირდა. ალექსანდრე ბროდსკი მიჰგვარეს გულისხმიერებით ცნობილ რედაქტორს შოთა როსტომაშვილს. რედაქციის პირველი დავალება, პირველი ნაბიჯები — მაღალი გემოვნებით დამზადებული ფოტოები (მაშინ ამ გაზეთში თანამშრომლობდნენ განთქმული ფოტოხელოვანი ი. ტორო და ცნობილი მ. თელიაშვილი). ალექსანდრე ბროდსკი „ალაზნის განთიადის" ფოტოკორესპონდენტი ხდება და თელავში აძლევენ საცხოვრებელ ბინას.

მისი ფოტონამუშევრები სრულიად განსხვავებული, თავისებური მანერის, საკუთარი ხელწერისაა. მათ ყველას ერთი საერთო ნიშანი აქვთ— სიყვარულით არიან გადაღებული.

...დილაადრიანად გაუყვება ველმინდვრებს, ზვრებს, ფერმებს... განსაკუთრებით უხარია, როცა ახალგაზრდა მოწაფეებისა და სტუდენტების ბედნიერ სახეებს ხედავს... — აი, ბროდსკი თელავის სტადიონზეა. აზარტულად იღებს ფეხბურთს, მეორე დღეს კი ქალაქში ნახავთ მატჩის ფოტოსტენდებს.

— რუსი კაცისთვის საქართველო ეგზოტიკაა, ეს უნდა აღბეჭდო, ეს უნდა დატკბე, — ამბობს 70 წლის ალექსანდრე ბროდსკი. მის ფოტოობიექტივს (ახლა იგი „კიევით" და „ზენიტით" იღებს) არ გამორჩენია რაიონის თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, ღონისძიება.

— დიდ პატივს ვცემ გამოყენებით ფოტოგრაფიას, მაგრამ ვიღებ საკუთრივ ჩემთვისაც, ჩემი სულისათვის, — ამბობს საშა.

რამდენი საინტერესო კადრი ინახება მის მდიდარ არქივში! ჩვენი ცხოვრების ქრონიკები, შეხვედრები ლიტერატურისა და ხელოვნების, მეცნიერების გამოჩენილ ადამიანებთან, სახალხო მეურნეობისა და სახელმწიფო მოღვაწეებთან (ბევრი მათგანის ავტოგრაფს იგი სათუთად ინახავს). ყველაფერი ეს გამომზეურებას ელის.

ალექსანდრე ბროდსკის ნამუშევრები ხშირად იბეჭდება რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში, საკავშირო პრესის ფურცლებზე.

ბრძოლაში, შრომაში, ძიებაში გაილია 70 წელი, ისევ მხნედაა, შემართული, ოპტიმისტი, ეგაა, რომ მეუღლეს თვალთ სინათლე საგრძნობლად დააკლდა, უჭირს კითხვა, საშა მაგნიტოფონზე იწერს და ისე ასმენინებს მას კლასიკოსთა მხატვრულ ნაწარმოებებს, ხალხურ შეპირისპიტყვეობებს, სატირასა და იუმორს, „რომელიც მას ცხოვრების ხტიმულს აძლევს"...

— რა გენიალურად თქვა შოთა რუსთაველმა: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია". მე და ჩემი ვერა მარტონი არა ვართ, მეგობრულად ვცხოვრობთ კახეთის მიწაზე ერთ ძმურ ოჯახში, — ამთავრებს „ბროდსკიაშვილი" და ემზადება პერსონალური გამოფენისათვის, რომელიც მიეძღვნება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს.

გიორგი შათირიშვილი,
იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.



ელექტრონული ბიბლიოთეკა

არჩილ ჟუჟუნიას
ფოტო

# ანსამბლი „მახა“

წალენჯიხის რაიონის კულტურის სახლთან არსებული ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „მახა“ ჩამოყალიბდა 1977 წელს. მის რეპერტუარში არის ქართული ხალხური, მოძმე რესპუბლიკების ხალხთა სიმღერები და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. ანსამბლის წევრები მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების პირველი საკავშირო ფესტივალისა და რესპუბლიკური ოლიმპიადის ლაურეატები არიან.

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): **მირიან ჯანჯღავა, არჩილ ნაჭყებია, რაულ მიქავა, მურმან ქარდავა, შაქრო ძიძარია, ვლადიმერ სალია, მურთაზ ციმინტია.**

კარლ-ემილ ენგლუნდმა (1903–1964), ვიდრე მწერალი გახდებოდა, მრავალი პროფესია გამოიცვალა. იყო ტყისმჭრელი, სოფლის მეურნეობის მუშაკი, მოხეტიალე ვაჭარი... ლიტერატურაში ენგლუნდი მოვიდა ოცდაათიანი წლების დასაწყისში. ლექსების კრებულის „დაძონძილი საგების“ შემდეგ მან გამოსცა ლირიკული ეტიუდების წიგნი „ჩრდილოეთის ვარსკვლავი ნორლანდში“ და მრავალი პოეტური კრებული.

ვაქვეყნებთ კარლ-ემილ ენგლუნდის რამდენიმე ლექსს.

## კარლ-ემილ ენგლუნდი

# ლექსები

## დავიწყებული პოეტი

როცა მოაკითხეს სიკვდილმა და წყვდიადმა,
ვერავინ იცნო.
რაც მას მოესწრო დაეწერა, იყო ვით
ზოლი
გაყინულ სივრცეში,
მაგრამ ერთხელ, ზაფხულის თბილ დღეს,
როცა მერცხალი ცას მიაშურებს,
სიწყნარე წაშლის სიწყნარეს
და ყვავილებს სამარეზე უხვად
დაყრის...

* * *

სიწყნარეა,
მარადიულობა ყურს უგდებს სივრცეს,
ზაფხული არსაიდან ელის წერილებს.
დუმს დუმილი, მშვიდია სიმშვიდე,
არამეცნიერნი არ უშვებენ შეცდომებს,
მეცნიერები გაქვავდნენ საკუთარი ქმნილების წინაშე.
არავინ ეძებს დასამშვიდებელ სიტყვებს,
არავინ ეძებს სინათლეს, რწმენას...
სიწყნარე დგას მოსახვევებში და ხელებს
ითბობს სიცარიელით.
წვიმას ფეხი ებორძიკება ქალაქებზე,
სადაც ხალხი აღარ ფუსფუსებს,
ბოლო ცეცხლში დაიწვა ზღაპარი.
სიმშვიდე, სიმშვიდე —
შიში და ძრწოლა უკვალოდ გაქრა.
თეთრი დუმილი
მარტო დაძრწის დედამიწაზე...

## საღამოს აკვარელი

ქარი დაიბლანდა მარიას სარეცელში,
ათრთოლდა პეპელასავით მის შუბლზე.
არ ჩქარობს ღამე ექვით აღსავსე,
ნაკადული მღერის ფლეიტაზე სევდიან სიმღერას.
შეხედე: ნემსიყლაპია დაიღალა, მის ფრთებზე დაეშვა ღრუბელი.
ლერწმის შრიალი კვამლივით ერთხმება მიწაზე.
ზღაპარი, უჩვეულოდ გამოწყობილი, მოლოდინად გადაქცეულა,
სიმშვიდე — სმენად და თვალს ავლებს გარემო არეს.
მიედინება სივრცე, საღამოს მზე ილვრება ღვინოსავით ხეთა ტოტებზე.
ყვავილი ქრება ტყეში, როგორც წვიმა დაბინდებისას.

ინგლისურიდან თარგმნა
სულხან ჟორჟანელმა

# ლარგვისს შედგენილი...

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება წერილობით წყაროებს საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის საქმეში. შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო წყაროებს შორის საგანგებო ყურადღებას იმსახურებს XV საუკუნის დასაწყისში ლარგვისს შედგენილი ცხრაზმის ერისთავთა საგვარეულო მატიანე — სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი, როგორც „ძეგლი ერისთავთა“.

წარსულის ესა თუ ის წერილობითი ძეგლი, ცხადია, თანადროულობის პრაქტიკულ მოთხოვნილებებს უპასუხებდა და მისი საზოგადოებრივი დანიშნულებაც სწორედ იმ ეპოქის სოციალური, პოლიტიკური თუ იდეოლოგიური ცხოვრების სინამდვილით იყო ნაკარნახევი, რომელშიც ის იწერებოდა.

მატიანის ავტორის უშუალო მიზანდასახულობა ცხრაზმის ერისთავების, ქვენიფნეველთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიის გადმოცემაა.

მატიანის წარმოშობის სოციალური, პოლიტიკური თუ სხვა ვითარებისა და პირობების შესახებ ორი ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებაა გამოთქმული, რაც გამოწვეულია ქვენიფნეველთა „სახლის“ სტატუსის სხვადასხვაგვარი გაგებით. მკვლევართა ერთი ნაწილის მოსაზრებით XIV საუკუნის ბოლოსათვის ქვენიფნეველთა საერისთავო ტერიტორია სამოხელეო ერთეულიდან ამ საგვარეულოს ფეოდალურ მამულად ანუ სათავადო-სენიორიად გარდაიქმნა. ამას თავის მხრივ უნდა გამოეწვია ქვენიფნეველთა დაპირისპირება ცენტრალურ ხელისუფლებასთან და მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ. ყოველივე ამან გამოიწვია ქვენიფნეველთა განმადიდებელი მატიანის წარმოშობა, რომელიც იდეურად ამართლებდა შექმნილ ვითარებას. აღნიშნული მოსაზრება არ გაიზიარა საურმაგ კაკაბაძემ. ძეგლის მონაცემებზე დაყრდნობით მკვლევარი ცხადყოფს, რომ მატიანის შედგენის დროისათვის ქვენიფნეველებს საერისთავოს მიმართ სენიორალური უფლებები არ გააჩნდათ. არ დასტურდება აგრეთვე სამეფო ხელისუფლებასთან ამ საგვარეულოს დაპირისპირების ტენდენცია. ამდენად, არ შეიძლებოდა ქვენიფნეველთა სენიორალური უფლებების ჩამოყალიბება დადებოდა ამ ძეგლს საფუძვლად.

XV საუკუნის დასაწყისისათვის, როდესაც დასახელებული მატიანე იწერებოდა, ქვენიფნეველთა „სახლი“ ერთ-ერთ ძლიერ ფეოდალურ საგვარეულოს წარმოადგენდა. ქვენიფნეველები, როგორც სამეფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ერთეულის გამგებლები, აქტიურ როლს ასრულებდნენ სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ საგვარეულოს წარმომადგენლები, გარდა ერისთავის ხელისუფლებისა, სხვადასხვა დროს სამეფო კარზე ფლობდნენ ამირეჯიბისა და ამირახორის მნიშვნელოვან თანამდებობებს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქვენიფნეველთა სახლის წარმომადგენლები ქორწინების გზით უმოყვრდებიან საქართველოსა და ოსეთის სამეფო დინასტიებს, რაც საგვარეულო ამბიციებისათვის გარკვეულ საფუძველს ქმნიდა. ფეოდალური პრინციპის თანახმად, „კაცი... უფროსის კაცის მოყუასად მოკიდებით ამაღლდების და სისხლი გაუდიდდების“ (ვახტანგ VI-ის სამართალი. მუხ. 22). მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ფეოდალურ ეპოქაში ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების აქტიურ ელემენტს მსხვილი ფეოდალური სახლები წარმოადგენენ. ყოველი საგვარეულოს როლი და წონა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე, სხვათა შორის, მოტივირებული იყო მისი სიძველითა და ისტორიული წარსულით. ეს იწვევდა მსხვილი ფეოდალური გვარების მესვეურთა შეუნელებელ ყურადღებას საგვარეულო ამბიციების, გვარის წინაპართა საქმიანობისა თუ ქვეყნის წინაშე მათი დამსახურების წარმოჩენისადმი. ამიტომ ყოველი საგვარეულოს წარსული მისი წარმომადგენლებისათვის მხოლოდ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების საგანი კი არ ყოფილა, არამედ აქტუალური, უაღრესად პრაქტიკული დანიშნულების საკითხი. ამგვარად, ქვენიფნეველთა სახლის მესვეურების სურვილიც იქნებოდა, შექმნილიყო წერილობითი ძეგლი, სადაც მათი ინტერესების შესაბამისად გადმოიცემოდა ამ საგვარეულოს ისტორია.

რამდენადაც ავტორის მიზანდასახულობას ქვენიფნეველთა საგვარეულოს ისტორიის აღწერა შეადგენს, ამდენად მისი თხრობის ყველა ნიუანსი უშუალოდ აღნიშნული მიზნის განხორციელებას ემსახურება. ავტორი ფაქტების თვითნებურ ან უწესრიგო აღნუსხვას კი არ ახდენს. არამედ გარკვეული მიზნის შესაბამისად აქვს ისინი შერჩეული და სისტემაში მოყვანილი (სხვა საკითხია ყველა ფაქტის რეალურობა და სამეცნიერო ღირებულება). ამ თვალსაზრისით ძნელია მოინახოს მატიანეში „ზედმეტი“ პასაჟი, რომელსაც უშუალო კავშირი არა აქვს ერისთავების მოღვაწეობასთან. ამ მხრივ „ძეგლი ერისთავთა“ იცავს შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო მწერლობაში თხრობის მტკიცედ დამკვიდრებულ წესს.

ავტორის იდეური მიმართულება თვალნათლივ მჟღავნდება მისწრაფებაში, რელიეფურად წარმოაჩინოს ქვენიფნეველთა სახლის წარმომადგენელთა ღვაწლი და დამსახურება სამეფო ხელისუფლებისა და ქვეყნის წინაშე, ხაზი გაუსვას კეთილგანწყობილებას სამეფო კარსა და ერისთავებს შორის. ეს გარემოება იმთავითვე განსაზღვრავდა ავტორის მიერ ფაქტების შერჩევის პრინციპს და გავლენას ახდენდა ცნობების სისრულეზე. მატიანიდან მოვიტანთ ერთ ნიშანდობლივ მაგალითს. მონღოლთა მფლობელობის წინააღმდეგ აჯანყებული დავით VIII-საგან (1293-1311) ცხრაზმის ერისთავის შალვა ქვენიფნეველის განდგომის მოტივად ავტორი წარმოგვიდგენს იმას, რომ დავითი ტახტის უკანონო მიმტაცებელია. შალვა ერისთავი მხარს უჭერს ვახტანგ უფლისწულს, ტახტის „კანონიერ“ მემკვიდრეს. ფაქტიურად კი ვახტანგი, როგორც დავითის უმცროსი ძმა, სრულებით არ ყოფილა ტახტის კანონიერი პრეტენდენტი დავითის სიცოცხლეში. მაგრამ აღნიშნული ფონის შექმნა ავტორს სჭირდება იმისათვის, რომ შალვა ქვენიფნეველი წარმოგვიდგინოს არა „ღვთითდამყარებული“ მეფის მოწინააღმდეგედ (რაც დიდი მკრეხელობა იქნებოდა), არამედ უზურპატორი მეფისაგან განდგომილად, რაც სრულებით არ ნიშნავდა სამეფო ხელისუფლების ღალატს საერთოდ. საქმის ამგვარად წარმოდგენა სავსებით ეთანხმება ავტორის იდეურ პოზიციას. ამიტომაც აუარა ავტორმა გვერდი იმ ფაქტს, რომ შალვა ერისთავმა დავით VIII-ის წინაშე მოინანია ღალატი და შეურიგდა მას. ეს ცნობილია XIV საუკუნის ანონიმური ქართველი ისტორიკოსის („ჟამთააღმწერელი“) ცნობებით.

მატიანის ავტორი ქება-დიდებას ასხამს ერისთავების სამხედრო, აღმშენებლობით, საეკლესიო თუ სხვა საქმიანობას. ხაზს უსვამს მათ სამართლიანობას, გულუხვობას, დიდსულოვნებას, კეთილგონიერებას და სხვა დადებით ადამიანურ თვისებებს. მემატიანე აშკარად ანტიპათიურად არის განწყობილი ერისთავების ჟოწინააღმდეგე დვალების, არაგვისხეველთა თუ სხვა პირების მიმართ. ერისთავების ნება-სურვილი თუ მოქმედება ყველგან და ყოველთვის მიზანშეწონილად და მისაღებად არის წარმოდგენილი. ასე რომ, მართალია, მატიანის ავტორი პირდაპირ და უშალოდ არ გამოხატავს თავის იდეურ, კლასობრივ თუ პოლიტიკურ პოზიციას, მაგრამ მატიანეში აღწერილი ამბების მიმართ მისი მიდგომა მოწმობს, რომ იგი იცავს ერისთავების კლასობრივ და პოლიტიკურ ინტერესებს. რაკი ერისთავები ფეოდალთა კლასის წარმომადგენლები არიან, ამდენად, მატიანის ავტორის იდეური პოზიცია ფეოდალურ-კლასობრივია.

განსახილველი მატიანის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ტენდენციურობა. აშკარად ტენდენციურია ავტორი ერისთავების პიროვნების დახასიათებისას. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ერთ მაგალითს. იოვანე ერისთავის შესახებ ნათქვამია: „იყო მხნე, გოლიათი, ბრძოლათა შინა უძლეველი, განმზრახი ქმული, უშიში, ვითარცა უხორცო... იყო ფრიად განთქმულ და სახელოვან და უმჯობეს ყოველთა მბრძოლთა“. იმავე იოვანეზე სხვაგან წერს: „იყო... მამა ობოლთა, შემწე ულონოთა, ხელის ამპყრობელ დაღონებულთა და ფრიად საზარელ და მრისხანე ბოროტის მოქმედთა ზედა, მოშიშ ღმრთისა“. მატიანეში ხშირია ამგვარი ტრაფარეტული, გაზვიადებული არაბუნებრივი დახასიათება. ეს პიროვნებები ქრისტიანული მორალის ცნებათა შესაბამისად ხელოვნურად შექმნილი იდეალური ადამიანები უფრო არიან, ვიდრე რეალური სინამდვილის წარმომადგენლები.

მატიანის ავტორის ტენდენციურობა თავს იჩენს ამა თუ იმ ერისთავის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ამბების გადმოცემაშიც. სახელდობრ, როსტომ ქვენიფნეველის ცხრაზმაში გაერისთავების აღწერისას ავტორი ხაზს უსვამს ცხრაზმის „ყოველი ერის“ მხარდაჭერას მისადმი. თითქოსდა „თქუეს ყოველთა ცხრაზმისხეველთა: არა განვიშოროთ ჩუენგან ამიერიდან კაცი ესე გოლიათი, არამედ უყოთ ყოველი, რაიცა უნდეს მას“. ამიტომ „ჰრქუა ყოველმან ერმან როსტომს: რაი გნებავს, რაითა ვყოთ შენთვის. ხოლო მან მოითხოვა საფლავი ლარგვისს და საჯდომად სახლი შუა საყდრისშვილთა და ცხრაზმას ციხისთავისა ნაქონები მამული და მისცეს ესე ყოველი ცხრამზისხეველთა“. როდესაც „იქმნა დიდებულთა და აზნაურთა თხოვად ერისთავობისა ბირებითა ერისაითა“, აღმოჩნდა, რომ ცხრაზმის „ყოველ ერს“ (ე. ი. მთელ მოსახლეობას) ერისთავად „ჰნებავს“ როსტომ ქვენიფნეველი.

ისტორიული სინამდვილე, ცხადია, ასეთი იდილიური არ იყო. პიროვნება, რომელიც ეკონომიკური და პოლიტიკური გაბატონებისაკენ მიისწრაფვის, ერთსულოვან მხარდაჭერას ვერ მოიხვეჭდა. მაგრამ ზემოთ აღნიშნული გარემოებით მატიანის ავტორს სურს, როსტომ ქვენიფნეველის გაერისთავება წარმოადგინოს, როგორც ცხრაზმის მთელი საზოგადოების ერთსულოვანი ნებისა და დასტურის შედეგი, რითაც მიზნად ისახავს მკითხველი დაარწმუნოს იმაში, რომ ერისთავმა „პატივით იპყრა ყოველი განსაგებელი და მთავრობაი „ცხრაზმისხეველთა“.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინება აუცილებელია საქართველოს ისტორიული წარსულის ამა თუ იმ საკითხის შესახებ დასახელებული მატიანიდან რეალური ინფორმაციის მიღებისა და მეცნიერულ კვლევაში მათი მართებულად გამოყენებისათვის.

გონელი არახამია

ბავშვებისათვის

# დროშანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განძი

### მოლდავური ზღაპარი

იყო ერთი მუყაითი და გამრჯე კაცი. მთელი დღე დაუღალავად შრომობდა. ჰყავდა სამი ვაჟი. თვალტანადი და ჯან-ღონით სავსე ჭაბუკები იყვნენ, სამუშაოს კი გულს ვერ უდებდნენ. შინ თუ გარეთ მამა ტრიალებდა. შვილები ჩეროში ისხდნენ, ლაილაის აბამდნენ, ანდა დნესტრზე სათევზაოდ მიდიოდნენ.

— ტყუილა დროს რომ კარგავთ, მამას ვერ მიეხმარებით? — ეკითხებოდნენ მეზობლები.

— თავი რატომ შევიწუხოთ? — მიუგებდნენ შვილები, — მამა ზრუნავს ჩვენზე და საქმესაც კარგად უძლვება.

ბიჭები წამოიზარდნენ, მამა კი მოტყდა, დაბერდა, უწინდელი ჯანი აღარ მოსდევდა. ბაღი გაოხრდა, ყანას სარეველა შეერია.

— აქ გულხელდაკრეფილი რას დამსხდარხართ?— ეუბნებოდა მამა შვილებს, — სანამ ახალგაზრდა ვიყავი, ვშრომობდი, ახლა თქვენი ჯერია.

— ჯერ არა გვცალია, — მიახლიდნენ ბიჭები.

მამას გული სტკიოდა, ასეთი ბედოვლათი შვილები რომ ჰყავდა. იდარდა, ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა. აღარაფრის თავი არ ჰქონდა. ყანას ჭინჭარი და ღვარძლი მოედო, ბალახმა ყველაფერი დაფარა.

ერთხელ დაიბარა ბიჭები და უთხრა:

— შვილებო, ჩემი აღსასრული მოახლოებულია, თქვენი ბედი მაფიქრებს, რა გეშველებათ, ასეთი უქნარები რომ ხართ და ხელიდან არაფერი გამოგდით?

ბიჭებს გული აუჩუყდათ და ატირდნენ.

— მამა, გვითხარი, გვირჩიე კიდევ რამე! — სთხოვა უფროსმა.

— მაშ, კარგი! — უპასუხა მამამ, — ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ. მე და სულმნათი დედათქვენი წელებზე ფეხს ვიდგამდით, რომ არაფერი მოგკლებოდათ. ერთი ქილა ოქრო მოგიგროვეთ, მიწაში ჩავმარხეთ, ოღონდ ადგილი აღარ მახსოვს. დაძებნეთ და უზრუნველყოფილი იქნებით.

მამა გარდაიცვალა. ძმებმა გამოიგლოვეს და მიწას მიაბარეს.

უფროსმა ძმამ თქვა:

— რას წარმოვიდგენდი, ამ დღეში თუ ჩავვარდებოდით, არც კი ვიცით, რა გზას დავადგეთ და თავი როგორ ვირჩინოთ. გახსოვთ, სიკვდილის წინ მამამ რომ დაგვიბარა? მოდი, ოქროს ქილა დავძებნოთ!

ძმებმა ბარები აიღეს და სახლის შორიახლო პატარ-პატარა ორმოები ამოთხარეს. თხარეს, თხარეს, ოქროს ქილა კი ვერა და ვერ იპოვეს.

ახლა შუათანა ჩაერია: „ძმებო, ასე ყველგან მიწა თუ გადაჩიჩქნეთ, არაფერი გამოგვივა. მთელი ეზო უნდა გადავთხაროთ“.

ძმები დათანხმდნენ. აიღეს ბარები და იქაურობა გადათხარეს, გადმოთხარეს, მაგრამ განძი ვერა და ვერ იპოვეს.

— სამწუხაროა,— თქვა უმცროსმა, მაგრამ, მგონი, ბაღი უფრო ღრმად უნდა გადავთხაროთ, შეიძლება, მამამ ქილა მიწაში ღრმად ჩაფლა.

ძმებს ჭკუაში დაუჯდათ, ახლა კი უთუოდ ვიპოვითო, გაიფიქრეს. საქმეს შეუდგნენ. უმცროსმა ძმამ თხარა, თხარა და უცებ ბარი რაღაც მაგარ საგანს მოხვდა. სიხარულისგან გულმა ბაგაბუგი დაუწყო და ძმებს გასძახა, ჩქარა მოდით, განძი ვიპოვეო.

შუათანა და უმცროსმა ძმამ მიირბინეს, რომ მიხმარებოდნენ.

ბევრი იწვალეს და იცოდვილეს, მაგრამ ქილის მაგივრად მძიმე ლოდი ამოიღეს.

ეწყინათ, მაგრამ რას იზამდნენ, იფიქრეს, ქვას აქ ხომ არ დავტოვებთ, წავიღოთ, ხევში ვისროლოთო.

ასეც მოიქცნენ, მერე ბარები ისევ ხელში აიღეს, მთელი დღე იმუშავეს, ჭამა არ გახსენებიათ, ერთი წუთითაც კი არ შეუსვენიათ. მარტო ბაღი კი არა, მთელი მინდორი გადახნეს, ბელტი ბელტზე გადააწვინეს, ოქროს კი ვერა და ვერ მიაგნეს.

— რა გაეწყობა! — დაასკვნა უფროსმა. — მიწა ხომ დავბარეთ, ტყუილა მაინც არ მოვაცდინოთ. მოდი, ვაზი ჩავყაროთ!

— სწორია! — დაეთანხმნენ ძმები. — ამდენი ტყუილა ვიშრომეთ!

ვაზი ჩაყარეს, კარგად უვლიდნენ. სულ მალე მათი სახლის გარშემო დიდი ლამაზი ვენახი გაშენდა. ტკბილი და ქარვისფერი ყურძენი დამწიფდა.

ძმებმა მდიდარი მოსავალი მოიწიეს. რაც უნდოდათ, დაიტოვეს, დანარჩენი გაყიდეს და დოვლათით აივსნენ.

უფროსმა ძმამ თქვა, ჩვენმა შრომამ ნაყოფი გამოიღო, მთელი მინდორი გადავბარეთ და ალალი შრომით მოვიპოვეთ ის ძვირფასი განძი, სიკვდილის სარეცელზე გაკრულმა მამამ რომ დაგვიტოვაო.

თარგმნა მამიკონ თაქორიანმა.

## ჭადრაკი



საქართველოს მოჭადრაკეთა გუნდი — სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის მერვე სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი.

ჭადრაკი

# თუ სიცოცხლე გიყვარს

## მთავარია რეჟიმი

ვ. დოსკინი,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ბიორითმებად წოდებული ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესების მიმდინარეობა ორგანიზმში დამახასიათებელია ყველა ცოცხალი არსებისათვის, განსაკუთრებით ადამიანს სჭირდება სადღეღამისო რიტმი, რომელიც ადულაბებს სხვა უფრო მოკლე და გრძელ ბიორითმებს. ჩვენი ცოცხალი „საათი" კოორდინაციას უკეთებს ყველა რეაქციას ორგანიზმში, უზრუნველყოფს შეგუებას გარემოსთან, რომელიც, როგორც წესი, ასევე რიტმულად იცვლება. ჯანმრთელი ცხოვრების მთავარი არსია, მივყვეთ ბუნებით ბოძებულ ბიორითმებს.

მეცნიერთა გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ ჩვენ უფრო აქტიურნი ვართ 10-დან 13 და 16-დან 18-20 საათამდე. ეს დრო ემთხვევა ინტენსიურ პროფესიონალურ საქმიანობას. საყურადღებოა, რომ საქმიანი სატელეფონო საუბრების 60% იმართება იმავე დროში — 10-დან და 13 და 16-დან 18 საათამდე.

როგორ გავუწიოთ ორგანიზაცია ყოველ ჩვენს დღესა და კვირას, რომ მუშაობისა და დასვენების დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ?

პასუხი უბრალო არაა. სპეციალისტებს ძალუძთ მოგვცენ საერთო, ზოგადი რეკომენდაცია, მაგრამ ყოველმა ადამიანმა, რომელიც დღის რეჟიმს ადგენს, უნდა გაითვალისწინოს თავისი ბიორითმები.

ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ძილს, იმიტომ, რომ ძილი ბევრ შემთხვევაში განსაზღვრავს არა მარტო ჯანმრთელობას, არამედ გუნება-განწყობილებას და შრომისუნარიანობას. დასაძინებლად უნდა დავწვეთ და ავდგეთ ერთსა და იმავე დროს, აუცილებლად კარგად უნდა გამოვიძინოთ, სხვა მხრივ შეიძლება დაღლილობა შემოგვრჩეს, დაგვიქვეითდეს შრომის უნარი, უბრალო რამეზე გავღიზიანდეთ, რაც საბოლოოდ უარყოფითად მოქმედებს ორგანიზმზე.

მას, ვისაც დაძინება უჭირს, ვურჩევთ თავი აარიდოს ყოველივე იმას, რაც ნერვიულ აშლილობას იწვევს. უნდა ეცადოს ძილის წინ გაისეირნოს, მიიღოს თბილი შხაპი.

ეცადეთ, ეს ჩვევად გექცეთ და თქვენ ნახავთ, რომ სულ მალე ყოველგვარ დასაძინებელ წამალზე უარს იტყვით.

რიტმის პრინციპი უნდა გავრცელდეს ჭამის დროზეც. იდეალური იქნება, იჭამოთ ერთსა და იმავე დროს, [illegible]რის, დასვენების დღეებში და შვებულების დროსაც. ბევრ საწარმოში, დაწესებულებებში სადილობის დრო (პიონერთა ბანაკებში, დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში საუზმე და ვახშამი) ემთხვევა იმ საათების შუალედს, როცა ორგანიზმი მაქსიმალურად აქტიურია.

გაანაწილეთ საკვები მთელი დღის განმავლობაში კალორიულობის მიხედვით. ეცადეთ, არ გაძღეთ ძილის წინ.

ბიორითმებს უნდა შევუთანხმოთ აგრეთვე ფიზკულტურული ვარჯიშის დროც.

ადამიანებისათვის, რომლებიც დღისით მუშაობენ, კარგია ვარჯიში სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ. მხოლოდ გამოსასვლელ დღეებში შეიძლება ფიზკულტურული ვარჯიში დილის საათებში. მაგრამ სასურველია სამუშაო და გამოსასვლელ დღეებში ვარჯიში ერთსა და იმავე დროს ჩავატაროთ.

თუ თქვენ გირჩევნიათ ვარჯიში დილით და ამისათვის იღვიძებთ ერთი საათით ან საათნახევრით ადრე, მაშინ საჭიროა დასაძინებლად დაწვეთ ასევე ერთი საათით ან საათნახევრით ადრე. ამას უნდა შეუთანხმოთ თქვენი საღამოს დრო.

## როგორ მოვიშოროთ ზედმეტი კილოგრამები?

კ. ა. კოროვნიკოვი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

სასწორად წარმოიდგინეთ ორგანიზმის ენერგეტიკული ბალანსი, რომლის ცალ მხარეს იწონება სადღეღამისო ენერგიის დანახარჯი, მეორე მხარეს კი — კალორიები, რაც საკვებიდან მიიღო დღეღამის განმავლობაში ადამიანმა.

სასწორის ორივე მხარე თანასწორი უნდა იყოს. თუკი სასწორი გადაიხარა ენერგიის დანახარჯისაკენ — დაიწყება არასასურველი ძვრები ორგანიზმში, გამოფიტვამდეც კი. ეს იშვიათად ხდება. უმეტესად სასწორი კალორიებისკენ იხრება. ეს იმას ნიშნავს, რომ ვჭამთ ბევრს, განსაკუთრებით მაღალკალორიულ, ცხიმითა და შაქრით მდიდარ კერძებს, ვხარჯავთ კი ცოტა ენერგიას, რაც აუცილებლად იწვევს გასუქებას. იმაზე, თუ რა ზიანი მოაქვს სიმსუქნეს ადამიანისათვის, რა დაავადებებს იწვევს, ბევრჯერ ითქვა. ამიტომ შეგახსენებთ ერთ საყურადღებო ფაქტს, რაც სტატისტიკამ დაადგინა: სიმსუქნით შეწუხებული ადამიანი ცოცხლობს 10—12 წლით ნაკლებს, ვიდრე ნორმალური სხეულის მქონე.

საჭიროა მკაცრად გავითვალისწინოთ რამდენს ვჭამთ და რა რაოდენობის კალორიას ვხარჯავთ დღე-ღამის განმავლობაში სხვადასხვა საქმიანობის დროს.

ენერგეტიკული დანახარჯების მიხედვით ჩვენი ქვეყნის მოზრდილი ადამიანები იყოფიან ხუთ ჯგუფად. პირველში ხვდებიან ისინი, რომლებიც მხოლოდ გონებრივ შრომას ეწევიან (მეცნიერების და კულტურის მუშაკები, მოსამსახურეები, დაწესებულებების ხელმძღვანელები). ენერგოდანახარჯები მამაკაცებისა განისაზღვრება 2550—2800 კილოკალორიით, ქალებისა — 2200—2400 კილოკალორიით.

მეორე ჯგუფში არიან — მსუბუქ ფიზიკურ სამუშაოზე მყოფი მუშაკები (კავშირგაბმულობის, სამკერვალო და სხვა დაწესებულებები). ენერგოდანახარჯები მამაკაცებისა — 2750—3000 კილოკალორია, ქალებისა — 2350—2550 კილოკალორია.

მესამე ჯგუფი — საშუალო სიმძიმის ფიზიკურ სამუშაოზე მყოფნი (ხარატები, შოფრები, რკინიგზელები და სხვები) მამაკაცების ენერგოდანახარჯი — 2950—3200 კილოკალორია, ქალებისა — 2350—2550 კილოკალორია.

მეოთხე ჯგუფში შედიან ისინი, რომელთა შრომაც მძიმეა (მშენებლები, მეტალურგები, სასოფლო-სამეურნეო მუშაკები). მამაკაცების ენერგოდანახარჯი — 3450—3700 კილოკალორია, ქალებისა 2900—3150 კილოკალორია.

მეხუთე ჯგუფს შეადგენენ მამაკაცები, რომლებიც არამექანიზებურ სამუშაოს ეწევიან (მტვირთავები, ქვისმთლელები). მათი ენერგოდანახარჯი შეადგენს 3900—4300 კილოკალორიას.

ადამიანები, რომლებიც პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან, თავიანთი სამუშაოს ხასიათის მიხედვით, ცოტას მოძრაობენ, ეს კი იწვევს სიმსუქნეს და უარყოფითად მოქმედებს მრავალ ორგანოსა და სისტემაზე. კერძოდ, ქვეითდება გულსისხლძარღვოვანი და სასუნთქი ორგანოების მოქმედება, ეცემა ცენტრალური ნერვიული სისტემის ტონუსი, დუნდება სხეულის კუნთები, შეიძლება მოიშალოს მეხსიერება და ყურადღება, ამაღლდეს სისხლის შედედება, გადიდდეს ქოლესტერინის დონე, დაეცეს ცილათა რაოდენობა უჯრედებში. ამის შემდეგ მცირე მოძრაობაც საკმარისია, რომ განვითარდეს კორონალური თრომბოზი, ფილტვების ემბოლია, თირკმელის კენჭოვანი დაავადება.

უმოქმედობის კომპენსაცია შეუძლია ყველას. მაგრამ როგორ? სისტემატიურად უნდა ივარჯიშოს და კონტროლი გაუწიოს ენერგოდანახარჯებსა და კალორიულობის ამაღლებას.

რაც უფრო მეტი იქნება თქვენი ფიზიკური აქტივობა, მით მეტ წონას დაკარგავთ. მხოლოდ ერთი საათის ჩქარ სიარულში „გადაიწვება" 35 გრამი მსუქანი უჯრედი. ესე იგი თუკი ვივლით ჩქარა ყოველდღიურად ერთი საათის განმავლობაში და ამასთან შევამცირებთ საკვებს, ერთი წლის განმავლობაში შეიძლება მოვიკლოთ 10-12 კილოგრამი.

ასე რომ, თუ გინდათ მოიშოროთ ზედმეტი კილოგრამები — ყოველდღიურად იარეთ ჩქარ ტემპში არანაკლებ ერთი საათისა. მაგრამ ორგანიზმისთვის მარტო სიარული არ კმარა. ყოველ დილით უნდა ჩაატაროთ გამამხნევებელი ვარჯიში. ეცადეთ არ ისარგებლოთ ლიფტით, ყოველ შემთხვევაში კიბით ჩადით, თუ შეგიძლიათ ადით კიდეც.

გამოსასვლელ დღეებში რამდენიმე საათი აუცილებლად გაატარეთ სუფთა ჰაერზე, იარეთ თხილამურებით, ველოსიპედით, ითამაშეთ ჩოგბურთი, კალათბურთი, იცურავეთ. მოკლედ, გამოიყენეთ დიდხანს მოძრაობის ყოველგვარი საშუალებანი.

ჟურნალი „ზდოროვიე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანდა ფალკოვსკა

# უმნიშვნელო შეცდომა

## იუმორისტული მოთხრობა

ცხობილმა მხატვარმა ლუციო პრედონზანიმ ერთ დილით გაზეთი გადაშალა და კინაღამ ელდა ეცა, მესამე გვერდის ზემო კუთხეში შეამჩნია ვეება წერილი სათაურით: იტალიის ხელოვნება ძაძით შეიმოსა. აღარ გვყავს გამოჩენილი მხატვარი ლუციო პრედონზანი.

წერილში აღნიშნული იყო, რომ მხატვარი გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ (მედიცინა უძლური აღმოჩნდა). განსვენებულმა სურვილი გამოთქვა, რომ მისი სიკვდილის ამბავი ხალხს აცნობონ მხოლოდ დასაფლავების ცერემონიალის შემდეგ.

მერე მოდიოდა ქება-დიდება. მას თითქმის მთელი სვეტი ეჭირა. წერილს ხელს აწერდა გამოჩენილი კრიტიკოსი სტეფანი. გაზეთში დაბეჭდილი იყო მიცვალებულის სურათიც, ოღონდ ოცი წლის წინანდელი.

— მატილდა! მატილდა! — დაიძახა ლუციომ, როცა ამოსუნთქვა შეძლო.

— რა მოხდა? — გამოეპასუხა ცოლი მეზობელი ოთახიდან.

— მოდი ჩქარა, მოდი!

— მოიცადე, ერთი წუთით. ვაუთოებ.

— მოდი-მეთქი, ნახე რა საოცარი ამბავია!

მის ხმაში ისეთი შეშფოთება იგრძნობოდა, რომ მატილდამ უთო გადადო და გამოიქცა.

— წაიკითხე! — ამოიოხრა მხატვარმა და გაზეთი გადასცა.

ქალმა გაზეთს დახედა თუ არა, გაფითრდა. უეცრად ქვითინი აუტყდა.

— ო, ჩემო ლუციო, ჩემო ძვირფასო, — სლუკუნებდა ქალი.

ამ სურათმა ბოლოსდაბოლოს კაციც აალელვა.

— გაგიჟდი, მატილდა, ვერ ხედავ, რომ აქა ვარ? არ გესმის, რომ შეცდომაა, საშინელი შეცდომა!

მატილდამ მაშინვე ტირილი შეწყვიტა, დაწყნარდა, მაგრამ ქმარს შეხედა თუ არა, უცებ, ისევე სწრაფად, როგორც ამ ერთი წუთის წინ, თავი ქვრივად იგრძნო. ლუციომ ქალი რომ ვერ დაამშვიდა, მოეფერა, გადაეხვია. მატილდა, როგორც იყო, დაწყნარდა.

— ო, ღმერთო ჩემო, ეს რა ჩაიდინეს, ადამიანმა აღარ იცის იტიროს თუ იცინოს, გონს ვერ მოვსულვარ, ლუციო. იტალიის ხელოვნება გლოვობს, შენ კი აქა ხარ, ცოცხალი და ჯანმრთელი, გალაღლაღებული! — გაიძახოდა ქალი. ახლა მას სიცილი ახრჩობდა.

— კარგი, გეყოფა! — წამოიძახა ბოლოს ლუციომ. — ეს საშინელებაა, საშინელება... ახლა კი ვერ გადამირჩება გაზეთის რედაქტორი. ძვირად დაუჯდება მას ეს სულელური ხუმრობა!

პრედონზანი პირდაპირ რედაქციაში გაიქცა. რედაქტორმა იგი კარგად მიიღო.

— ააა, მობრძანდით მაესტრო, დაბრძანდით. არა, არა, ეს სავარძელი უფრო მოსახერხებელია. სიგარეტი? მიირთვით. აი საფერფლეც. ახლა კი გისმენთ, ჩემო ბატონო! რა ქარმა გადმოგისროლათ ჩვენსკენ, ძვირფასო?

„თავს იკატუნებს, ნუთუ მართლა არ იცის, რას იუწყება მისი გაზეთი?“ პრედონზანი გაოცებული იყო.

— კარგი, მაგრამ ეს რა დაგიბეჭდავთ დღევანდელ გაზეთში... მესამე გვერდზე... იქ წერილია ჩემი გარდაცვალების გამო.

— თქვენი გარდაცვალების გამო?!

რედაქტორმა ხელი დასტაცა გაზეთს, რომელიც მის საწერ მაგიდაზე იდო. გადაშალა, ერთი დახედა და კვლავ თავი მოიკატუნა. არაჩვეულებრივად იცოდა თავის დაჭერა.

— დახეთ, მართლაც უმნიშვნელო შეცდომა გაპარულა, პატარა უსიამოვნებაა, მაგრამ...

პრედონზანიმ მოთმინება დაკარგა.

— უმნიშვნელო შეცდომა! — დაიღრიალა მან, — ეს საშინელებაა, რას ჰგავს ყოველივე ეს!

— დიახ, დიახ, — თქვა რედაქტორმა მშვიდად, — მართლაც უსიამოვნო ამბავია — მაგრამ, აი დახედეთ, — ისევ გაზეთი აიღო ხელში და ნეკროლოგს თვალი გადაავლო, — შეხედეთ, რა მაღალი შეფასება მივეცით თქვენს ბრწყინვალე ხელოვნებას, ასეთი დიდება იშვიათად ღირსებია ვინმეს. აქ ხომ აღნიშნულია, რომ თქვენ მთელი იტალიის მშვენება და სიამაყე ხართ.

— მე და ჩემმა ღმერთმა, კარგი პატივისცემაა! გამანადგურეთ კაცი, ცოცხალი ადამიანი მკვდრებში ჩამწერეთ!

— არა, ბატონო, მე არ ვუარყოფ, რომ უმნიშვნელო შეცდომა გაგვეპარა.

— როგორ, ბატონო! თქვენ წერთ, რომ მოვკვდი, როცა მე ღვთის მადლით, ცოცხალი ვარ, თქვენ ამას უმნიშვნელო შეცდომას ეძახით? შეიძლება გაგიჟდეს კაცი! მე მოვითხოვ, დაიბეჭდოს ახალი წერილი, სადაც სიმართლე გაირკვევა, თანაც, უნდა ამინაზღაუროთ ზარალი, რომელიც მომაყენეთ.

— ზარალი? რა ზარალი მოგაყენეთ?

— როგორ თუ რა? განა ვერ ხვდებით, რას ნიშნავს ეს შემოქმედისათვის?!

— ნუ გწყინთ, ბატონო, თქვენ უჩვეულო ბედნიერება გხვდათ წილად. ყოველი მხატვარი, თქვენს ადგილზე, სიხარულისაგან ხტუნვას დაიწყებდა.

— რომელ ბედნიერებაზე ლაპარაკობთ?

— როგორ ვერ ხვდებით. როდესაც მხატვარი კვდება, მისი სურათების ფასი მაღლა იწევს. ჩვენ გაგიწიეთ დაუფასებელი სამსახური, დამერწმუნეთ.

— მაშასადამე, მიცვალებულად უნდა წარმოვიდგინოთ თავი, გავქრე? ავორთქლდე?

— იცით რა? ბედს ხელს ნუ ჰკრავთ. ისარგებლეთ ამ უჩვეულო შემთხვევით. გთხოვთ, ერთი წუთით დაფიქრდეთ. ყველაფერი ეს ხომ კარგად ორგანიზებული რეკლამაა. ეს რამდენიმე მილიონის საქმეა, ძვირფასო მაესტრო!

— მაგრამ მე სად წავიდე? გავქრე?

— ძმა არა გყავთ, ბატონო?

— მყავს, მაგრამ ეგ რას მიშველის? ჩემი ძმა სამხრეთ აფრიკაში მუშაობს.

— შესანიშნავია. ჰგავხართ ძმები ერთი-მეორეს?

— ცოტათი. ოღონდ ის წვერს ატარებს.

— გადასარევია. მოუშვით წვერი, ბატონო, და იარეთ ქვეყანაზე. ვითომ თქვენი ძმა ჩამოვიდა აფრიკიდან. სხვა გზა არ არის. ისე, აბა ვინ დაიჯერებს, რომ თქვენ მკვდრეთით აღსდექით. ეს ძალზე ცუდ შთაბეჭდილებას დატოვებს. მენდეთ, გულწრფელად გირჩევთ, თქვენთვის კარგი მინდა.

მძიმედ ჩაფიქრდა მხატვარი, მერე წამოდგა და შინისაკენ გასწია. ამის მერე იგი ჩაიკეტა ოთახში და წვერი მოუშვა. მატილდამ შავები ჩაიცვა, მოდიოდნენ მხატვრის მეგობრები, სამძიმარს ეუბნებოდნენ, ყველაზე მეტად ოსკარ ფრედელი წუხდა, რომელიც თავის თავს პრედონზანის მიმდევრად სთვლიდა.

მხატვრის სახლს თანდათანობით მოაწყდნენ მოყვარულები, კოლექციონერები, სამხატვრო გალერეის და მუზეუმის მუშაკები. სურათები, რომლის ფასიც მანამდე ძლივს აღწევდა ორმოც და ორმოცდაათი ათასს, ახლა ორასიათასად იყიდებოდა, პრედონზანი კი თავის თავშესაფარში სურათებს სურათებზე ხატავდა.

ერთი თვის შემდეგ, როცა წვერი წამოეზარდა, გადაწყვიტა ქუჩაში გამოსულიყო. წინასწარ ხალხში ხმა დაყარეს, რომ სამხრეთ აფრიკიდან დაბრუნდა მისი ძმა. მხატვარმა გაიკეთა სათვალე, მიიღო ეგზოტიკური აქცენტი და დაიწყო ქუჩაში სეირნობა.

— საოცრებაა, როგორ ჰგავს თავის ძმას! — გაიძახოდნენ ნაცნობები.

ერთხელ მხატვარი დაინტერესდა და სასაფლაოსკენ გასწია. საოჯახო სასაფლაოზე მარმარილოს უზარმაზარი ლოდი შეამჩნია. მის ზედაპირზე ქვისმთლელი მის სახელსა და გვარს, დაბადების და გარდაცვალების თარიღებს ჰრიდა.

პრედონზანიმ ქვის მთლელს აუხსნა, მე მაგ მიცვალებულის ძმა გახლავართო, მერე თამამად შეაღო პატარა კარი და შევიდა აკლდამაში, სადაც ერთი-მეორეზე ეწყო მისი ნათესავების კუბოები. იქვე იყო სულ ახალი, ძალიან ლამაზი კუბო. „ლუციო პრედონზანი“ — წაიკითხა წარწერა სპილენძის დაფაზე.

მხატვარი ოსკარ ფრედელი, პრედონზანის მიმდევრად რომ სთვლიდა თავის თავს, სულ უფრო და უფრო ხშირად დადიოდა პრედონზანის ბინაზე. მატილდა პირდაპირ იფურჩქნებოდა, თანაც შავები ძალიან უხდებოდა. პრედონზანი ამჩნევდა ამ ცვლილებას და ვეღარ ეხვეწებოდა. შფოთავდა. სულ უფრო და უფრო ძლიერ ენატრებოდა თავისი ცოლი, უნდოდა სულ მის ახლოს ყოფილიყო, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. მატილდა ქვრივად ითვლებოდა.

ერთ დღეს მხატვარმა უსაყვედურა საკუთარ ქვრივს, რომ ფრედელმა ხაეჭვოდ მოუხშირა მასთან სიარულს. მატილდამ ეს იწყინა და უკმეხად უპასუხა:

— აბა რას ამბობ?! საწყალი ოსკარი... შენი ერთადერთი ნამდვილი მეგობარი, ერთადერთი ადამიანი, რომელსაც შენ ნამდვილად ეცოდები. იგი ცდილობს შემიმსუბუქოს მარტოობა, შენ კი ეჭვიანობ. როგორ არ გრცხვენია?!

გარდაცვალების წლისთავზე საგანგებო გამოფენა მოაწყეს, მას დიდი წარმატება ხვდა: თითქმის ყველა სურათი გაიყიდა და შემოსავალმა ხუთნახევარ მილიონს მიაღწია.

მაგრამ გავიდა დრო და ლუციო პრედონზანის სახელი ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა. ახლა მარტო დიდ მიმოხილვებში-ღა ახსენებდნენ ხოლმე. მერე მიმომხილველებმაც დაივიწყეს.

სასოწარკვეთილი, დამწუხრებული მხატვარი მალე დარწმუნდა, რომ ქვეყანას ლუციო პრედონზანის გარეშეც შეუძლია იარსებოს.

ასე მიდიოდნენ დღეები, თვეები... ერთხელ სეირნობიდან დაბრუნებულმა ლუციომ ნაღვლიანად გადახედა მემორიალურ დაფას, მისი ბინის სადარბაზო შესასვლელთან რომ გაეკრათ, კიდევ ერთხელ ჩაიკითხა სტრიქონები: „ამ სახლში ამა და ამ წლიდან ამა და ამ წლამდე ცხოვრობდა გამოჩენილი იტალიელი ფერმწერი ლუციო პრედონზანი“... ჩაიქნია ხელი და სადარბაზოს კარი შეაღო. იქ უცებ თავისი მეგობრის და მიმდევრის ოსკარ ფრედელის საწვიმარი შეამჩნია. მთელ ბინაში საოცარი მყუდროება იყო, მხოლოდ მატილდას ოთახიდან ისმოდა ვნებიანი ჩურჩული.

ფეხის წვერებზე გამობრუნდა უკან, ჩუმათ გამოვიდა სახლიდან და სასაფლაოსაკენ გაემართა. საღამო იყო. როგორც კი საოჯახო საფლავთან მივიდა, ირგვლივ მიმოიხედა, კაცის ჭაჭანება არ იყო. თამამად შეაღო აკლდამის კარი.

მხატვარმა ჯიბის დანა ამოიღო, დანის წვერით მოუშვა კუბოს ხრახნი, სახურავი წყნარად ახადა, ჩაწვა შიგ და გულაღმა გაიჭიმა, ის უკვე მზად იყო მისცემოდა სამუდამო ძილს. უშფოთველად დაიხურა თავზე სახურავი. როცა უკვე მხოლოდ პატარა ჭუჭრუტანაღა დარჩა, ერთი წუთით ყური დაუგდო, იქნებ ვინმემ დამიძახოსო, მაგრამ ვერაფერი ვერ გაიგონა.

ასე დაამთავრა სიცოცხლე ამ შესანიშნავმა ადამიანმა; მზე ისევ ძველებურად ჩადიოდა და ამოდიოდა.

პოლონურიდან თარგმნა

ინგა კაკაბაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოკლე დარტყმის დიდოსტატი

ვაჟა კაჭარავა მაშინ თორმეტი წლის იყო, როცა თავისი კბილა მეგობარი ალეკო ჩოჩია ეახლა შინ და ამაყად უთხრა:

— მსახიობები ვნახე... ეროსი მანჯგალაძე, გიორგი გეგეჭკორი, კოტე მახარაძე, ბადრი კობახიძე... ფრენბურთს თამაშობდნენ... მოიცა, რას ეძახდნენ... ჰო... მოკლე დარტყმებით თამაშობდნენ... გინდა გასწავლო?

ასწავლა.

პირველ მოკლე დარტყმას მალე მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე, მესამეს — უთვალავი.

ფრენბურთზე უზომოდ შეყვარებულმა ვაჟა კაჭარავამ გამოცდილი მწვრთნელის შოთა მარგიშვილის ხელმძღვანელობით თანდათან აიმაღლა ოსტატობა. უფრო დახვეწილი, სწრაფი და ძლიერი გახდა მისი მოკლე დარტყმა. გულშემატკივრებმა ტყუილად როდი შეარქვეს ვაჟა კაჭარავას „მოკლე დარტყმის დიდოსტატი".

1955 წელს, თვრამეტი წლის ვაჟა საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრებ გუნდში შეიყვანეს. მოკლე დარტყმის უბადლო ოსტატი მალე გუნდის კაპიტნად აირჩიეს.

1963 წელს, ვაჟა კაჭარავამ დიდი წვლილი შეიტანა ქართული ფრენბურთის წარმატებაში: საბჭოთა კავშირის ხალხთა მესამე სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის ფრენბურთელთა ნაკრებმა გუნდმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

ვაჟა საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიიწვიეს.

1965 წლიდან, ვაჟა კაჭარავა საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა. ათი წლის მანძილზე იგი ერთადერთი ქართველი ფრენბურთელი იყო ჩვენი ქვეყნის პირველ გუნდში.

ნიჭიერმა სპორტსმენმა მრავალგზის ისახელა თავი საკავშირო და საერთაშორისო შეხვედრებში. მას საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა.

მოსაგონარი ბევრი აქვს: აი, თუნდაც ტოკიოს ოლიმპიური თამაშები.

1964 წლის ზაფხული იდგა. ტოკიოში ოლიმპიური თამაშები დასასრულს უახლოვდებოდა. დარბაზში საასპარეზოდ გამოვიდნენ საბჭოთა კავშირისა და ბრაზილიის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდები.

ჩვენს ნაკრებს ოლიმპიადის ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯიღა ჰქონდა დარჩენილი.

ეს ნაბიჯი მძიმე და რთული იყო: მატჩის მოგება საქმეს ვერ შველოდა, ბრაზილიის გუნდისთვის სამივე პერიოდი მშრალად უნდა მოგვეგო.

აბა მიდი და საერთაშორისო თამაშებში გამობრძმედილ ისეთ გუნდთან, როგორიც ბრაზილიის ნაკრებია, 3:0 მოიგე!

დაწყდნენ ბიჭები და 2:0 მოიგეს. დაიწყო მესამე გადამწყვეტი შერკინება.

ბრაზილიელები დაწინაურდნენ. თამაში თანდათან გათანაბრდა. ელექტროტაბლოზე ერთმანეთს ენაცვლება 5:5; 7:7; 8:8; 9:9...

დრო იწურება. შეხვედრის დამთავრებამდე წამებიღაა დარჩენილი.

ჩვენი გუნდის საუკეთესო გამთამაშებელმა გიორგი მოდელევსკიმ გვერდიდან ჩამოწოდებულ ბურთს მიუსწრო და სწრაფად აუგდო ბადისკენ დაძრულ ვაჟა კაჭარავას.

ვაჟა ახტა, მთელი ტანით შეიმართა, ძალუმად გაიქნია მარჯვენა და ჩახვეული ბურთი მოკლე დარტყმით შხუილით დასცა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე.

ეს იყო უზადო ოსტატობით შესრულებული მოკლე დარტყმა, რომელმაც სანუკვარი გამარჯვება მოუტანა საბჭოთა გუნდს...

ნაკრებს წლების მანძილზე სათავეში ედგა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გივი ახვლედიანი. ამ გამოცდილი სპეციალისტის ხელმძღვანელობით ვაჟა კაჭარავამ არა მარტო ოსტატობა სრულყო, არამედ მწვრთნელისთვის საჭირო ჩვევებიც შეიძინა.

აი, სწორედ ეს ცოდნა და გამოცდილება დაეხმარა ვაჟა კაჭარავას, როცა იგი სამოცდაათიან წლებში მწვრთნელის სამუშაოზე გადავიდა.

ვაჟა წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ბაუმანის სახელობის ინსტიტუტის ფრენბურთელთა გუნდს, რომელიც საკავშირო პირველობის უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა. გუნდმა 1977 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

ვაჟა კაჭარავა ერთდროულად საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების და მოსკოვის სტუდენტთა ნაკრები გუნდების მწვრთნელიც იყო.

სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვაჟა კაჭარავამ საბჭოთა ფრენბურთს წლების მანძილზე აღუზარდა ერთი სპორტის დამსახურებული ოსტატი, 8 საერთაშორისო კლასის ოსტატი, 12 საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი...

საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, გამოცდილი, სახელოვანი ფრენბურთელი ვაჟა კაჭარავა ამჟამად მშობლიურ თბილისშია.

— ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ სახეობებში ფრენბურთი კვლავ ერთ-ერთ სუსტ რგოლად რჩება, — გვითხრა ვაჟა კაჭარავამ, — მინდა შევქმნა 12-13 წლის ბავშვთა ექსპერიმენტული ჯგუფები. ვიცი, დამეხმარებიან. ყველას ერთი-ერთი გადაუდებელი საზრუნავია — აღვზარდოთ ღირსეული ფრენბურთელები, რომლებიც სახელს და დიდებას შემატებენ ქართულ სპორტს...

დაე, ასემც ყოფილიყოს!

**გაბრიელ გარჯაძე,**
სპორტის ოსტატი.

# როგორ გავატარე ზაფხული

(საშინაო დავალება)

როცა არდადეგები დაიწყო, თბილისიდან ჩემს საყვარელ სოფელში გავემგზავრეთ. ბებია და ბაბუა ცოცხლები აღარ იყვნენ, მაგრამ მამამ ოდის გასაღები იპოვა. ჩავედით სოფელში, ჩაჟანგული ბოქლომი გავტეხეთ, ოთახებში ჩაგუბებული შმორის სუნი გავანიავეთ, ობობები დავაფრთხეთ და დასვენება დავიწყეთ.

დილით ადრე ვდგებოდი, სიმღერით ჩავირბენდი მდინარის სანაპიროზე და საბჭოთა მეურნეობის შესასვლელთან რძის რიგში ჩავდგებოდი.

როცა რძეს ავიღებდი, ხის ცხენზე შევჯდებოდი და სოფლის ბიჭებთან ერთად ფურნიდან პურის მოსატანად გავჭენდებოდი.

პურს ხან ადრე აცხობდნენ, ხან გვიან. როცა გვიან აცხობდნენ, მუხის ძირში ვჯდებოდით, ფანდურს ვუკრავდით და ვშაირობდით.

მხიარულად გადიოდა საათები. მივირბენდი შინ, გადავახტებოდი ჩვენი ეზოს ჩალეწილ ღობეს და დედა მწვანილის საშოვნელად გამგზავნიდა.

მეც ეს მინდოდა. ჩვენს სოფელში მწვანილის შოვნა უფრო ძნელი იყო, ვიდრე ჯინისა.

ვირბენდი, ვირბენდი და როცა ხელცარიელი დავბრუნდებოდი, დედა „ჟიგულს" მომართავდა, გვერდით მიმისვამდა და რაიონის ცენტრისკენ გამასეირნებდა.

რაიონის ცენტრიდან მწვანილს გოჭს და ქათმებსაც გამოვაყოლებდით ხოლმე. ხახვიც ბლომად მოგვქონდა, პამიდორიცა და ბოლოკიც. ჭინჭარს არ ვყიდულობდით. ჩვენს სოფელში ბევრი ჭინჭარი იყო და რატომ უნდა გვეყიდა?!

ექსკურსიებსაც ვაწყობდით. ბიჭებმა წამიყვანეს და მოშრიალე ტყის დასაწყისთან, ნაწისქვილარზე მიბმული ცოცხალი ცხენი მანახეს. სოფელში ორი ძროხაც ვნახე. ერთი ბერწი იყო, მაგრამ მაინც ზმუოდა. კომბინკორმა აკლია და იმიტომ ზმუისო...

ასე შინაარსიანად გავატარე ჩემს ლამაზ სოფელში ზაფხულის არდადეგები.

მეხუთე „ბ" კლასის მოსწავლე

**თენგიზ ფურცხვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. გორდონი

## ბურთის ალსარება

ფეხბურთის მატჩი მთავრდებოდა, როცა კუთხურიდან ჩამომაწოდეს. მივფრინავ და ვფიქრობ: თავდამსხმელებს თუ გადავეყარე, არაზუსტად დამარტყამენ და ისევ კუთხურში გადამაგდებენ. უკეთესია, მცველებს ჩავუვარდე ფეხში, ზედახორა გაიმართება და კარში შევარდნის შანსი მექნება.

საჯარიმოსკენ მივფრინავ. მოთამაშეები ერთმანეთს აწყდებიან. მეკარე გალიაში მომწყვდეული ვეფხვივით დახტის და ძელიდან ძელს აწყდება.

გუმანმა გამიმართლა. ქარმა ამიტაცა, შხუილით შემატრიალა და მეკარის გვერდით კარში შევვარდი. ბადეს რომ შევეხე, სიხარულით ავფართხალდი.

ასი ათასი გულშემატკივარი ფეხზე წამოიჭრა. ყვირიან, ხელებს იქნევენ, ერთმანეთს ეხვევიან. არც არის გასაკვირი: რამდენი ხანია, კარში შევარდნილი არავის დავუნახივარ.

მინდორზეც დღესასწაულია. მცველი, რომელმაც კუთხური ჩამოაწოდა, ჯერ გადაკოცნეს, მერე მიწაზე დააგდეს და ზედ დაახტნენ...

დამდეს ცენტრში.

ყველაფერი თავიდან დაიწყო. გადამაწოდეს ერთხელ, ორჯერ, ოცჯერ, გადმომაწოდეს — ორმოცჯერ. დავრბივარ წინ და უკან, ვვარდები აუტებში, ლობე-ყორეს ვედები.

იწურება თამაშის დრო. თავდამსხმელები დამცველებისკენ მაგორებენ, დამცველები მეკარისკენ; მეკარე ერთი დარტყმით მეორე მეკარესთან მაგზავნის.

მოთამაშეები დგანან და მიყურებენ. გულშემატკივრები ოხრავენ. სათადარიგო სკამზე ჩამომჯდარი მწვრთნელები შუქურასავით ინთებიან და ქრებიან.

ასე რა გამოვა: გოლია საჭირო! ასეთი თამაშით კარში ვერ მოხვდები.

გადავწყვიტე, ობიექტურობა დავარღვიო და თავად ავმოქმედდე.

ხელსაყრელი მომენტიც დამიდგა. ჩამომაწოდეს კარისკენ. ვხედავ, თავდამსხმელი ვერ მომისწრებს. დავმუხრუჭდი, ჩავეჭიდე ბალახს და შევჩერდი.

რა თქმა უნდა, მომისწრო, წამკრა ფეხი და კარში შემაგორა. ბადემ შორეული ნათესავივით სიხარულით ჩამიხუტა გულში. ვატყობ, ჩემი იშვიათი სტუმრობა გულით უხარია.

სიხარულს სიხარული მივაყოლე. ავდექი და კიდევ ვეწვიე ბადეს. მატჩის ბოლომდე იმდენჯერ ვეწვიე, თავი შევაბეზრე.

ფეხბურთელები ეშხში შევიდნენ, გულშემატკივრები გაგიჟდნენ. მწვრთნელები გაყეყეჩდნენ. ანგარიში ისე იზრდება, როგორც კალათბურთში.

მატჩი დამთავრდა, სტადიონი ზეიმობს. რადგან შევცოდე, ბოლომდე უნდა გავიტანო. სხვა თამაშებზეც უნდა ვიაქტიურო. ასე აჯობებს: ყველა, მათ შორის სპორტული მიმომხილველებიც, ვიცი, კმაყოფილნი იქნებიან.

მოქმედება, მხოლოდ მოქმედება! აი, ასეთია ჩემი საბოლოო გადაწყვეტილება.

საკუთარი თაოსნობით მოქმედების გარეშე ფეხბურთს ხომ აზრი არა აქვს!

თარგმნა ნუნუ კუპრეიშვილმა.

ე. ბერგმანი

## რატომ არ დამაწინაურეს?

თქვენთან არ ვიცი, ჩვენს საწარმოში კი ყველა თანამშრომელი ყოველწლიურად ავსებს ანკეტას, რომელიც, როგორც გვარწმუნებენ, დირექციას დიდად ეხმარება დასაწინაურებელი კადრების გაცნობაში.

წლევანდელი ანკეტა განსაკუთრებული სიხარულით შევავსე. გვარის, მამის სახელის, სახელის, დაბადების წლისა და სხვა კითხვებზე ზუსტი პასუხის გაცემის შემდეგ ანკეტის მომდევნო გრაფაში სიამაყით ჩავწერე: „წარმოებისაგან მოუწყვეტლად წელს წარჩინების დიპლომით დაუსწრებლად დავამთავრე ინსტიტუტი".

მთელი წელი ველოდე. როცა მომავალ წელს ახალ ანკეტას ვავსებდი, ვიფიქრე, ალბათ სულის მოთქმა მაცალეს და წელს მაინც აუცილებლად დამაწინაურებენ-მეთქი.

გადიოდა წლები. ვავსებდი ანკეტას. ველოდებოდი.

არც არავის გამოვუძახივარ, არც არავის უთქვამს მადლობა ჩემი კეთილსინდისიერი მუშაობისათვის.

ამ რამდენიმე დღის წინათ, როცა ანკეტას ვავსებდი, მტკიცედ გადავწყვიტე, სხვისი თუ არა, კადრების განყოფილების გამგის ყურადღება მაინც მიმექცია.

დავჯექი და კითხვებზე ასეთი პასუხები გავეცი: „ვარ წერა-კითხვის ნაკლებად მცოდნე", „სამსახურში ყოველ დღე ვიგვიანებ", „დავალებებს არ ვასრულებ", „მყავს ორი საყვარელი და სამჯერ გამასამართლეს".

კადრების განყოფილების გამგემ მეორე დღესვე გამომიძახა.

აღშფოთებული იყო. მიყურა, მიყურა და კოპებშეკრულმა მითხრა:

— რა გვარი ხართ?

— პფაიფერი.

— მერე? ანკეტას რატომ არ აწერთ გვარს?!

— სულ ეს არის?

— სულ ეს გახლავთ. სხვა რა უნდა იყოს?

როცა ანკეტას ხელი მოვაწერე, კადრების განყოფილების გამგემ გამიღიმა, ხელკავი გამომდო და ფეხბურთის მომავალ მატჩზე საუბრით მიმაცილა კარამდე.

გერმანულიდან თარგმნა მარინე სულუაშვილმა.

## ჩვენი ჟურნალის მერვე ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

№ 1

**თარაზულად:** 7. ტრამალი; 8. ტრალერი; 9. ჯაფარიძე; 11. არაბესკი; 13. მუსლინი; 15. ქაბული; 16. „აფონია"; 17. შრატი; 18. მონინო; 21. დუროვი; 23. რომანსი; 24. დიამეტრი; 26. იმიტაცია; 28. ლუიდორი; 29. ბოსტონი.

**შვეულად:** 1. ფორმაცია; 2. კალციუმი; 3. მარლანია; 4. ბარაკონი; 5. ამგა; 6. კლდე; 10. ექსპრომტი; 11. ასისტენტი; 12. ბუკია; 14. კობრა; 19. ომნიბუსი; 20. ორატორია; 21. დირიჟორი; 22. ვარიანტი; 25. მოდა; 27. ალტი.

№ 2

**თარაზულად:** 2. მანიფესტი; 4. პატი; 7. ნოტა; 9. ტაქტი; 10. რაბი; 12. არზა; 14. სიცილია; 16. მედალი; 17. ელეგია; 18. ინფანტი; 22. იდეა; 24. ტიპი; 25. მესხი; 26. აფრა; 27. ქიმი; 28. ანჩისხატი.

**შვეულად:** 1. სფინქსი; 2. მაისი; 3. იუნგა; 4. პერსპექტივა; 5. ეტლი; 6. ზიჩი; 8. ავანტიურინი; 11. ბერანჟე; 13. რეგენტი; 14. სტილი; 15. ატენი; 19. ნამი; 20. აბსცისა; 24. ტრიო; 23. ანაგა; 24. ტაქსი.

კორექტორი ცისანა სიჟინავა

მონტაჟი მზია ლობჟანიძისა

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე: მოსკოვი, მონუმენტი — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წელი. მონუმენტის ავტორი საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ზურაბ წერეთელი, არქიტექტორი — პოეტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ანდრეი ვოზნესენსკი.

გადაეცა წარმოებას 16. 08. 83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 28. 09. 83 წ., უე 00986. ქაღალდის ზომა 70×108 1/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,09, ტირაჟი 49.500. შეკვ. № 1833. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვახტანგ გორგასალის ძეგლი თბილისში.

ფოტო მიხეილ კვირიკაშვილისა.






ეროვნული ბიბლიოთეკა